ახალი დრო

დრო

გამოიცემა 1934 წლის 13 აპრილიდან

13 თებერვალი ორშაბათი 2012
№035(13641) ფასი 80 თეთრი

ორი ოქრო და თითო ვერცხლ-ბრინჯაო ავსტრიიდან

I. გეთიქილ შუკვანი (60)
I. ლევან წიკლაური (81)
II. ადამ ოძრშაბშვილი (+100)
III. ზვიად ხანგალიაშვილი (+100)

ბორჯღალოსნები ლომების ხახაში

ესპანეთი 25:18 საქართველო

ესპანური ალიყური - მილტონ ჰეიგმა მარცხით დაიწყო

10

ბეთიქილ შუკვანმა მეორე ტურნირი მოიგო

რა იქნება შემდეგში?

13

მედლები და ოპტიმიზმი

ქართველმა ძიუდოისტებმა ოპერვარტში დამაიმედებლად იჭიდავეს. გუნდში ლიცენზიებისთვის ბრძოლა გამწვავდა

ლევან წიკლაურმა მორიგი წარმატებით გაიხარა

ესპანეთი: რეალი წინ გაიჭრა, ბარსა ჭიჭყულს თმობს

ინგლისი: ევრა-სუარესი: რასისტული სკანდალი გრძელდება

გერმანია: ქაოსი ბერლინში, სკიბე - სახლში 5-9

კაპელო ანჟიში მიდის?

ინგლისის ნაკრების ყოფილი თავკაცი, იტალიელი **ფაბიო კაპელო** მოსკოვშია და რუსი ჟურნალისტების მტკიცებით, საიდუმლო მოლაპარაკებას აწარმოებს მახაჭყალის „ანჟისთან“. 65 წლის სპეციალისტს 3-წლიან კონტრაქტს სთავაზობენ, გასამრჯელო კი წელიწადში 10 მილიონი ევრო იქნება!

ნიკოლოზ ნეშარიძე

მიმდინარეობს გამოკითხვა საქართველოს 2011 წლის საუკეთესო სპორტსმენის გამოსავლენად 16

სიტუაცია

ვახტანგ ქორიძე ალმასკომს ტოვებს

ვახტანგ ქორიძე აჭარის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტის პოსტიდან შარშან გადადგა. თუმცა ის კვლავ ფეხბურთის ფედერაციის ალმასკომის წევრად რჩებოდა. ახლა თავად გადაწყვიტა ალმასკომიდან გამოსვლა, ფეხბურთის ფედერაციის სამდივნოში შესაბამისი განცხადება შეიტანა და საკითხის ალმასკომის უახლოეს სხდომაზე განხილვა სთხოვა.


ვახტანგ ქორიძე

"გასული წლიდან აჭარის ავტონომიის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი აღარ ვარ, პოსტიდან გადადგომის შემდეგ კი ალმასკომის წევრის სტატუსით სარგებლობა მიულებლად მიმაჩნია. აჯობებს, ალმასკომში აჭარის წარმომადგენელი შევიდეს. იქ არ ვარ და ადგილი ტყუილად რატომ უნდა დავიკავო" – გვითხრა ქორიძემ.

ფეხბურთის ფედერაციის ალმასრულებელი კომიტეტის მორიგი სხდომა კი დღეს გაიმართება. სფფ-ის გენერალური სამდივნოს ინფორმაციით, უნდა დაამტკიცონ საქართველოს ასაკობრივ ნაკრებებში მწვრთნელთა დანიშვნები.

წყალტუბოს "სამგურალისთვის" საკუთრების ფორმის შეცვლა სურთ, რაც ფედერაციის ალმასკომმა უნდა დაადასტუროს. ამიტომ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულომ ფედერაციას წერილი გაუგზავნა და საკითხის განხილვა სთხოვა.

სოხუმის "აეტმა" კი ზამთრის მოსამზადებელ პერიოდში იმდენი ახალი ფეხბურთელი მიიწვია, საგაზაფხულო ეტაპისთვის განაცხადში ბევრის დამატება მოუწევს. საქმე ისაა, რომ დებულების მიხედვით, განაცხადში 30 მოთამაშეზე მეტის შეყვანის შემთხვევაში, პირველი ლიგის გუნდი ვალდებულია თითოეულ ფეხბურთელზე 300 ლარი გადაიხადოს, "აეტს" კი ძველების ჩათვლით, 36 მოთამაშე ჰყავს და ალმასკომისგან შეღავათს ითხოვს.

აქვე გეტყვით, რომ ანალოგიური საკითხი დადგება გორის "დილას" წინაშეც, რადგან პირველი წრის შემადგენლობიდან ბევრი გაუშვეს და ბევრიც დაიმატეს. უმაღლეს ლიგაში კი 30 მოთამაშეზე მეტის გაცხადებისთვის გუნდმა ყოველ ახალ წევრზე 500 ლარი უნდა გადაიხადოს.

დაბოლოს: დღეს, ალბათ, ფუტსალის ასოციაციაში არსებულ დაპირისპირებასაც წერტილი დაესმება. ცნობილია, რომ ფუტსალის ასოციაციის გამგეობის წევრები პრეზიდენტის გადაყენებას ითხოვენ. მათ წერილს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი ზვიად სიჭინავა გამოეხმაურა და გადაწყვეტილების მიღებას დღეს აპირებს. სავარაუდოდ, ყრილობის ჩატარებამდე კი ფუტსალის ასოციაციის პრეზიდენტის მოვალეობას დროებით ფედერაციის თავკაცი **ზვიად სიჭინავა** შეითავსებს.

მერაბ მამულაშვილი

ტრანსფერის მოლოდინი

ვოლგა და ქართველები დავა გრძელდება

წლის დასაწყისში ნიჟნი ნოვგოროდის „ვოლგას" ქართველმა ფეხბურთელებმა რუსეთის საფეხბურთო კავშირს სარჩელით მიმართეს - ისინი კლუბისგან დავალიანების გასტუმრებასა და კონტრაქტების გაწყვეტას ითხოვდნენ. ფიფას წესებით, თუ კლუბი ხელფასს ორ თვეზე მეტ ხანს არ იხდის, კონტრაქტი უქმდება, მაგრამ კლუბი ფინანსური ვალდებულებისგან არ თავისუფლდება.

23 იანვარს რუსეთის საფეხბურთო კავშირის დავების განხილვების პალატამ საკითხი განიხილა და „ვოლგას" ახალი ფეხბურთელების რეგისტრაცია მანამდე აეკრძალა, სანამ არ გაისტუმრებდა სალუქვაძის, გოგუასა და მიხეილ მისინის სახელფასო დავალიანებას. სხვების ამბავსა და კონტრაქტის გაწყვეტაზე არაფერს იუწყებოდნენ, მაგრამ გორის "დილაში" ჩამოსული ფეხბურთელები იმედოვნებდნენ, რომ გათავისუფლების ცნობას უპრობლემოდ მიიღებდნენ.

სამწუხაროდ, დავაში წერტილი ჯერაც არ დასმულა: **ზურაბ არზიანი, ლაშა სალუქვაძე, გოჩა ხოჯავა** და **მათე ვაწაძე** გორის "დილაში" კი ვარჯიშობენ, მაგრამ რუსეთიდან სატრანსფერო ფურცელს დღემდე ელიან.

"ვიცოდი, რომ თავისუფლები ვიყავით, მაგრამ რუსების ვერაფერი გავიგე. ახლა შევიტყვეთ, რომ საკითხი ჯერაც მოსაგვარებელია. "დილას" გენერალური მენეჯერი მამუკა ჯუღელი რუსეთშია, საკითხს აუცილებლად მოაგვარებს, მაგრამ ვერ ვხვდები, დღემდე რატომ არ გაგვათავისუფლეს. მინდა, რომ ეს ამბავი დროზე მოგვარდეს. თურქულ შეკრებაზე გამოჩნდა, რომ "დილა" საკმაოდ კარგი გუნდია. მართალია, შეთამაშება გვჭირდება, მაგრამ მიმაჩნია, რომ გაზაფხულზე გულშემატკივარს ლამაზ ფეხბურთს ვაჩვენებთ" - გვითხრა გოჩა ხოჯავამ.

მერაბ მამულაშვილი

გოჩა ხოჯავა

ინტერვიუ

გიორგი ჭიაბრიშვილი

გიორგი ჭიაბრიშვილი

მჯობდება ამხანაგურში, შედეგი ოფიციალურში

მინდა, ჩემპიონები გაძლიერებულ მეტოქეებთან ბრძოლაში გავხდეთ და არა ვინმეს დასუსტების ხარჯზე

ეროვნული ბიბლიოთეკა

"ზესტაფონის" ესპანურ შეკრებას დიდი ინტერესი მხოლოდ ამ კლუბის ქომაგებს შორის არ გამოუწვევია. საქართველოს ჩემპიონებმა ესტეპონაში საინტერესო დღეები გაატარეს, ხოლო თუ რამდენად ნაყოფიერი იყო ეს შეკრება, ამ შეკითხვაზე პასუხს ყველაზე უკეთ განახლებული სეზონი გასცემს. მანამდე კი "ლელოსთან" ინტერვიუში საკუთარ გუნდში მიმდინარე პროცესებს "ზესტაფონის" მთავარი მწვრთნელი გიორგი ჭიაბრიშვილი აფასებს.

- გაამართლა თუ არა შეკრებამ თქვენი მოლოდინი?

- აბსოლუტურად კმაყოფილი ვარ, რადგან ესპანეთში ჩვენი ყველა ჩანაფიქრი და გეგმა განვახორციელეთ და, შესაბამისად, იქ გატარებულ დღეებს ცალსახად დადებითად ვაფასებ. იდეალური საცხოვრებელი და სავარჯიშო პირობები გვქონდა და საქართველოში დიდი გამოცდილებით გამდიდრებულები დავბრუნდით.

- გვერდს ვერ ავუვლით საკონტროლო მატჩების შედეგებს. ოთხიდან სამ მატჩში ისეთი შედეგები დაფიქსირდა, რომელმაც გულშემატკივრები შეაშფოთა.

- მათი ემოციების კარგად მესმის. მარცხი არასდროსაა სასიამოვნო და წაგებაზე ამხანაგურ მატჩებშიც არ ვფიქრობთ, მაგრამ შეკრება იმისთვისაა, რომ სამწვრთნელო შტაბმა თამაშების დროს ნახოს გუნდის ავ-კარგი და საჭიროების შემთხვევაში, არც ექსპერიმენტებს მოერიდოს. თუმცა არ დაგიმალავთ, ზედიზედ სამმა მწარე მარცხმა ხასიათი თითოეულ ჩვენგანს გაგვიფუჭა და ბოლო გამარჯვება ფსიქოლოგიური თვალსაზრისით ჩვენთვის ძალიან მნიშვნელოვანი იყო.

- მოკლედ გავიხსენოთ თითოეული მატჩი.

- "დნიპროსთან" ძირითად შემადგენლობაში ახალწვეულები გავამწესეთ და მეტოქის უდიდესი უპირატესობა გასაკვირი არ ყოფილა. მეორე ტაიმში მოედანზე შედარებით გამოცდილი ფეხბურთელები შევუშვით, რომლებმაც თამაში დაალაგეს. სამწუხაროდ, ბოლო წუთებში "დნიპრომ" მაინც იძალა და ჩვენთვის ძალიან მიულებელი ანგარიში დააფიქსირა.

"რუბინთანაც" დიდი ანგარიშით დავმარცხდით, მაგრამ ხარისხის თვალსაზრისით, ეს ჩვენ მიერ ესპანეთში ჩატარებული საუკეთესო მატჩი იყო. მეორე ტაიმში "რუბინმა" მოედანზე ათი დასვენებული ფეხბურთელი გამოიყვანა, ჩვენ კი მინიმალური რაოდენობის ცვლილებები განვახორციელეთ. ტაიმნახევრის განმავლობაში ძალიან ძლიერ მეტოქეს თანაბრად ვებრძოლეთ, ბოლოს კი "რუბინმა" ფიზიკურად დაგვჯაბნა.

სამაგიეროდ, რუმინულ "ტიმიშოარასთან" ყველაზე ცუდად ვითამაშეთ და მატჩი პირწმინდად ჩავაგდეთ. "რუბინთან" შეხვედრამ დიდი ძალები კი წაგვართვა, მაგრამ ეს თავის გასამართლებელ საბუთად არ გამოდგება.

"კრილია სოვეტოვთან" მატჩმა კი ძველი თავდაჯერება დაგვიბრუნა. იმის მიუხედავად, რომ ტრავმების გამო არაერთი ფეხბურთელი გვაკლდა, საკუთარი თავისა ვირწმუნეთ და ჯერ ორბურთიანი ჩამორჩენა აღმოვფხვერით, შემდეგ კი თერთმეტმეტრიანების სერიით მოვიგეთ. გავიმეორებ, რომ ეს გამარჯვება ძალიან გვჭირდებოდა.

- ერთი შეხედვით, დიდი ანგარიშით განცდილი წაგებები არასასურველი ფიზიკური მომზადების ბრალი იყო.

- რუსებსა და უკრაინელებს ბუნებრივად მოსდევთ კარგი ფიზიკური მონაცემები და სამხრეთელებს მათთან გასათანაბრებლად დიდი შრომა სჭირდებათ. ესპანეთში ამ მიმართულებით ბევრი ვიმუშავეთ და საკონტროლო მატჩები ორჯერადი ვარჯიშების პარალელურად ჩავატარეთ. სწორედ ამიტომ იყო, რომ თამაშების დროს "ზესტაფონის" ფეხბურთელები ბევრს ვერ მოძრაობდნენ. საკუთარ თავს ვერ მივცემდით იმის უფლებას, რომ ამხანაგურ შეხვედრებში აქცენტი შედეგზე გაგვეკეთებინა. ეს ოფიციალურ მატჩებში დაგვაზარალებდა.

- მთლიანობაში, ამ შეკრებამ რა დადებითი და უარყოფითი მხარეები დაგანახათ?

- უარყოფითი ის არის, რომ ევროპაში გაცილებით სწრაფ ფეხბურთს თამაშობენ, ვიდრე საქართველოში და მათ ტემპამდე მისასვლელად ჩემპიონატის დონის ამაღლება სჭირდება. საამისოდ, უპირველესად, მაღალი დონის მოედნებია საჭირო და მოხარული ვარ, რომ ბოლო დროს ამ კუთხით საქართველოში დადებითი ძვრები შეინიშნება.

დადებით ფაქტორად კი ის მიმაჩნია, რაშიც ესპანურმა შეკრებამ კიდევ ერთხელ დამარწმუნა – ქართველებს ფეხბურთის თამაშის ნიჭი გვაქვს და სათანადო პირობების შემთხვევაში ბევრის მიღწევა შეგვიძლია.

- როგორი შთაბეჭდილება დატოვეს "ზესტაფონის" ახალწვეულებმა?

- მათზე უცვლელი აზრი გვაქვს – თითოეული მათგანი მაღალი დონის ფეხბურთელია. თუმცა ისიც კარგად ვიცოდით, რომ მათ "ზესტაფონთან" ადაპტაციისთვის დრო დასჭირდებოდათ. ამ ბიჭების წინაშე უკვე ახალი მოთხოვნები დგას და ახალ გარემოს მალე გაუშინაურდებიან და საჭირო გამოცდილებასაც შეიძენენ. ცალკე თემაა დავით მუჯირი, რომელიც "ზესტაფონისთვის" უკვე მნიშვნელოვანი ფიგურაა მოედანზეც და მოედნის მიღმაც. ასეთი მრავლისმნახველი ფეხბურთელი ჰაერივით გვჭირდებოდა.

- ტრავმირებულთა მდგომარეობა როგორია?

- შოთა ბაბუნაშვილს ზურგი აწუხებს და სამკვირიანი წოლითი რეჟიმი აქვს დანიშნული; გიორგი ხიდეშელს ექიმებმა ერთთვიანი დასვენება ურჩიეს; აბაიომი ოვონიკოკოს გუნდთან ერთად ვარჯიში ჯერ არ დაუწყია; ჯაბა დვალსა და ალექსი ბენაშვილს მიკროტრავმები აქვთ, მაგრამ ჩემპიონატის უახლოესი ტური, შესაძლოა, მაინც გაუცდეთ.

- ჩემპიონატის შეფერხება "ზესტაფონზე" უარყოფითად ხომ არ იმოქმედებს?

- ცოტა დასვენება ფეხბურთელებს არ აწყენთ, მაგრამ თუ 19 თებერვლის მატჩებიც გადაიდო, ეს უკვე არასასიამოვნო იქნება.

- "ზესტაფონის" უახლოესი მზადების გეგმა როგორია?

- 14 თებერვლამდე ფეხბურთელები შინ გავუშვით, შემდეგ კი სავარჯიშო პროცესს ზესტაფონის ბაზაზე განვაახლებთ. თუ ამინდმა ხელი შეგვიშალა, შევეცდებით, თბილისში ვნახოთ თოვლისგან გადაწმენდილი მოედანი.

- უცხოურ შეკრებაზე წავიდა უმაღლესი ლიგის ბინადართა უმრავლესობა, მათ შორის "ზესტაფონის" უშუალო კონკურენტები.

- ეს ძალიან სასიხარულო ტენდენციაა და უდავოდ შეუწყობს ხელს საქართველოს ჩემპიონატის დონის ამაღლებას. რაც მეტი ძლიერი კონკურენტი გვეყოლება, უკეთესი იქნება ჩვენთვის. მინდა, ჩემპიონები გაძლიერებულ მეტოქეებთან ბრძოლაში გავხდეთ და არა ვინმეს დასუსტების ხარჯზე.

- გვერდს ვერ ავუვლით თბილისის "დინამოში" მომხდარ ამბებს.

- კლუბის ხელმძღვანელობამ მწვრთნელის შეცვლა საჭიროდ მიიჩნია და ამ გადაწყვეტილების მართებულობაზე მე ვერ ვიმსჯელებ, თუმცა კი, შეკრების დროს მწვრთნელის მოხსნა ცალსახად ცუდი პრეცენდენტია. რაც შეეხება გიორგი დევდარიანს, იგი ჩემი ახლო მეგობარი და თანამოაზრეა, ახლა კი ჩემი მეტოქეც გახდება, რაც ძალიან საინტერესო იქნება. გიორგი მცოდნე და დისციპლინირებული სპეციალისტია და "დინამოს" თავის ხელს აუცილებლად დაატყობს.

- დაბოლოს, თქვენი შეფასება ნიკა გელაშვილის გერმანულ დებიუტზეც...

- ძალიან ბედნიერი ვარ, რომ მას ასეთი დებიუტი გამოუვიდა. კარგი დასაწყისი ძალიან ბევრს ნიშნავს და მჯერა, ნიკა თავის სიტყვას გერმანიაშიც იტყვის. მისი წარმატება კი "ზესტაფონისა" და მისი თითოეული წევრისა და თანამშრომლის წარმატებაც იქნება.

ლევან ჯანეზაშვილი

ლელო

დამფუძნებელი და გამომცემელი
შპს გამომცემლობა ლელო

გამოიცემა ყოველდღე,
გარდა კვირისა

მთავარი რედაქტორი **თენგიზ გაჩეჩილაძე**

მთავარი რედაქტორის მოადგილეები: **გია თვალაბეიშვილი, ნიკოლოზ ნეფარიძე;** ტექნიკური ჯგუფის ხელმძღვანელი **მიხეილ ჯაში;** ფოტო: **ალექსანდრე კოტორაშვილი.**

1934 წლიდან გაზეთს ხელმძღვანელობდა სარედაქციო კოლეგია. „ლელოს" მთავარი რედაქტორები: **მიხეილ კაკაბაძე (1949-52, 1964-76), ერემო მახათაძე (1952-53), ირაკლი უგულავა (1953-64), ანზორ ბასილაია (1976-83), არჩილ გოგელია (1984-85), თენგიზ გაჩეჩილაძე (1985-დან).**

პალიტრა მედიის ცხელი ხაზი: 383-384. ელფოსტა: leloltd@gmail.com

ხელმოწერილია დასაბეჭდად: 02:30

მისამართი: **იოსებიძის, 49.** ტელეფონები: **242 32 73, 599 55 48 97** (მთ. რედაქტორი); ფაქსი: **+995. 232 38 08 63;** ინდექსი **66435** INDEX. რეკლამა: **237 78 07**

რედაქციასთან შეუთანხმებლად გაზეთის კუთვნილი მასალებისა და ფოტოების სხვა გამოცემაში და ელექტრონულ საშუალებებში გამოქვეყნება აკრძალულია

ლეგიონერი

სად არის ხიზანეიშვილი?

იანვარში ვწერდით, რომ 30 წლის ქართველი მცველი **ოთარ ხიზან-იშვილი** უკრაინულ „ოლექსანდრიაში“ სინჯებზე მიიწვიეს და გუნდს თურქულ შეკრებაზე გაჰყვა. ამ დროს გადაწყდა გუნდის მთავარ მწვრთნელად უკრაინის ნაკრების ყოფილი თავკაცის, **ლეონიდ ბურიაკის** დანიშვნა.

ბურიაკმა პრემიერლიგის აუტსაიდერის შემადგენლობის გადახალისება დაიწყო და ქართველი აიყვანა - ფეხბურთელის მამამ, დავით ხიზანეიშვილმა გვითხრა, რომ ოთარი გუნდთან ერთწლიან კონტრაქტს აფორმებდა.

გავიდა ერთი თვე, "ოლექსანდრიამ" მოსამზადებელ ეტაპზე რამდენიმე საკონტროლო მატჩი ჩაატარა, მაგრამ ხიზანეიშვილი მოედანზე არ გამოჩენილა.

"ოთარი "ოლექსანდრიას" პირველ მოსამზადებელ ეტაპზე ახლდა. გადაუჭარბებლად გეტყვით, რომ ძალიან კარგად გამოიყურებოდა და გუნდში საუკეთესო იყო. "ოლექსანდრიას" ხელმძღვანელებსა და მწვრთნელებს თავი ისე მოაწონა, მისი იმედი ჰქონდათ და უხაროდათ, ძლიერი მცველი დავიმატეთო. ოთარს კონტრაქტის გაფორმება მართლაც შესთავაზეს. მაგრამ შეკრებაზე დაშავდა და საკითხი ვერ გადაწყდა. თავად ხიზანეიშვილმა უთხრა, ჯერ ტრავმას მოვირჩენ და მერე დავილაპარაკოთო. როგორც ვიცი, ახლა კიევში მკურნალობს" - გვითხრა "ოლექსანდრიას" ფეხბურთელმა **ლევან გულორდავამ**.

შეგახსენებთ, რომ საქართველოს ნაკრების, თბილისის „დინამოს“, მოსკოვის „სპარტაკის“, მოსკოვის „დინამოს“, გერმანული „ფრაიბურგისა“ და „აუგსბურგის“, მახაჩყალის „ანჟის“ ყოფილი ფეხბურთელი ოთარ ხიზანეიშვილი გასული წლის ზაფხულიდან ყაზახურ „ვოსტოკში“ თამაშობდა.

მერაბ მამულაშვილი



ოთარ ხიზანეიშვილი

გურია

ნაუგებელი და ამბიციური

გუშინ, ლანჩხუთის „გურიამ“ მორიგი ტესტმატჩი გამართა - ურეკში ჩვენებურები სომხურ „ულისეს“ 0:0 დაუზავდნენ. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ უცხოელებმა ორივე ტაიმი სხვადასხვა შემადგენლობით ითამაშეს, თუმცა გურულთა წინააღმდეგობის დაძლევა ვერ მოახერხეს. **გიგლა იმნაძის** შეგირდებმა უკვე 7 ტესტმატჩი გამართეს და არც ერთში დამარცხებულან: 4 თამაში მოიგეს (გრიგოლეთში ფოთის „კოლხეთთან“ - 2:0, ზუგდიდში „ბაიასთან“ - 2:1, ოზურგეთსა და ურეკში „მერცხალთან“ - 4:1 და 2:0) და 3 შეხვედრა დაასრულეს ფრედ - „ულისეს“ გარდა ლანჩხუთელები ურეკში „მერცხალსა“ და ბათუმის „დინამოს“ დაუზავდნენ (ორივეჯერ 1:1).

რაც შეეხება შემადგენლობას, ბოლო დღეებში „გურიამ“ ორი მობურთალი დაიმატა - **ერეკლე კილაძე** და **მირზა მერლანი**. პირველი გასულ სეზონში ძმასთან, **ნიკა კილაძესთან** ერთად ფინეთის ჩემპიონატში ასპარეზობდა, ხოლო მერლანმა გორის „დილა“ მას შემდეგ დატოვა, რაც ქართლელებმა ხორვატი მეკარე დაიმატეს. კლუბის ადმინისტრაციაში ადასტურებენ, რომ გამოცდილი მეკარე „გურიის“ ღირსებას დაიცავს.

შეგახსენებთ, რომ „გურიამ“ საუმაღლესლიგო პლეი ოფში თამაშის უფლება ვადამდე გაინაღდა და კლუბის მიზანს ელიტლიგაში გადასვლა წარმოადგენს. სულ მალე დაიწყება „გურიის“ სტადიონის სარეაბილიტაციო პროექტი, რის შესახებაც მორიგი განცხადება გასული კვირის ბოლოს უკვე გურიის გუბერნატორმა, **ვალერი ჩიტაიშვილმა** საგანგებო ბრიფინგზე გააკეთა. მანამდე აღნიშნული ინიციატივით, ინფრასტრუქტურისა და რეგიონული განვითარების მინისტრი **რამაზ ნიკოლაიშვილი** გამოვიდა, რომელსაც თავის მხრივ, გურიის აღორძინების ფონდის ხელმძღვანელობა ქვეყნის პრეზიდენტმა **მიხეილ სააკაშვილმა** საჯაროდ დაავალა.

მამუკა ქანთარია
ლანჩხუთიდან

მირზა მერლანი

ამბები

გიორგი მანწკავა

მანწკავა ულისში ვარჯიშობს

რამდენიმე დღის წინ მარტვილის "მერანი" ამხანაგურად ერევნის "ულისს" შეხვდა, რის შემდეგაც სომხურმა კლუბმა "მერანის" გამოცდილი ნახევარმცველის, **გიორგი მანწკავას** მიმართ დაინტერესება გამოთქვა. 30 წლის მანწკავა უკვე შეუერთდა "ულისს", სადაც ცოტა ხნით კიდევ დააკვირდებიან და დიდი ალბათობით, კონტრაქტსაც გაუფორმებენ. ყველაფერი რამდენიმე დღეში გაირკვევა.

მანწკავას "მერანთან" მოქმედი კონტრაქტი აკავშირებს და თუ სომხეთში გადავიდა, მარტვილელებს კომპენსაცია ეკუთვნით.

მანწკავა მიმდინარე სეზონს წარმატებით ატარებს. ეროვნული ჩემპიონატის პირველ ნახევარში მან 17 მატჩი ჩაატარა და 6 გოლი გაიტანა, რაც არათუ მისი ამპლუის ფეხბურთელისთვის, არამედ თავდამსხმელისთვისაც კარგი შედეგია.

"ულისი" სომხეთის მოქმედი ჩემპიონია. სომხეთის ჩემპიონატი, რომელიც გაზაფხული-შემოდგომის სისტემით ტარდება, ჯერ არ დაწყებულა.

ლევან ჯანეზაშვილი

სერგი ორბელაძე

ორბელაძე სპარტაკელია

"სპარტაკმა" კონტრაქტი გამოცდილ მცველ **სერგი ორბელაძეს** გაუფორმა. 29 წლის ორბელაძე ცხინვალური კლუბის შემადგენლობაში იანვრიდან მოყოლებული ვარჯიშობს და სამწვრთნელო შტაბს თავი მოაწონა. ორბელაძე ბოლოს რუსთავის "მეტალურგში" ასპარეზობდა, რომელიც მაშინ დატოვა, როცა მიმდინარე სეზონი ახალი დაწყებული იყო.

აქვე იმასაც გეტყვით, რომ "სპარტაკთან" კონტრაქტი გაახანგრძლივეს 29 წლის ნახევარმცველმა **ირაკლი სამხარაძემ** და 22 წლის მცველმა **ბადრი ტეტუნაშვილმა**.

უმაღლესი ლიგის მე-19 ტურის გადადებით გამოწვეული შესვენებით "სპარტაკმაც" ისარგებლა და დღეს "ფოლადზე" რუსთავის მეტალურგს ამხანაგურად ეთამაშება. მატჩი 14 საათზე დაიწყება.

ლევან ჯანეზაშვილი

ფესვები

კახა ჭუმბურიძე:

ჩვენთან საუკეთესო პირობებია

ეროვნული ბიბლიოთეკა

"საფეხბურთო კლუბი საბურთალო" – ასე ჰქვია იმ ბავშვთა სკოლას, რომელსაც საუკეთესოზე აქვს პრეტენზია.

"საბურთალო" მართლაც გამორჩეული სკოლაა, არნემის "ვიტესში" **გიორგი ჭანტურია** და **ვალერი ყაზაიშვილი** რომ თამაშობენ, სწორედ ამ სკოლის აღზრდილები არიან. რა თქმა უნდა, მხოლოდ ამ ორი ფეხბურთელით არ ფასდება "საბურთალოს" საქმიანობა, მთავარი ალბათ ის უნდა იყოს, რომ "საბურთალო" მზარდ ორგანზაციას ჰგავს.

ამ სკოლაში ახლა დაახლოებით 500 მოზარდი დადის, თვეში გადასახდელი 60 ლარია, მაგრამ ყველასთვის არა. თუ ზოგ სკოლაში გამორჩეულად ნიჭიერებს ან ხელმოკლე ოჯახიდან გამოსულ ბავშვებს უწევენ შეღავათს, "საბურთალომ" სხვა პრინციპი აირჩია – სწავლის საფასურს არ იხდიან ის მოზარდები, რომელთა ასაკი 12 წელს აღემატება. "საბურთალო" ასეთებთან კონტრაქტს აფორმებს, ანუ ხელშეკრულების ერთი მხარეა კლუბი, მეორე კი მშობელი და მისი შვილი, 18-წლამდე ფეხბურთელთან ასეთი კონტარქტი კეთდება. ამ ხელშეკრულების თანახმად, მოზარდს ხელფასი ენიშნება.

ცხადია, აქ გათვლა კეთდება ახალგაზრდა ფეხბურთელების ექსპორტზე. ქართული საფეხბურთო ბაზარი უწინდელთან შედარებით მოლონიერებულია და ჩვენი მოწინავე კლუბები ნიჭიერ ბავშვებში ფულის გადახდას არ ერიდებიან. ეს იმას ნიშნავს, რომ აღარაა აუცილებელი საფეხბურთო სკოლამ მაინცდამაინც უცხოურ კლუბში გაასხვისოს თავისი აღზრდილი ფეხბურთელი, ფულის შოვნა ქართულ ბაზარზეც გახდა შესაძლებელი.

"საბურთალოს" დირექტორი **კახა ჭუმბურიძეა**. ის გამოცდილი საფეხბურთო მენეჯერია, როცა "დინამო თბილისის" მმართველი დირექტორი **დავით პეტრიაშვილი** იყო, ჭუმბურიძე მაშინ "დინამოს" სპორტული დირექტორი გახლდათ.

"საბურთალოს" ორი დისლოკაცია აქვს – იოსებიძის ქუჩაზე მდებარე 161-ე საჯარო სკოლა და სამედიცინო ინსტიტუტი. იოსებიძეზე "საბურთალოს" განკარგულებაშია ოთხი არასტანდარტული მოედანი, სამედიცინო ინსტიტუტის ტერიტორიაზე კი ერთი სტანდარტული მოედანი ახალდაგებული ხელოვნური საფარით, ერთი მცირე მოედანი და კიდევ ერთი სპეციფიკური მოედანი, სადაც დამონტაჟებულია კედელი ტექნიკაზე სავარჯიშოდ. ორივე ტერიტორია "საბურთალოს" იჯარით აქვს აღებული.

სამედიცინო ინსტიტუტის ტერიტორიაზე დაგებულ სტანდარტული ზომის მოედანს 500-კაციანი ტრიბუნაც აქვს. როგორც ჭუმბურიძემ გვითხრა, საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის წარმომადგენლები იყვნენ მისულები ამ არენაზე და რეკომენდაციებიც მისცეს "საბურთალოს" ხელმძღვანელობას – სტადიონს "ბენდელა" დაარქვეს აფხაზეთში დაღუპული ფეხბურთელის, **ზაზა ბენდელიანის** პატივსაცემად და ამ არენაზე ცხინვალის "სპარტაკი" გამართავს საშინაო მატჩებს მიმდინარე სეზონის მეორე ეტაპზე.

"სამედიცინო ინსტიტუტის ტერიტორიაზე მდებარე მოედნებისთვის გვაქვს კომფორტული გასახდელი ცხელი წყლითა და გათბობით, აქ 12 წლის და უფროსი ასაკის ფეხბურთელები ვარჯიშობენ. იქვე გვაქვს სამედიცინო ცენტრიც. "ბენდელას" განათება 250 ლუქსია და ვფიქრობთ იმაზე, რომ 500-მდე გავზარდოთ – ასეთ შემთხვევაში ამ სტადიონიდან პირდაპირი ტელეტრანსლაციის საშუალება შეიქმნება. ამ მოედნით აგრეთვე სარგებლობენ "მეტალურგი", "ზესტაფონი", "გაგრა" და "ტორპედო" – გვითხრა ჭუმბურიძემ.

"საბურთალოს" ჯერ არ აქვს გაფორმებული მემორანდუმი რომელიმე საფეხბურთო კლუბთან, თუმცა ჭუმბურიძემ გვამცნო, რომ "ვიტესს" აქვს პირველადი არჩევანის უფლება ამ სკოლის აღზრდილ ფეხბურთელებზე.

"ჩვენი სკოლიდან გამოსული ფეხბურთელები თამაშობენ უმაღლესი ლიგის სხვადასხვა გუნდშიმამუკა კობახიძე და როსტომ გეწაძე "ზესტაფონში", "დინამოს" დუბლებში კი ჩვენი სკოლიდან გადასული ცხრა ფეხბურთელია" – გვითხრა ჭუმბურიძემ.

"საბურთალო" საქართველოს 17-წლამდელთა ნაკრების საბაზო გუნდიც კი იყო, როცა იმ ნაკრებს(1993 წელს დაბადებულები) **გიორგი დევდარიანი** წვრთნიდა. "დინამოს" დუბლშემადგენლობის ბირთვსაც ეს მოთამაშეები წარმოადგენენ.

ალბათ ყველას აინტერესებს, თუ რა შეთანხმების საფუძველზე გაასხვისა "საბურთალომ" ჭანტურია და ყაზაიშვილი?

"ჰოლანდიურმა კლუბმა ორივე ფეხბურთელში საკომპენსაციო თანხა გადაგვიხადა. თუ ყაზაიშვილი "ვიტესიდან" სხვა კლუბში გაიყიდება, "საბურთალო" სატრანსფერო თანხის 25 პროცენტს მიიღებს. "ვიტესიდან" ჭანტურიას სხვა გუნდში გადასვლის შემთხვევაშიც, "საბურთალო" გარკვეულ სარგებელს ნახავს" – გვიპასუხა ჭუმბურიძემ.

კახა ჭუმბურიძე

"საბურთალოს" მთავარი მწვრთნელია **თემურ შალამბერიძე**. სულ კლუბში 30 სპეციალისტია დასაქმებული. **თემურ ფოცხვერია, გიორგი მიქაძე, ნოდარ ჭელიძე**...საფეხბურთო სამყაროში მათ კარგად იცნობენ. ჭუმბურიძემ განგვიმარტა, მწვრთნელები თავიანთ საქმიანობაში შეზღუდულები არ არიან, თუმცა ერთიანი ხელწერის შექმნა გვსურს, ქართული სათამაშო სტილის ევროპულთან შერწყმა და ბავშვთა აღზრდის პროცესი რომ ვაკონტროლოთ, ამიტომაც შევქმენით კლუბის მთავარი მწვრთნელის თანამდებობაო.

"საბურთალო" რეგიონებიდანაც ცდილობს ნიჭიერი ბავშვების სელექციას და ამ დროისთვის ასეთი ათი მოზარდი ჰყავს, მათთვის ბინის ქირას კლუბი იხდის.

"ვფიქრობ, გადაჭარბებული არ იქნება, თუ ვიტყვი, რომ საქართველოში არსებული ბავშვთა სკოლებიდან დღესდღეობით საუკეთესო პირობები "საბურთალოს" აქვს. ჩვენი სკოლა მართლაც ყველასგან განსხვავებულია. რაც შეეხება სამომავლო გეგმებს, გვინდა, რომ ორი წლის შემდეგ უკვე პირველ ლიგაში გვყავდეს გუნდი და მერე უმაღლეს ლიგაზეც დავფიქრდებით" – ასეთია "საბურთალოს" ამბიციები და გეგმები.

ჭუმბურიძემ ისიც გვითხრა, რომ "საბურთალოს" უკვე აქვს სპონსორული შემოსავლებიც. სპონსორების ლოგოები უკვე არის "ბენდელას" სტადიონის ბანერზე.

ერთი სიტყვით, "საბურთალოს" კარგი პირი უჩანს. კლუბის დამფუძნებელი "იბერია ბიზნეს ჯგუფია" (პრეზიდენტი **ტარიელ ხეჩიკაშვილი**). დანარჩენს კი დრო გვიჩვენებს – გამოუჩნდება თუ არა "საბურთალოს" ახალი ჭანტურია და ყაზაიშვილი.

დავით თავართქილაძე

ლეგიონის უძმეები

კახა კალაძის (№13) ჯგუნამ დიდი ანგარიშით ნააგო

უარესი, ვიდრე საშუალო

სჯობს, მომავალ უძმეებს დავველოდოთ

ბასლუნ-უქმეები ქართული ლეგიონისთვის წარმატებული ნამდვილად ვერ გამოდგა. ჩვენი თანამემამულეების წარმატებას ვინ ჩიეის, ბოლო მაგრებში მათი კლუბების დიდმა ნანილმაც ვერაფერს მიაღწია.

ლევან კობიაშვილს მწერთნელი კიდევ შეუცვალეს. ბერლინის "ჰერტამ" ბოლო ხუთ ოფიციალურ მატჩში ამდენივე მარცხი იწვნია და კლუბის ხელმძღვანელობამ **მიხაელ სკიბეს** კარისკენ მოუთითა. "ჰერტა" სტუმრად "შტუტგარტთან" 0:5 განადგურდა და გასავარდნ ზონას კიდევ უფრო მოუახლოვდა. ლევან კობიაშვილმა სრულად ითამაშა და "შპორტალისგან" 5,5 მიიღო, რაც "ჰერტას" შემადგენლობაში ერთ-ერთი ყველაზე უარესი შეფასებაა. კარგი კი ის არის, რომ რამდენიმე დღის ნინ მოინახულებადობის "ბორუსიასთან" სათასო მეხვედრეში მიეებული ტრავმა სერიოზული არ აღმოჩნდა და ლევანს გერმანიის მიმდინარე ჩემპიონატში ჯერ ნუთიც არ გაუცდენია.

ნიკოლოზ ჭელაშვილმა შესანიშნავ ბოხუმურ დებიუტს მეორე შედგიანი მატჩი ვერ მოაყოლა, თუმცა ამაში მას ბრალი ნაკლებად მოუძღვის – ქართველ ფორვარდს თამაშის საშუალება მხოლოდ 5 ნუთით მისცეს, თანაც მაშინ, როცა "ბოხუმი" გასცილა "ხანკ ბაულისთან" 1:2 მარცხდებოდა და მოედანზე ათი კაცით იყო დარჩენილი. ეს შეხვედრა ასევე დასრულდა, "ბოხუმი" კი მე-9 ადგილზე დარჩა.

ალექსანდრე იაშვილის "კარლსრუე", რომელიც ბოლოსწინა საფეხურზეა, სტუმრად ბრაუნშვაიგის "ინტრახტთან" 0:0 ითამაშა. "კარლსრუეს" ქართველი კაპიტანი ძირითად შემადგენლობაში იყო და 87-ე წუთზე შეცვალეს. "შპორტალისგან" მას 4-ანი ერგო.

გადავინაცვლოთ იტალიაში, სადაც კახა კალაძის "ჯენოა" – "კატანიას" ენია და 0:4 განადგურდა. **კახა კალაძემ** გეხუეთა შემადგენლობაში 90 წუთი დაყო და ყვითელი ბარათი მიიღო. "ჯენოა" მე-9 პოზიციაზეა და ჯერაც ინარჩუნებს ევროპის ლიგაზე გასელის შანსს, მაგრამ თუ ასეთი არასტაბილური ასპარეზობა განაგრძო, ამ მიზნის მიღწევას ნამდვილად ვერ შეძლებს.

სერია B-ში "ემპოლიმ" სტუმრად "რევნისასთან" 2:3 წააგო. "ემპოლის" შემადგენლობაში **ლევან მჭედლიძე** 78-ე წუთზე გამორწყდა, როცა მისი გუნდი 1:3 მარცხდებოდა. "ემპოლი" ლიგაში ადგილის შესანარჩუნებლად ბრძოლას განაგრძობს.

არნემის "ვიტესმა" ვერაფერი დაუპირისპირა "ფეიენოორდს" და როტერდამში 1:3 დამარცხდა. "ვიტესის" კაპიტანმა **გურამ კაშიამ** სრულად ითამაშა, **გიორგი ფოფხაძემ** სრულად ითამაშა. ვან ჭალბურგეთის რანგით მეორე ლიგაში შეიდი მატჩი გადადო, მათ შორის, "მეცისა" და **გიორგი მაკარიძის** "ლე მანის" დაპირისპირება. **ამირან სანაიას** "ბასტია" დღეს "შონაკოს" ესტუმრება, თუმცათა ქართველი მცველის მოედანზე გამოჩენა ნაკლებად მოსალოდნელია.

ჩვენი უმაღლესი ლიგისა არ იყოს, დიდთოვლობამ აზერბაიჯანული პრემიერლიგის განახლებაც გადადო. თუ ამინდმა კალენდარში კორექტივები არ შეიტანა, ჩვენს სამეზობლოში, სადაც ქართველები მრავლად ასპარეზობენ, სეზონი 15 თებერვალს განახლდება. ცნობისთვის, რუსული და უკრაინული პრემიერლიგები, რისკენაც ჩვენი დიდი ყურადღებაა მიპყრობილი, 3 მარტს გაგრძელდება.

ლევან ჯანეიაშვილი

ლეგიონის ახალი სახელები

ლევან გულორდავა: ქართველი უკრაინული პასპორტით

ამას წინათ ვწერდით, რომ უკრაინის პრემიერლიგის გუნდში უცნობი ქართველი ლევან გულორდავა გამოჩნდა. უკრაინის მოქალაქის, 23 წლის ქართველი ფეხბურთელის მინეყვრემა სერგო ქუთათელაძემ გვითხრა, რომ საბოლოოდ გადაწყვეტილი არ არის, მაგრამ "ოლექსანდრიას" მთავარმა მწვრთნელმა ლეონიდ ბურიაკმა დატოვა და მალე კონტრაქტს გააფორმებსო.

ეს ბიჭი რომ ყოფილიყო რომელიმე მეორეხარისხოვან საფეხბურთო ქვეყანაში, ცხადია, ამბავს ყურიდან ყურში გავატარებდით, მაგრამ უკრაინის პრემიერლიგა სახუმარო დონე ნამდვილად არ არის. დაენტერესდით, მემტევ ნახევარმცველს მივაკითხეთ და ინტერვიუ ჩამოვართვით:

–თუ წინააღმდეგი არ იქნებით, რუსულად ვილაპარაკეთ. რაც უნდა იყოს, საქართველო მატარა ასაკში დატოვეთ და რუსულად ლაპარაკი უფრო მოსვლიდა.

– "ოლექსანდრიასთან" კონტრაქტი თუ გააფორმე?

– კონტრაქტზე 7 თებერვალს ხელი მოვანერე და მ-ნომრიანი მაისურის აღება მსურს. თუმცა, ჯერ ნომრის ამბავი გადაუწყვეტელია.

– კონტრაქტის შესახებ ოფიციალური ინფორმაცია რატომ არ გავრცელდა?

– რატომღაც, უკრაინაში ასეა, კონტრაქტს კი ოფორმებენ, მაგრამ ინფორმაციას მოგვიანებით აქრცელებენ. მაგალითად, ახლახან განაცხადეს ერთი ჩემი ნაცნობი ფეხბურთელის ამბავი, რომელიც "ოლექსანდრიაში" ორი კვირის წინათ ჩაირიცხა. ეტყობა, პრესსამსახურს გვიან აფორთხილებენ. ფაქტია, რომ კონტრაქტი გავაფორმე.

– გუნდში ახალმა მთავარმა მწვრთნელმა ლეონიდ ბურიაკმა მიგიწვია თუ "კარპატიში" გადასულმა ვლადიმერ შარანმა?

– ბურიაკმა მიმიწვია. ეს ამბავი დეკემბერში მოხდა. მაშინ წინააღდეგება მქონდა ბელგიიდან. მაგრამ თამაში უკრაინაში მინდოდა და როდესაც ასეთმა ცნობილმა და ავტორიტეტულმა მწვრთნელმა დამირეკა, ჩვენთან ითამაშო, არც დავფიქრებულვარ – ერთ სათში მანდ ვიქნები–მეთქი.

თურქულ შეკრებაზე გოლი გავიტანე, საგოლე გადაცემებიც მქონდა და ბურიაკმა მითხრა, დამაინტერესე და გუნდში იქნებიო. მისი ნდობა ორმაგად მახარებს, როდესაც დიდი ფეხბურთელი იყო, მეც მის პოზიციაზე ვთამაშობ, რადგან მენდო, გამოვიის, ჩემში რაღაც დაინახა. დიდი იმედი მაქვს, მისი ხელმძღვანელობით თამაში მოვუმატებ.

– როგორ მოხვდი უკრაინაში?

– 11 ნლამდე ზუგდიდის "ლაზიკაში" ვვარჯიშობდი. მამა დნეპროპეტროვსკში მუშაობდა, ზუგდიდში ჩემი დატოვება არ უნდოდა და ნამიყვანა. მაშინვე ძლიერ სკოლაში – "დნეპრ 75"-ში ჩავრიცხე, რომელსაც უკრაინაში გამორჩეული სახელი აქვს, ყველამ იცის, რომ იქ უკრაინის ნაკრების ფეხბურთელებს ზრდიან.

14 წლისა კიევის "დინამოს" სელექციონერებმა შემნიშნეს და გადამიყვანეს. მაგრამ მიზეზთა გამო მითხრეს, "არსენალში" გიკლობ გადასვლა, იქ უფრო გითამაშებენო. მართალიც იყო, უკრაინელი არ ვიყავი, ასეთებს კი "მეთოფეები" უფრო ადვილად იღებენ და მივხედი, დიდი ფეხბურთში მოხვედრა "არსენალიდან" უფრო გამიადვილდებოდა. მართლაც, იქ მეტ ყურადღებას ვგრძნობდი, ხელისგულზე მატარებდნენ, მიქირავეს ბინა და მათ უფრო ვჭირდებოდი, ვიდრე "დინამოს". პასპორტიც სწრაფად მომცეს და შემიძლია ვთქვა, რომ "არსენალის" გაზრდილი ვარ. 16 წლიდან გუნდის ძირითად შემადგენლობაში ვვარჯიშობდი. უკრაინის თასის მერვედფინალში პირველი ლიგის ჩერნოვცის "ბუკოვინასთან" 10 წუთიც მათამაშეს, მაშინ მწვრთნელი ბარანოვი იყო. კარგად მახსოვს, ბოლო წუთზე ვკრიმა "გამოვიმუშავე", გოლი გავიტანეთ და უბედნიერესი ადამიანი ვიყავი.

– "არსენალის" ვებგვერდზე წავაწყდით ფრაზას – იყო დრო, გულორდავას ყველაზე პერსპექტიული ფეხბურთელის ეძახდნენო, მაგრამ გუნდში კარიერა ვერ ვეწყო...

– თასის იმ მატჩის შემდეგ სულ ძირითად გუნდში ვიყავი, ჩემს შანსს ველოდი, მაგრამ არა და არ მათამაშებდნენ, დრო კი გადიოდა და ასე თუ გაგრძელდებოდა, დიდ ფეხბურთს ვერ ვითამაშებდი. ახალგაზრდა ფეხბურთელთათვის კი სათამაშო პრაქტიკა ყველაფერია.

მერე ნავედი სამარის "კრილია სოვეტოვში" გასინჯვაზე, მაგრამ არ დამტოვეს და მივაკითხე ხარკოვის "მეტალისტს", სადაც დუბლებში ამიყვანეს. ცოტა ხნით საქართველოშიც ვითამაშე, მაგრამ 2010 წელს უკრაინაში დავბრუნდი და ნახევარი სეზონი მეორელიგელ ჩერნიგოვის "დესნაში" გავატარე. ამის შემდეგ იყო კიროვოგრადის "ზარკა", სადაცაც მიმიწვიეს "ოლექსანდრიაში".

– საქართველოში როდის და რომელ გუნდში ითამაშე?

– "მეტალისტში" თამაშის დროს ფეხი მოვიტეხე. შინ ყოფნა და ფორმის აღდგენა მჭირდებოდა და ზუგდიდში დარჩენა ვამჯობინე. 2010 წელს "ბაიაში" იყარით გამიშვეს. მაგრამ დუბლებში ვთამაშობდი. სხვათა შორის, ბიძაჩემმა ვალერი გულორდავამ ზვიად სიჭინავასთან ერთად დაინყო "ბაიას" სკოლისა და გუნდის განვითარება. დუბლებში მუშაობდა დღეს ცნობილი ბეერი მოთამაშის გაზრდაში მონაწილეობდა.

მერე ფორმა აღვიდგინე, გუნდს მაღლობა გადავუხადე და "მეტალისტში" დავბრუნდი. დეკემბერში კი "ოლექსანდრიაში" მიმიწვიეს და ასე მოვხედი ბურიაკთან.

– უკრაინის ასაკობრივ ნაკრებში გითამაშია?

– მქონდა შანსი, რადგან კიევის ოლქის ნაკრებში ვთამაშობდი, რომელიც უკრაინის ნაკრების საბაზო გუნდი იყო და მიმინვიეს კიდეც. მაგრამ მიზეზთა გამო არ მითამაშია.

– საქართველოს ნაკრებში მოხვედრაზე გიფიქრია?

– უკრაინაში ვარ გაზრდილი, ძალიან კარგი ხალხია და მუდამ მათი მადლიერი ვიქნები, მაგრამ ყოველთვის საქართველოს ნაკრებში თამაში მინდოდა. ეგაა, დაბალ ლიგაში ყურადღებას არავინ მოგაქცევდა. მაგრამ ახლა პრემიერლიგის გუნდში მოვხედი, საიდანაც ნაკრებში დათო თარგამაძე აიყვანეს. თუ კარგად ვითამაშებ, იმედია, მწვრთნელთა ყურადღებას მეც დავიმსახურებ.

მერაბ მამულაშვილი

რასინგი-ატლეტიკო 0:0

რასინგი (4-2-3-1): ტონიო - ალვარო, ტორეხონი, ბერნარდო სუნიგა, სისმა - დიოპი, გულონი - არანა (58. აკოსტა), ადრიანი (68. მუნიტისი), სამპერიო - სტუანი (83. ბაბაკარი).

ატლეტიკო (4-2-3-1): კურტუა - ხუანფრანი, პერეა, დომინგესი, ფილიპე ლუიში - ტიაგო (43. მ. სუარესი), გაბი - ადრიან ლოპესი, დიეგო, არდა თურანი (69. პიცი) - ფალკაო.

გაფრთხილება: დიოპი, სტუანი, აკოსტა, მუნიტისი - ფილიპე ლუიში, არდა თურანი, ტიაგო, გაბი

კუთხური: 4-9; **ჯარიმა:** 18-25; **თამაშგარე:** 0-6; **კარში დარტყმა:** 6-23 (1-9); **ბურთის ფლობა:** 40%-60%.

მაყურებელი: 18 000

ოსასუნა-ბარსელონა 3:2

ოსასუნა (4-3-3): ა. ფერნანდესი - ბერტრანი, სერხიო, ფლანიო, რაიტალა - პუნიალი, ნეკუნამი, რ. გარსია (87. დამია) - სეხუდო, ნინო (75. ლოლო), ლეკიჩი (69. იბრაჰიმა).

ბარსელონა (4-3-3): ვალდესი - დანი ალვეში, პუიოლი (45. კვენკა), პიკე (69. ფაბრეგასი), აბიდალი - სერხი რობერტო, მასკერანო, ტ. ალკანტარა - სანჩესი, მესი, პედრო (45. ტელიო).

გოლები: 1:0 ლეკიჩი (4), 2:0 ლეკიჩი (22), 2:1 სანჩესი (50), 3:1 რ. გარსია (55), 3:2 ტელიო (72)

გაფრთხილება: რ. გარსია, პუნიალი - სერხი, სანჩესი, ალვეში, ვალდესი, მასკერანო

კუთხური: 3-12; **ჯარიმა:** 23-7; **თამაშგარე:** 3-3; **კარში დარტყმა:** 7-20 (3-8); **ბურთის ფლობა:** 31%-69%.

მაყურებელი: 19 000

ბეტისი-ბილბაო 2:1

ბეტისი (4-3-3): ფაბრისიო - ნელსონი, პაულაუ, დორადო, ნაჩო - ბენატი, ირინეი, სევილია (68. პოსუელო) - რ. კასტრო, მოლინა (74. სანტა კრუსი), მონტერო (54. პერეირა).

ბილბაო (4-2-3-1): ურსაისი - ირაოლა, ხ. მარტინესი, ამორებიეტა, აურტენეჩე (91. ტოკერო) - იტურასპე, ი. პერესი (46. სან ხოსე) - სუსაეტა, მუნიაინი (68. ეკიზა), დე მარკოსი - ფ. ლორენტე.

გოლები: 1:0 რ. კასტრო (10), 1:1 ხ. მარტინესი (22), 2:1 ნელსონი (91)

გაფრთხილება: ირინეი, მოლინა, ბენატი, ნელსონი, სანტა კრუსი - მარტინესი, აურტენეჩე

გაძევება: ხ. მარტინესი (64)

კუთხური: 13-10; **ჯარიმა:** 23-8; **თამაშგარე:** 2-2; **კარში დარტყმა:** 25-9 (5-4); **ბურთის ფლობა:** 54%-46%.

მაყურებელი: 38 000

ესპანიოლი-სარაგოსა 0:2

ესპანიოლი (4-2-3-1): კასილია - ხ. ლოპესი, რ. როდრიგესი, მორენო, დიდაკ ვილა - ფორლინი (64. ტიევი), ვერდუ - ვეისი, რომარიკი, კოუტინიო - კალუ უჩე (71. რუი ფონტე).

სარაგოსა (4-2-3-1): რობერტო - პ. ალვარესი, ლანძარო, და სილვა, ობრადოვიჩი - პინტერი, აპონიო - ორიოლი (73. სუკულინი), ლუის გარსია (60. რუბენ მიკაელი), ლაფიტა - პოშტიგა (84. ხუან კარლოსი).

გოლები: 0:1 და სილვა (56), 0:2 ხუან კარლოსი (90)

გაფრთხილება: კოუტინიო, დიდაკ ვილა - ლაფიტა, ლანძარო, ალვარესი, სუკულინი, რობერტო

კუთხური: 6-8; **ჯარიმა:** 17-24; **თამაშგარე:** 1-5; **კარში დარტყმა:** 14-10 (4-7); **ბურთის ფლობა:** 60%-40%.

მაყურებელი: 23 000

მალაგა-მალიორკა 3:1

მალაგა (4-4-2): კაბალიერო - ს. სანჩესი, ველინგტონი, მატეისენი, მონრეალი - კასორლა (71. ელიზეუ), ტულალანი, რესიო (71. მარესკა), ისკო - სება ფერნანდესი, რონდონი (80. ვან ნისტელროი).

მალიორკა (4-4-2): ავატე - კრესპი, ჩიკო, ნუნიეში, პ. კასერესი (74. ალფარო) - პერეირა (59. ნსუე), პინა, ტისონე, გ. კასტრო - ჰემედი, ალვარო (59. ოგუნჯიმი).

გოლები: 0:1 პერეირა (3), 1:1 სება ფერნადესი (10), 2:1 ტულალანი (54), 3:1 რონდონი (67)

გაფრთხილება: რესიო, ველინგტონი - ჩიკო, ალფარო

კუთხური: 2-3; **ჯარიმა:** 8-15; **თამაშგარე:** 1-7; **კარში დარტყმა:** 17-8 (8-3); **ბურთის ფლობა:** 54%-46%.

მაყურებელი: 25 000

ვალეკანო-ხეტაფე 2:0

რაიო ვალეკანო (4-2-3-1): ხოლელი - ტიტო, არიბასი, პულიდო, კასადო - ფუეგო, მოვილია - პიტი (65. ლ. ბანგურა), მიჩუ, არმენტეროსი (86. ბენიტო) - დ. კოშტა (72. ტამუდო).

ხეტაფე (4-4-2): მოია - ვალერა (68. რაფა), კატა დიასი, ლოპო, მანე - დ. კასტრო (66. ლასენი), მიჩელი, კასკერო (78. არისმენდი), ბარადა - მიკუ, გუისა.

გოლები: 1:0 მიჩუ (33), 2:0 დ. კოშტა (63)

გაფრთხილება: მიჩუ, პულიდო, კოშტა, არიბასი, კასადო - ლოპო, მანე, გუისა

გაძევება: მიჩელი (61)

კუთხური: 4-3; **ჯარიმა:** 19-23; **თამაშგარე:** 7-4; **კარში დარტყმა:** 13-5 (7-0); **ბურთის ფლობა:** 49%-51%.

მაყურებელი: 13 500

ვალენსია-სპორტინგი 4:0

ვალენსია (4-4-2): გუაიტა - მიგელი, რამი, დეალბერტი, მატიო - ფეგული (76. პიატი), ალბელდა, ტ. კოსტა, ალბა (81. ბერნატი) - სოლდადო, ადურისი (70. ჟონასი).

სპორტინგი (4-2-3-1): ხუან პაბლო - ლორა, ბოტია, გრეგორი, კანელია (39. აიოსე) - რივერა, ეგურენი - კარმელო (60. კოლუნგა), ანდრე კაშტრო (73. ბილიჩი), დე ლას კუევასი - ბარალი.

გოლები: 1:0 ფეგული (33), 2:0 ბოტია (73 ს.კ.), 3:0 ჟონასი (91), 4:0 ჟონასი (94)

გაფრთხილება: ალბელდა - ბოტია

კუთხური: 5-5; **ჯარიმა:** 19-15; **თამაშგარე:** 3-3; **კარში დარტყმა:** 22-5 (8-1); **ბურთის ფლობა:** 61%-39%.

მაყურებელი: 42 500

ვილიარეალი-გრანადა 3:1

ვილიარეალი (4-4-2): დ. ლოპესი - ა. ლოპესი, საპატა, მარჩენა, ხ. ორიოლი - კანი, სენა, ბ. ვალერო, კამუნიასი (88. ე. პერესი) - ნილმარი (62. კასტელანი), მ. რუბენი (75. მარტინუჩო).

გრანადა (4-2-3-1): ჟულიო სეზარი - ნიომი, ი. ლოპესი (57. დიახატე), ბ. გომესი, სიკეირა (69. ენრიკე) - ფ. რიკო (67. უჩე), მ. რიკო - ხარა, კ. მარტინში, ბენიტესი - იგჰალო.

გოლები: 1:0 მ. რუბენი (16), 1:1 ი. ლოპესი (50), 2:1 ბ. ვალერო (64), 3:1 ჟულიო სეზარი (73 ს. კ.)

გაფრთხილება: კანი, მარჩენა - იგჰალო, ხარა, დიახატე

გაძევება: დიახატე (88)

კუთხური: 6-5; **ჯარიმა:** 15-12; **თამაშგარე:** 8-3; **კარში დარტყმა:** 11-13 (7-5); **ბურთის ფლობა:** 52%-48%.

მაყურებელი: 17 000

რეალი-ლევანტე 4:2

რეალი (4-2-3-1): კასილიასი - არბელოა, პეპე, სერხიო რამოსი, კოენტრაო - გრანერო (75. ხედირა), ჩაბი ალონსო - ბენზემა, იოზილი (80. კაკა), რონალდო - იგუაინი (66. კალეხონი).

ლევანტე (4-2-3-1): მუნუა - ვენტა, ბალესტეროსი, კაბრალი, დელ ორნო (57. პ. ლოპესი) - ფარინოსი, იბორა - ვალდო (76. ბოტელიო), ელ ჟარი (46. პალიარდო), სერანო - კონე.

გოლები: 0:1 კაბრალი (4), 1:1 რონალდო (44-პენ), 2:1 რონალდო (49), 3:1 რონალდო (56), 3:2 კონე (62), 4:2 ბენზემა (65)

გაფრთხილება: რამოსი, პეპე, არბელოა - სერანო, იბორა, კაბრალი

გაძევება: იბორა (43)

კუთხური: 14-1; **ჯარიმა:** 15-9; **თამაშგარე:** 6-3; **კარში დარტყმა:** 26-5 (9-3); **ბურთის ფლობა:** 78%-22%.

მაყურებელი: 75 000

სოსიედადი-სევილია დღეს. 00:00

	თ	მ	ფ	წ	ბ	ქ
1. რეალი	22	19	1	2	75-21	58
2. ბარსელონა	22	14	6	2	63-16	48
3. ვალენსია	22	11	7	4	35-22	40
4. ლევანტე	22	9	5	8	29-29	32
5. ესპანიოლი	22	9	5	8	25-26	32
6. ატლეტიკო	22	8	7	7	31-27	31
7. მალაგა	22	9	4	9	28-32	31
8. ოსასუნა	22	7	10	5	26-35	31
9. ბილბაო	22	7	9	6	34-30	30
10. ვალეკანო	22	8	4	10	27-32	28
11. ხეტაფე	22	7	6	9	22-29	27
12. სევილია	21	6	8	7	22-24	26
13. ბეტისი	22	8	2	12	25-31	26
14. ვილიარეალი	22	6	8	8	23-30	26
15. მალიორკა	22	6	7	9	19-28	25
16. გრანადა	22	7	4	11	17-31	25
17. სოსიედადი	21	6	6	9	23-30	24
18. რასინგი	22	4	11	7	18-26	23
19. სპორტინგი	22	5	4	13	20-43	19
20. სარაგოსა	22	3	6	13	18-38	15

ბომბარდირები: 27 - კრიშტიანო რონალდო (რეალი); 23 - ლიონელ მესი (ბარსელონა); 14 - გონსალო იგუაინი (რეალი), რადამელ ფალკაო (ატლეტიკო); 12 - რობერტო სოლდადო (ვალენსია); 11 - ფერნანდო ლორენტე (ბილბაო), მიჩუ (რაიო ვალეკანო), ქარიმ ბენზემა (რეალი).

სეგუნდა დივიზიონი. XXIV ტური

სელტა-უელვა 4:1

გოლები: 0:1 პ. სანჩესი (40), 1:1 მარტინესი (55 ს.კ.), 2:1 ასპასი (68), 3:1 ორელანა (87), 4:1 ასპასი (89)

მურსია-ელჩე 0:2

გოლები: 0:1 რუპერი (38), 0:2 ხენერელო (84)

ალკორკონი-უესკა 2:0

გოლები: 1:0 ბაბინი (79), 2:0 საული (89)

ალკოიანო-ლას პალმასი 2:0

გოლები: 1:0 დ. ტორესი (60), 2:0 ა. გარსია (69)

გაძევება: პინიოლი (60. ლას პალმასი)

ბარსელონა II-კარტახენა 4:0

გოლები: 1:0 დეულოფეუ (2), 2:0 მუნიესა (44), 3:0 რაფინია (90), 4:0 დეულოფეუ (90)

გაძევება: მარიანო (67. კარტახენა)

კორდობა-ვალიადოლიდი 2:0

გოლები: 1:0 პატინო (33), 2:0 ბორხა (70)

ხიმნასტიკი-ნუმანსია 1:1

გოლები: 1:0 პერაგონი (30), 1:1 დელ პინო (80)

გვადალახარა-ხერესი 1:2

გოლები: 0:1 ი. ველესი (8), 1:1 სორია (39), 1:2 ლომბანი (74)

გაძევება: ვეგა (79)

საბადელი-ვილიარეალი II 3:1

გოლები: 1:0 სიმონი (52), 2:0 ლანსაროტე (58), 3:0 ბა (83), 3:1 ტრიგეროსი (90)

გაძევება: პორკარი (90. ვილიარეალი)

ერკულესი-დეპორტივო 1:4

გოლები: 0:1 რიკი (21), 0:2 გამა (36), 1:2 ვერა მატეოსი (52), 1:3 სალომაო (87), 1:4 რიკი (90)

ხირონა-ალმერია 0:1

გოლი: 0:1 ორტისი (78)

	თ	მ	ფ	წ	ბ	ქ
1. დეპორტივო	24	16	3	5	41-25	51
2. სელტა	24	14	4	6	41-20	46
3. ვალიადოლიდი	24	12	9	3	38-20	45
4. ალმერია	24	12	9	3	39-23	45
5. ელჩე	24	13	4	7	40-23	43
6. ერკულესი	24	13	3	8	28-22	42
7. კორდობა	24	11	7	6	26-17	40
8. ალკორკონი	24	9	8	7	30-26	35
9. ბარსელონა II	24	9	7	8	40-32	34
10. ნუმანსია	24	8	10	6	29-25	34
11. მურსია	24	9	6	9	28-31	33
12. საბადელი	24	8	8	8	30-40	32
13. ლას პალმასი	24	8	7	9	31-33	31
14. უელვა	24	8	5	11	30-30	29
15. გვადალახარა	24	8	5	11	26-40	29
16. ხერესი	24	7	6	11	26-33	27
17. ალკოიანო	24	6	8	10	25-35	26
18. ვილიარეალი II	24	5	8	11	30-39	23
19. კარტახენა	24	4	8	12	15-33	20
20. უესკა	24	4	7	13	24-40	19
21. ხირონა	24	3	8	13	23-38	17
22. ხიმნასტიკი	24	3	8	13	19-34	17

ბომბარდირები: 17 - ულოა (ალმერია); 10 - კამაჩო (უესკა), ხოსელუ (ვილიარეალი); 9 - ასპასი (სელტა), გუერა (ვალიადოლიდი), პაულო (ხიმნასტიკი), ანხელი (ელჩე).

ესპანეთი. ლა ლიგა. XXII ტური

GAME OVER?

ლეკიანობა ბარსას საჯარიმოში და რონალდოს ბენეფისი

„ბარსელონას" „რეალი" გაუფრინდა, ისევე როგორც **ლეო მესის** - **კრიშტიანო რონალდო.** ნავარული მარცხის შემდეგ ძნელია ჩემპიონისთვის ტიტულის შენარჩუნების შანსებზე ილაპარაკო - სხვაობა „რეალთან" 10 ქულაა! წუხელ კრიშტიანო რონალდომ „სანტიაგო ბერნაბეუზე" ბენეფისი მოიწყო, „ლევანტე" მოარბია და აქაც ცხადი გახადა, მის არგენტინელ მდევარს ძალიან გაუჭირდება პიჩიჩისთვის ბრძოლა - ის ფაქტობრივად, წაგებულია...

■ ■ ■

რაც „ატლეტიკოს" არგენტინელი **დიეგო სიმეონე** ჩაუდგა სათავეში, მადრიდულ გუნდს გოლი არ გაუშვია (ბუნებრივია, არც წაუგია) და ეს მხოლოდ ბელგიელი გოლკიპერის, **ტიბო კურტუას** დამსახურება არაა - 19 წლის კურტუამ „რასინგთან" მატჩში მხოლოდ ერთხელ გადაარჩინა გუნდი, როცა „სევილიას" ახალი დამრიგებლის, **მიჩელის** ვაუმა, **ადრიან გონსალესმა** დაარტყა დაბალ კუთხეში. სხვა მხრივ „რასინგს"

ბარსელონა რეალის დევნაში დაიღალა?

„ატლეტიკო" სერიოზულად არც შეუწუხებია იმდენად დიდი იყო სიმეონეს გუნდის უპირატესობა. მაშ, რატომ ვერ მოიგო „ლოს როხიბლანკოსმა"? მიზეზი მხოლოდ ერთია და მას **ანტონიო როდრიგეს მარტინესი**, უფრო მოკლედ კი **ტონიო** ჰქვია, „რასინგის" კაპიტანი გოლკიპერი, რომელსაც ამ მატჩში... ტრავმის გამო არც უნდა ეთამაშა. სტუმართაგან საუკეთესო მომენტი **ადრიან ლოპესს** შეექმნა, მაგრამ მისი დარტყმული ტონიომ მოიგერია, ისევე, როგორც **ფილიპე ლუიშის**, **რადამელ ფალკაოს** და **დიეგოს** გასროლები. ორჯერ მეკარეს ძელიც დაეხმარა, დიეგოს და ფალკაოს მორიგი დარტყმებისას.

ძალიან კარგად ითამაშა ბრაზილიელმა დიეგომ, რომელიც თანდათან „ატლეტიკოს" ლიდერად ყალიბდება. ყველაზე ცუდი კი, რაც „ატლეტიკოს" შეემთხვა, პირველი ტაიმის მიწურულს პორტუგალიელი **ტიაგოს** მიღებული ტრავმაა, ნახევარმცველმა მარცხენა ფეხზე კუნთი დაიზიანა და თამაშის გაგრძელება ვეღარ შეძლო.

■ ■ ■

„რეინო დე ნავარაზე" შეკრებილი 20 ათასი ადამიანი სიხარულით ადევნებდა თვალს, როგორ კარგავდა „ბარსელონა" ჩემპიონობის რეალურ შანსს. ანგარიში მე-4 წუთზე სერბმა **დეიან ლეკიჩმა რაულ გარსიას** შესანიშნავი პასის შემდეგ გახსნა. ამის შემდეგ **ლეო მესიმ** გაანიავა ანგარიშის გათანაბრების შანსი. 22-ე წუთზე ისევ ლეკიჩის დრო დადგა - როცა სერბმა ახლო მანძილიდან გაიტანა **ალვარო სეხუდოს** ჩამოწოდების შემდეგ. სტუმართაგან ისევ მესი აქტიურობდა, მაგრამ მისი დარტყმული იოლად აილო მეკარე **ანდრეს ფერნანდესმა.**

მეორე ტაიმი ხუთი წუთის დაწყებული იყო, როცა **ალექსის სანჩესმა** ერთი ბურთი გაქვითა, შეცვლაზე შესულმა **ისააკ კვენკამ** შორეულ ძელთან ჩაანოდა და ჩილელმა ყველას დაასწრო. თითქოს, თამაშის ჩარხი შემოტრიალდა, მაგრამ მასპინძელთაგან საუკეთესომ, 25 წლის რაულ გარსიამ გადამწყვეტი გოლი გაიტანა **ვალდესის** კარში. სხვათა შორის, ეს პირველი შემთხვევა არ არის პამპლონელი ნახევარმცველის კარიერაში, როცა მას „ბარსას" კარში გოლი გააქვს.

73-ე წუთზე ჩემპიონს მატჩის გადარჩენის შანსი **კრისტიან ტელიომ** გაუჩინა, როცა საჯარიმოში ცრუ მოძრაობით მოიცილა **ნინო** და ცაციით აულებელი დაარტყა. ამის შემდეგ მეტოქეებმა სახიფათო მომენტები გაცვალეს, „ოსასუნას" კაპიტანმა **ფრანსისკო პუნიალმა** ძელს გაარტყა, ხოლო სანჩესმა სულაც გაიტანა... მაგრამ მსაჯებმა საკამათო თამაშგარე მდგომარეობა დააფიქსირეს. „ბარსას" ბოლო იერიშებმა არაფერი მისცა, ფერნანდესმა ჯერ სანჩესის დარტყმული მოიგერია, შემდეგ შეცვლაზე შესული **ფაბრეგასის** თავური აილო - 3:2. **ხოსეპ გვარდიოლამ** ამ სეზონში სტუმრად უკვე 16 ქულა დაკარგა!

■ ■ ■

ბილბაოს „ატლეტიკმა" სევილიაში ძალიან მნიშვნელოვანი სამი ქულა დატოვა, რომელიც შემდგომში შეიძლება სანანებლადაც გაუხდეს **მარსელო ბიელსას** გუნდს, „ბეტისთან" 1:2 წააგო. ბასკთა ამბიციები **ნელსონმა** ჩაძირა - ბუნებრივია, ადმირალი ნელსონი არაფერ შუაშია, მატჩის 91-ე წუთზე ბილბაოელებს „ბეტისის" პორტუგალიელმა მარჯვენა მცველმა გაუტანა. ეს ნელსონის პირველი მატჩი იყო სეზონში, ის ახლახან დაბრუნდა გუნდში მას მერე, რაც მამა გარდაეცვალა. ფეხბურთელმა ბურთი საჯარიმოს კუთხეში მიიღო და „ბეტისს" მნიშვნელოვანი გამარჯვება მოუტანა.

მანამდე კი მოვლენები ასე განვითარდა, პირველ ტაიმში მასპინძელმა **რუბენ კასტრომ** გახსნა ანგარიში, 15 წუთიც არ იყო გასული ამ ეპიზოდიდან, რომ **ხავი მარტინესმა** გაათანაბრა. მეორე ტაიმში სწორედ ხავი მარტინესი გააძევეს და მას მერე ბასკები მხოლოდ თავს იცავდნენ... 91-ე წუთამდე მათ ეს საქმე კარგად გამოსდიოდათ.

■ ■ ■

ბოლოადგილოსანმა „სარაგოსამ" ოცნების უფლება დაიბრუნა - ბარსელონაში მოულოდნელად „ესპანიოლი" დაამარცხა - 2:0. მოკლედ, ამ ტურში ჩემპიონთა ლიგის მე-4 საგზურისთვის მებრძოლთ „რაღაც" დაემართათ. სამ მიზეზს ჩამოვთვლით, თუ რატომ მოიგო „სარაგოსამ", პირველი, პარაგვაელი მცველის, **პაულო და სილვას** მეტად დროული გოლია, სამხრეთამერიკელი **ლუის გარსიას** კუთხურს გამოეხმაურა და თავით უძლიერესად დაარტყა. მეორე, სტუმართა მეკარე **რობერტო გაგოა,** რომელმაც ყველანაირი დარტყმული მოიგერია, **კოუტინიოს** შეტევის შემთხვევაში კი მას ძელი დაეხმარა. მესამე მიზეზი, ნახევარმცველი **რუბენ მიკაელია**, ის შეცვლაზე შევიდა და „სარაგოსას" თამაში შუახაზში დალაგდა. „ესპანიოლს" არ ჰყავდა წინა ტურის გმირი **ხუან ალბინი**, რომელიც სამი კვირით ლაზარეთში დარჩება.

■ ■ ■

მართალია, „ლა როსალედაზე" ანგარიში სტუმართა ფრანგმა ლეგიონერმა **მიშელ პერეირამ** გახსნა, მაგრამ „მალაგა" ამჯერად გადაურჩა ქულების დაკარგვას - **სება ფერნანდესმა** მალევე გაათანაბრა. მეორე ტაიმში კი **ჟერემი ტულალანმა** და **სალომონ რონდონმა** გაიტანეს. ეს „მალაგას" მეცხრე გამარჯვებაა სეზონში, „მალიორკა" ზუსტად მეცხრედ დამარცხდა. **მანუელ პელეგრინის** ეს მოგება ძვირი დაუჯდა, ტრავმები მიიღეს **რესიომ** და **სანტი კასორლამ.**

■ ■ ■

მართალია, „რეალი"-"ატლეტიკო" არაა, მაგრამ „რაიო ვალეკანოსა" და „ხეტაფეს" დაპირისპირებაც დერბია და შესაბამისად - პრინციპული. **მიჩუმ** და **დიეგო კოშტამ** ტაიმებში თითო გოლი გაიტანეს და „ელვებმა" 2:0 მოიგეს. „ვალეკასზე" ძალზე ციოდა, ამიტომაც თამაში ვერ გამოდგა თვალსასეირო. მეორე ტაიმში კოშტასთან უხეშობისთვის მოედნისან „ხეტაფეს" ნახევარმცველი **მიჩელი** მიაბრძანეს.

■ ■ ■

„ვალენსიამ" ძალზე იოლად მოუგო აუტსაიდერ „სპორტინგს" და განიმტკიცა მე-3 ადგილი. ანგარიში გამანადგურებელი მხოლოდ მსაჯის მიერ დამატებულ წუთებზე გახდა, როცა ბრაზილიელმა **ჟონას ოლივეირამ** დუბლი შეასრულა - 4:0.

■ ■ ■

„ვილიარეალმა" თვალში გამოიხედა, **ხოსე მოლინას** გუნდმა ბოლო 4 მატჩში მესამე მოიგო და გასავარდნ ზონას, სადაც არაფერი ესაქმება, დასცილდა.

გვერდი მოამზადა
ნიკოლოზ ნეფარიძემ

მომდევნო ტური

18 თებერვალი: **ხეტაფე-ესპანიოლი, რეალი-რასინგი, სევილია-ოსასუნა.**

19 თებერვალი: **გრანადა-რეალ სოსიედადი, ბილბაო-მალაგა, სპორტინგი-ატლეტიკო, მალიორკა-ვილიარეალი, ლევანტე-რაიო ვალეკანო, ბარსელონა-ვალენსია.**

20 თებერვალი: **სარაგოსა-ბეტისი.**

პორტუგალია

ლიგა საგრეში. XVIII ტური

ბრაგა-სეტუბალი 3:0

გოლები: 1:0 ლიმა (45), 2:0 ალანი (60), 3:0 ლიმა (84)

მარიტიმუ-სპორტინგი 2:0

გოლები: 1:0 ბენაშური (20), 2:0 დანილო (59)

ბენფიკა-ნასიონალი 4:1

გოლები: 1:0 გარაი (9), 2:0 კარდოსო (21), 2:1 კლაუდემირი (28-პენ), 3:1 როდრიგო (39), 4:1 როდრიგო (62)

ფეირერა-ფეირენზე 3:1

გოლები: 1:0 ჟოზე (7-პენ), 2:0 ლუგო (34), 2:1 ლუდოვიჩი (40-პენ), 3:1 კრისტიანი (89)

ოლანენზე-რიუ ავე 0:2

გოლები: 0:1 იასალდე (2), 0:2 ტომაში (44)

ბეირა მარი-გიმარაეში 0:1

გოლი: 0:1 ტოსკანო (17)

პორტუ-ლეირია 4:0

გოლები: 1:0 იანკო (65), 2:0 ჯ. როდრიგესი (74), 3:0 ა. პერეირა (85), 4:0 მაიკონი (88)

გაძევება: შაფერი (48. ლეირია)

აკადემიკა-ჟილ ვისენტე დღეს. 00:15

	თ	მ	ფ	წ	ბ	ქ
1. ბენფიკა	18	15	3	0	47-15	48
2. პორტუ	18	13	4	1	42-12	43
3. ბრაგა	18	12	4	2	35-16	40
4. სპორტინგი	18	9	5	4	29-16	32
5. მარიტიმუ	18	9	5	4	26-21	32
6. გიმარაეში	18	8	2	8	24-19	26
7. ოლანენზე	18	5	6	7	20-24	21
8. აკადემიკა	17	5	5	7	18-20	20
9. ჟილ ვისენტე	17	4	7	6	17-27	19
10. ნასიონალი	18	5	4	9	17-31	19
11. რიუ ავე	18	5	3	10	16-23	18
12. ფეირერა	18	5	3	10	23-36	18
13. ბეირა მარი	18	4	4	10	14-17	16
14. ფეირენზე	18	3	6	9	13-27	15
15. სეტუბალი	18	3	5	10	14-32	14
16. ლეირია	18	4	2	12	18-37	14

ბომბარდირები: 14 - კარდოსო (ბენფიკა); 11 - ლიმა (ბრაგა); 10 - დიავარა (მარიტიმუ); 9 - ედგარ სილვა (გიმარაეში), ჯ. როდრიგესი (პორტუ).

უცხოური ფეხბურთი

საფრანგეთი. ლიგა 1. XXIII ტური

დაცემა სტად დე ჟერლანზე

ლიონთან ანგარიში რომან ამუმამ გახსნა

10. ლიდსი	30	13	6	11	48-44	45
11. ბარნლი	30	13	5	12	42-36	44
12. ლუტონი	30	11	9	10	40-34	42
13. დერბი	29	12	6	11	33-36	42
14. კრ. პალასი	29	10	9	10	27-28	39
15. ბარნსლი	29	11	6	12	42-46	39
16. უოლფსრდი	30	9	10	11	33-41	37
17. პორტსმუთი	29	9	8	12	33-31	35
18. პიტერბორო	29	9	7	13	46-48	34
19. ისპვიჩი	29	10	4	15	46-57	34
20. ქოვენთრი	30	7	9	14	28-39	30
21. ბრისტოლი სიტი	30	8	6	16	25-44	30
22. ნოტინგემი	29	7	4	18	23-47	25
23. ბრისტოლი	28	6	6	16	23-45	24
24. ქრუვნორი	30	5	7	18	26-43	22

ლიგა 1. XXIII ტური

ქლაბერი–შეფილდ უენს 2:1, პარტიზუნი–ბორნმუთი 0:0, შეფილდ უენ-უიკომბი 3:0, ბრენტფორდი–ოქსფორდი, ჩერსტერფილდი–ჩარლტონი, ლეიტონ-ორიენტი–ბერტონი, ნორდჰემი–ნიოთს კაუნთი, სტივენეიჯი–კარლისლი, ტორკვეი–პრესტონი, უოლსოლი–კოლჩესტერი, ოლდჰემ-ს.ჯანტრიში გადადიდი

● ინგლისი. პრემიერლიგა. XXV ტური

ტერი ანრიმ არსენალს კიდევ ერთი დიდი სამსახური გაუწია

პაპარა ოდი თეპბრის სცენაზე

ადაზე ტურის ანონსშიც ვწერდით. "იუნაიტედი"–"ლივერპულის" მატჩს "ოცნებათა თეატრის" მინდორზე მთელი ქვეყანა ელოდა და ამის მიზეზი მართლ ის არ იყო, რომ ერთმანეთს გრანდები უნდა დაჭიდებოდნენ. მატჩს სხვა ინტრიგაც ახლდა: ინებებდნენ თუ არა მისაღებებას **პატრის ევრა** და **ლუის სუარესი**. საქმე კინალამ მეორე კოფლექტამდე მივიდა, როცა ურუგვაელმა მსაჯების შემდეგ ხელი პირდაპირ **დავიდ დე ხეას** გაუწოდა და არა ფრანგს. ამ ფაქტმა ეჭვი წყობილებდად გამოიყვანა, მეტიქეს ხელი დაუჭირა და... ვერ გეტყვით, მოხდებოდა თუ არა რამე უარესი, მაგრამ სიტუაციაში **პეპე რეინა** ჩაერია და სიტუაცია განიმუხტა. ნანახით გაბრაზებულმა **რიო ფერდინანდმა** მსაჯს დემონსტრაციულად ალარ გაუწოდა ხელი.

ცუდი შესავლის შემდეგ მატჩი ცუდი სანახობითვე გაგრძელდა: ევრას ბურთის მოგერიება ზე მეტად ალბათ სუარესს დამტკერვა სურდა, მაგრამ ურუგვაელს ასცდა და ფერდინანდს ისეთი სისწრაფით დაეკვახა, რომ ეს უკანასკნელი კირით დაეცა და კინალამ დამბედა. პირველი რეალური საგოლე მომენტი **გლენ ჯონსონს** ქონდა. ის ფლანგიდან საჯარიმოს მოუახლოვდა, შორეულ, დაბალ კუთხეში დაარტყა, თუმცა არაზუსტად. **რაიან გიგზის** ბისის შემდეგ კი ახლოდან გატანა **პოლ სქოულზს** მარითებდა, მაგრამ ვეტერანმა პირფასიანი მეკარეს გაარტყა. ერთი შეხედვით საკამათო მომენტი იყო ტანმის მინერულს. **დირკ კუიტის** პასის შემდეგ სუარესმა ევრას ბაკეჭვი უთარა გვერდი, მაგრამ დაზღვევის ოდელურად ითამაშა ფერდინანდმა, ვინც მეტიქეს ბურთი ფეხიდან ააცალა. რომ არა მინიმალური კონტაქტი ბურთან, რო პირფასიან ნიიელ ბარათს მილებდა - სუარესი ხომ დე ხეასთან პირისპირ რჩებოდა.

მეორე ნახევარი დაიწყო თუ და მატჩის ბედი ზუსტად 4 წუთში გადაწყდა. "ლივერპულის" დაცვა ორჯერ ჩავარდა, **უეინ რუნიმ** კი ორივე შემთხვევა იდეალურად გამოიყენა. კუთხურის გათამაშებაზე ბისას ის წამით გაათავისუფლდა და ისე გაიგანა. შემდეგ კი **ანგრინი ვალენსიამ** ნაარივე ბურთ **ჯეი ს.პირისეს** და თანაგუნდელის იდეალურ პოზიციაზე დაუყარა. "იუნაიტედმა" მეტოქის ბოლომდე გაბრაზებულება მოინახავნა, მაგრამ გუნდს სუზუსტე არ ეყო. მე-80 წუთზე ისევ სუარესმა გამოარინა ბრჭყალები, როცა ფერდინანდის შეცდომით ისარგებლა და ევრას ახლოდან გაუტანა. საფინალო სასტვენამდე ანგარიშს გათანაბრება ჯონსონსაც შეეძლო, მაგრამ ეს ხეამ დიდებული დარტყმა აუღო.

■■■

მშვენიერ ფორმაში მყოფი "სანდერლენდი" "არსენალს" დაუხვდა. პირველ ტაიმში ბურთის ფლობა გუნდებს თანაბარი ჰქონდათ, მაგრამ სტუმრები ამას უფრო ეფექტურად იყენებდნენ და უფრო ხშირად ურტყამდნენ კარში. მეორე ნახევარში სიტუაცია შეიცვალა. ტემპმა მოიმატა. მსპინძლებმა მცირე უპირატესობა მოიპოვეს. შჩესნის 61-ე და 63-ე წუთებზე მოუხდა ოსტატობის დემონსტრირება. 71-ე წუთზე **ჯერ მერტზაკარმა** პასის მომენტში იტკინა ფეხი (რის გამოც შესაცვლელი შეიქნა) და ბურთი მეტოქეს ჩააპარა. **ჯვიმს მაკლინმა** შანსი ხელიდან არ გაუშვა, შეიჭრა საჯარიმოში და შორეულ კუთხეში გაიგანა. 75-ე წუთზე შეცვლილმა **აარონ რემსიმ** საჯარიმოს გარედან ძლიერი დარტყმით ნონსანორობა აღადგინა. შეხვედრას წერტილი ამ ფეხბურთელებმა დაუსვეს, ვინც რეზიგნით მაგრი სათადარიგოთი შორის დაინეყეს. **ანდრეი არშავინმა** ბურთი მარცხენა ფლანგზე მიიღო. მან დროულად შენიშნა **ტიერი ანრის** მოძრაობა, ცოტა ცენტრისკენ შეინია და ფრანგ ვარსკვლავს ბურთი ფეხზე დაასვა, ვინც გოლი აკრობატულ ნახტომში შეგადო. "მეთოდეთა" ლეგენდამ "არსენალი" ამ გოლით ცხრილში მე-4 ადგილზე გადაასკუპა. შეგახსენებთ, რომ აქამდე ეს ადგილი "ჩელსის" ეკავა.

■■■

რა ხდება ბუღების თქმა, წესით, **ანდრე ვილამ ბოამმა** უნდა იცოდეს, მაგრამ ფაქტია, რომ 34 წლის მწერნელს "ჩელსის" პრობლემებთან გამკლავება სულ უფრო უჭირს. ლაპარაკი იმაზე, რომ **რომან აბრამოვიჩს** ყოველდღიური ვიზიტები "ვობეინის" ბაზაზე გუნდის გასამხნევებლად მიმართული ნაბიჯებია, წყლის ნაყვას ემსგავსება. აშკარაა, მილიარდერის სტუმრობების შემდეგ ფეხი მეტად იძაბებიან ფეხბურთელებიც და თავად მწერნელიც. რემპითონთა ლიგის მიღმა დარჩენა კი "ჩელსის" თაყვანცემულ ფანებსაც ძალიან დაძაბუნებდა, რასთან შეგუებასაც, რასაკვირველია, არავინ აპირებს. მოდი, გულწრფელად ვთქვათ, "ევერტონმა" მეტოქეს დამსაზურებულად მოუვო. ანგარიში მე-5 წუთზე გაიხსნა, როცა **სტივენ პიენაარის** წინააღმდეგ სბუმპოთა დაცვამ ძალიან ცუდად ითამაშა. სამხრეთაფრიკელმა **ივანოვიჩა** და **ბოსინგვამ** პოზიცია მოუგო, ბურთი მკერდით შეიგდო და ჩუხს მანსი არ დაუტოვა. დაცვა მეორე გოლის დროსაც მნარედ შეცდა. ჯერ ივანოვიჩი მოტყუდა, მერე ბოსინგვამაც ვერ მოახერხა ზუსტი პოზიციის დაკავება, ყველაფერი კი იმით დაგვირგვინდა, რომ ჩეხმაც ვერ მოახერხა თანაგუნდელების დაზღვევა. ვილამ ბოამმა მოედალება სასრნაფოდ შეუშვა ახალი ფეხბურთელები, თუმცა ვერც **რაიან ბრუკჩანმა** და ვერც **რობერტ ლუკაკუმ** გუნდს ვერაფერი უშველეს. მატჩის შემდეგ "ლურჯების" მთავარმა მწერნელმა გულნრფელად აღიარა, რომ მისმა გუნდმა სეზონის ყველაზე სუსტი მატჩი ჩაატარა. მოულობის თუ არა გულს აბრაშოვიჩს მისი გულნრფელი აღიარება? თუკი ასე დიდხანს გაგრძელდა, ვეარაუდობთ, რომ ვილამ ბოამი სეზონის მნიშვნელამდეც ვერ მიუნეს "არისტოკრატთა" თავკაცის რანგში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რომ არა "იუნაიტედი"–"ლივერპული", ამ მატჩს ნამდვილად ექნებოდა პრეტენზია ტაროს ცენტრალურ თამაშზე. ერთმანეთს ხომ იმ მომენტისთვის პრემიერლიგის მე-3 და მე-5 გუნდები ხვდებოდნენ. "უკიდ პარკ ლეინზე" "მანტენების" ნამდვილად ფავორიტი იყო, მაგრამ მატჩის ასეთ დამცირებას ალბათ ძნელად თუ ვინმე წარმოიდგენდა. გოლების ცალ-ცალკე აღნერით თავს ნამდვილად არ შეგანყენთ, უბრალოდ იმას აღვნიშნავთ, რაც აუცილებელია. ამბის დიდი ანგარიშით "დეზრბს" "კაჭკაჭები" შორეულ 1950 წელს ჰყავდათ დამარცხებული (7:0). ამ გუნდების კიდევ ერთი მატჩი გვახსოვდება. 1996-ში "სენტ ჯეიმს პარკზე" მასპინძლებმა 7:1 იმარჯვა, უცნაური კი ის იყო, რომ მეორე დღეს ტროფდატარი **კევინ კიგანი** თანადებიზიდან გადადგა. მაბათის მატჩიდან კი იმის აღნიშვნა შეიძლება, რომ **ლუის საა** დუბლი შეასრულა, არადა, "დეზრბში" მხოლოდ მეორე მატჩი ჩაატარა. დაბოლოს, **ემანუელ ადებაიორის** გმირობაზეც უნდა ვთქვათ, ტიტოელმა გოლის გარდა 4 საგოლე გადაცემა მიითვალა.

ვეპრდი მოკბაზე
ლევან ბიჩილაშვილმა

მომდევნო ტური:

25 თებერვალი: **ლივერპული–ვესტჰემი, ჩელსი–ბოლტონი, ნიუკასლი–უოლვერჰემპტონი, ქუინზ პარკ–ფულჰემი, ვესტ ბრომვიჩი–სანდერლენდი, უიგანი–ასტონ ვილა, მანჩესტერ სიტი–ბლეკბერნი**

26 თებერვალი: **არსენალი–ტოტენჰემი, ნორვიჩი–მანჩესტერ იუნაიტედი, სტოკ სითი–სუონსი**

ეროვნული

პრემიერლიგა. XXVI ტური

დანდორკლაბი–რინჯერსი 1:4

გოლები: 1:0 კირკი (16), 1:1 პიელი (24), 1:2 მაკალოხი (39), 1:3 ალუარო (70), 1:4 სპერკარი (85)

სალტიკი–ინვერნესი 1:0

გოლი: 1:0 ლეგელი (16)

კილმარნოკი–ჯალთონი 1:1

გოლები: 1:0 მუეირნანი (79), 1:1 სუსო (90)

სტ. ჯონსტონი–დანდი უნეტ. 1:5

გოლები: 0:1 ანდერსონი (35) ს.ჯ.-ში, 0:2 დაუდსონი (61) ს.ჯ.-ში, 1:2 ანდერსონი (66), 1:3 რასელი (84), 1:4 დეივი (89), 1:5 ლასენი (90)

სტ. მირენი–მეზერველი 0:0

ჰიბერნიანი–აბერდონი 0:0

	თ	მ	ფ	წ	ბ	ქ
1. სელტიკი	26	21	2	3	53-16	65
2. რანჯერსი	26	19	4	3	51-15	61
3. მეზერველი	25	12	6	7	31-29	42
4. ჯალთონი	26	10	6	10	31-23	36
5. სტ. ჯონსტონი	25	10	5	10	33-32	35
6. დანდი უნეტ.	25	7	9	9	38-39	30
7. აბერდონი	26	7	9	10	27-30	30
8. კილმარნოკი	25	6	11	8	29-36	29
9. სტ. მირენი	26	6	10	10	25-36	28
10. ინვერნესი	25	7	5	13	30-41	26
11. ჰიბერნიანი	25	4	7	14	24-45	19
12. დანდონალდი	26	4	6	16	28-58	18

ბომბარდირები: 14 – ნიკოლა იელავიჩი (რეინჯერსი) *, 13 - გარი ჰუპერი (სელტიკი), 11-11 ჯონ დეივი (დანდი უონაიტედი), ფრანსის სანდსონ (სტ. ჯონსტონი)

* ნიკოლა იელავიჩი ევერტონში გადავიდა

ქართული სპორტი

ძიუდო. ავსტრიის თასი

მედლები და იმედი ავსტრიიდან

ჩვენმა ძიუდოისტებმა 2 ოქროსა და თითო ვერცხლ-ბრინჯაოთი ანუ ჯამში ოთხი მედლით, აშკარად გაუმჯობესებული ჭიდაობით და მომატებული ოპტიმიზმით დაამთავრეს ავსტრიული მსოფლიოს თასი. ობერვარტში ჩემპიონები **ბეთქილ შუკვანი** (60) და **ლევან წიკლაური** (81) გახდნენ, მძიმე წონაში კი **ადამ ოქრუაშვილი** მეორეზე, ხოლო **ზვიად ხანჯალიაშვილი** მესამეზე გავიდნენ. **პაატა მერებაშვილი** (60) და **ზებედა რეხვიაშვილი** (73) მეხუთეზე დარჩნენ, **ნუგზარ ტატალაშვილი** (73) – მეშვიდეზე.

მედალოსანთაგან ხარისხობრივად ყველამ გვაჩვენა პროგრესი, მაგრამ ხანჯალიაშვილმა თუ დაახლოებით მოლოდინისამებრ იჭიდავა (ოღონდ ამჯერად ბევრად დაკვირვებით ირჯებოდა და მისთვის მომაკვდინებელ უკუგდებასაც აღარ იყენებდა, რასაც ბოლო ხანებში საერთოდ გაურბის), დანარჩენებში მეტი პროგრესია. თუმცა შუკვანი მაინც გამორჩეული იყო... მას და წიკლაურს ტექნიკური ქართული სტილი ახასიათებთ, რასაც არც ახლა უღალატეს, ოღონდ შუკვანი ცოტა უფრო დამაჯერებელი და ეფექტური მოგვეჩვენა.

შუკვანმა თბილისის შემდეგ ზედიზედ მეორე მსოფლიოს თასი მოიგო. ახლა მისი მონაგარი 482 ქულაა და სალიცენზიო რეიტინგში XIV ადგილზეა. ობერვარტში არ ჭიდაობდნენ წონის მთავარი ლიდერები და არც გვაქვს ილუზია, რომ ჩვენებური მათთანაც ასე იოლად მოუგებს, მაგრამ მის მიერ ნაჩვენები ჭიდაობის ხარისხი ქებას ნამდვილად იმსახურებს. შუკვანმა ხუთივე ორთაბრძოლაში იპონით იმარჯვა და ტურნირის მოგებას სულ რაღაც ექვსწუთნახევარი მოანდომა! ადრინდელთან შედარებით ბევრად უკეთ მომზადებულს ყველაფერი შეუდარებლად კარგად გამოსდიოდა – სისწრაფეც, ერთმანეთზე უფრო ლამაზი გდებებიც და არსენალიც უფრო მრავალფეროვანი ჰქონდა. საინტერესოა, რომ თითქმის ყველა შეხვედრა სხვადასხვა ილეთით მოიგო, რაც მის მდიდარ ტექნიკაზე მიუთითებს. განსაკუთრებით ეფექტური ნახევარფინალში კორეელ **ინ-მინ იანგთან** მოგება იყო, როცა ვარდნაში ლამის დაცემულმა ჰაერში აატრიალა მეტოქე. არანაკლებ საინტერესო იყო ერთი წრით ადრე მონღოლ **ბოლბაატარ ჩიმედ-იონდონთან** მოგებაც, რომელიც გარესარმით იოლად „გადატეხა" ბეჭებზე. არადა, იქაურები კარგი ფიზიკური მომზადებით გამოირჩევიან და ასეთების გადადრეკა არაა იოლი. მათ ფონზე მავიხსენოთ, რა თქვა ნაკრების მწვრთნელმა **პეტერ ზაიზენბახერმა** ამ თემაზე საუბრისას – დავსხდებით და შევაჯამებთ, ვის ვისთან რა შანსი აქვს და გადაწყვეტილებას ისე მივიღებთო. ვფიქრობთ, ევროპის პირველობაც ბევრ რამეს გაარკვევს, სადაც ორივე იჭიდავებს, თუმცა ერთს კი შევნიშნავთ - პაპინაშვილი შუკვანის მიერ გადათელილ კორეელ ინ-მინ იანგთან შარშან დიუსელდორფში დამარცხდა.

წიკლაური საქართველოს ჩემპიონიცაა, თბილისის ტურნირზეც მესამეზე გავიდა, მაგრამ ავსტრიაში ცოტა ვინმე თუ მიიჩნევდა ფავორიტად. ჩვენებურს ტოგოელი **საშა დენანიო** კიდევ კარგად გაუძალიანდა – ლამის 2 წუთი გაძლო იპონამდე, თურქ **აჰმეტ სარის** კი ვაზარით აჯობა. პოლონელ **ლუკაშ ბლაშს** 3 გაფრთხილებით მოუგო, ოღონდ აქაც მტკიცედ ეპყრა შეხვედრის სადავეები და არბიტრს მეტოქე სავსებით კანონზომიერად, ჭკვიანური ტაქტიკით დააჯარიმებინა – იმდენად კარგად ბორკავდა, პოლონელის გაფრთხილება დროის საკითხი იყო. თუმცა როცა იუკოთი დაწინაურდა, აქ მისთვის ჩვეული ერთი ცუდი თვისება გამოავლინა, რაც სამომავლოდ უნდა მოიშალოს – დროის გაყვანაზე დაიწყო ფიქრი და აშკარად გაურბოდა ჭიდაობას. ეს არაა ტაქტიკა და დროის გაყვანა სხვანაირად შეიძლება, ხოლო ინიციატივა ასე ადვილად არ უნდა დათმო. მით უფრო, როცა მეტოქესაც გასაღებს მოარგებ და ასე იოლად აფრთხილებინებ. კიდევ კარგი, დროზე მოეგო გონს და სასურველ შედეგს მიაღწია. მან უსწრაფესი და, ალბათ, ულამაზესი ბრძოლაც ფრანგ **ლოის პიეტრისთან** მიითვალა, რომელიც 20 წამში გარეფეხით მოცელა, ნახევარფინალში ლატვიელ **კონსტატინ ოვჩინიკოვსს** ვაზარით აჯობა, ფინალში კი მასავით მოულოდნელ ფავორიტს, კანადელ **ანტოინ ვალოის-ფორტიერს** მტკივნეულით მოუგო. აქ წიკლაურს ნამდვილად წაადგა სამბოს სკოლა, სადაც ჩოქბჯენში ჭიდაობა ძიუდოზე ბევრად კარგადაა შემონახული.

შემოდგომიდან მოყოლებული ოქრუაშვილიც გარდაისახა და შედეგებსაც აღწევს. ფინალამდე ხუთი იპონი მიითვალა და საკმაოდ ძლიერებთანაც, თუმცა თავიდან ბრიტანელ **მეთიუ კლემპნერთან** ბეწვის ხიდზეც გაიარა, ჩერნოგორიელ **მარკო რადულოვიჩთან**, ფრანგ **მატიო ბატესთან**, კორეელ **სუნგ-მინ კიმთან** და იაპონელ **კაზუჰიკო ტაკაჰაშისთან** კი ასე სასწორზე არ დაუდია მოგება. ფინალში კუბელ მსოფლიოს ვიცე-ჩემპიონსა და ოლიმპიურ პრიზიორ

+100 კილოგრამი. კვარცხლბეკი. მარცხნივ - ადამ ოქრუაშვილი, მარჯვნივ - ზვიად ხანჯალიაშვილი

როკოელ **იასინ მუდატირთან** და ლატვიელ **ანდრეას მაჯერსთან** (ამასაც ეფექტური იპონი გაუკეთა შუაკაურით) წმინდა მოგებები გასაკვირიც არაა, ფინალში კი აზერბაიჯანელი მსოფლიოს პრიზიორი **ილგარ მუშკიევი** 55 წამში დააიპონა. ჩიმედ-იონდონის არ იყოს, ქართველებს ესეც დაბრიყვებული ჰყავთ – **ამირან პაპინაშვილმაც** სამივე შეხვედრა მოუგო და ახლა შუკვანმაც მესამედ აჯობა. თუმცა ამჯერად იყო ეპიზოდი, როცა აზერბაიჯანელს მსაჯებმა გდება არ შეუფასეს, მაგრამ, ალბათ, სამართლიანადაც. ეტყობა, ამან ისედაც მოტივირებულ შუკვანს დამატებითი სტიმული მისცა და რამდენიმე წამში ჩახვეული ფეხით ტომარასავით დააბერტყა.

ძნელი წარმოსადგენია, დარჩენილ სამ სალიცენზიო ტურნირში შუკვანი ქულებით გაუთანაბრდეს პაპინაშვილს, თუმცა მან თუ ეს ფორმა შეინარჩუნა, მწვრთნელებს ოლიმპიადაზე წამსვლელის დასასახელებლად დიდი თავსატეხი გაუჩნდებათ. ალბათ, ყველაზე უკეთესი ვარიანტი საკონტროლო შეხვედრა იქნება, მაგრამ გა**ოსკარ ბრისონთან**, ვფიქრობ, ცოტა რისკიანად იჭიდავა, რაღაც ავანტურისტულად ეკვროდა და კუბელმა იოლად დააიპონა. ხანჯალიაშვილი თითქოს ცოტა უფრო შემტევიც იყო. ისიც ბრისონთან დამარცხდა – მეოთხედფინალში (მანამ პერუელი **კარლოს ერიკ პრესერ სეგარა** 20 წამში დააიპონა, მონღოლ **მუნკბაატარ ხადბაატარს** კი 3 გაფრთხილებით მოუგო), სანუგეშოში კი ჯერ ესტონელი ევროპის ჩემპიონი **მარტინ პადარი** მოახსნევინა, ბრინჯაოსთვის ბრძოლაში კი ორი გაფრთხილებით დაწინაურებულმა ზემოხსენებული იაპონელი ტაკაჰაში დადო ბეჭებზე.

იმედის ბიჭები

უმედლოდ დარჩენის მიუხედავად, ტურნირი დადებითად ჩაეთვლებათ მერებაშვილსა და რეხვიაშვილს, რომლებიც ნელ-ნელა სძლევენ ჩავარდნას. ყოველ შემთხვევაში, ამის ნიშნები ავსტრიაში დავინახეთ. მაგალითად, მერებაშვილი სასურველი ფორმისგან კვლავაც შორსაა, მაგრამ სლოვენიელ **მატიას ტრბოვცთან** მოგების შემდეგ მონღოლი **ბოლდბაატარ განბატი** უნაკლოდ გამოცელა. მთლად სუსტი არც საფრანგეთის ვიცე-ჩემპიონი **ისაამ ნოური** იქნებოდა, მაგრამ ვაზარით აჯობა, თუმცა როცა საქმე ტაქტიკურ-ტექნიკურად კარგად განსწავლულ და ფიზიკურად მშვენივრად მომზადებულ კორეელებზე მიდგა, წააგო – ჯერ **ვონ-ინ კიმთან**, მერე დამამშვიდებლის ფინალში – ზემოხსენებულ იანგთან. ვფიქრობ, მერებაშვილს ახლა სჭირდება ბევრი შეჯიბრება, ხელის წაშველება, რათა საკუთარი თავისა ირწმუნოს; დაიჯეროს, რომ მოგება შეუძლია, თუმცა ჩავლებებზე, ახალ სტილზე მანაც ბევრი უნდა იმუშაოს.

რეხვიაშვილს წმინდა მოგებებით არ გამოუჩენია თავი, უფრო შედეგზე ჭიდაობდა, რაც ყაზახ **აზამატ კიპშაკაევთან**, ფრანგ **იორდან ამოროსთან**, ჰოლანდიელ **ნეალ ვან დე კამერთან** და ებრაელ **იოსებ ფალელაშვილთან** ეყო, მაგრამ კორეელ-იაპონელებთან – არა, მეოთხედფინალში იაპონელ **იუკი ნიშიამასთან** წააგო, დამამშვიდებლის ფინალში – კორეელ **ვონ-იუნგ კიმთან**.

ავსტრიული შუქ-ჩრდილები

ალბათ, **შალვა ქარდავამ** (66) ბოლო შანსიც დაკარგა – პირველივე წრეში დამარცხდა ყირგიზ **ისლამ ბაიალინოვთან**. **თენგიზ პაპოშვილი** (73), **ბეთქილ ნავერიანი** (90) და **ლაშა შავდათუაშვილიც** (66) თავიდანვე გამოვარდნენ, თუმცა შავდათუაშვილს ძლიერი მეტოქეც ჰყავდა – მონღოლი **ტუმურკულეგ დავაადორჯი**. მონღოლი 60-ის მოჭიდავეა და იქაურ ოლიმპიურ რეიტინგში მეექვსეა, მაგრამ შავდათუაშვილს მასთან ურიგოდ არ უჭიდავია. უმედლობისთვის ვერც **ნუგზარ ტატალაშვილს** (73) ვუსაყვედურებთ, რადგან ორგანიზატორთა უთავბოლობით, ფორს-მაჟორში მოუწია ჭიდაობამ – არასწორად განაწილებული შეხვედრათა გრაფიკის გამო ბოლო სამი შეხვედრა ლამის შეუსვენებლად ჩაატარა (ასევე დამართეს ოქრუაშვილსაც – ნახევარ საათში სამჯერ გავიდა ტატამზე). ვიდრე ნორმალურ რეჟიმში უწევდა ასპარეზობა, მანამ ტატალაშვილმა ორი შეხვედრა გაფრთხილებით, ხოლო ერთიც წმინდად მოიგო, მერე კი რეხვიაშვილის მომგებ კორეელთან და თურქ **სეზერ ჰიუზუსთან** წააგო. **ავთანდილ ჭრიკიშვილი** (81) პარიზში ხომ 4 წამში დამარცხდა და ახლაც უფრო თავისით დათმო შეხვედრა დამატებითში უნგრელ **ლასლო ჩოკნიაისთან**. თუმცა დამატებითში შესამჩნევადაც დაიღალა, მეტოქემ კი, პირიქით, უფრო მოუმატა. იმ საბედისწერო ეპიზოდში ჭრიკიშვილი მოუმზადებელი დახვდა მეტოქის შემოტევას და თავდაცვა ველარ მოასწრო, უნგრელს თვითონაც დიდად შეუწყო ხელი იუკოზე ვარდნაში. სამწუხაროდ, ერთი მოგების მიუხედავად, **ზურაბ ზვიადაურმა** (90) ვერც ამჯერად გვაჩვენა რამე დამაიმედებელი. 100-ში **ნოდარ მეტრეველმა** წონა ვერ ჩააბარა და არც უჭიდავია. თურმე ის ავსტრიაში ძირითადად სამედიცინო გამოკვლევისთვის მიჰყავდათ, ხოლო თუ წონასაც დაიკლებდა, კიდეც აჭიდავებდნენ. ცოტა უჩვეულო გადაწყვეტილებაა – მან ბოლო დღეებში 10 კილოგრამზე მეტი დაიკლო და კიდევ 6-7-ის დაკლებას რომ ვერ შეძლებდა, საიდუმლო ვისთვის იყო. აჯობებდა, ის სამედიცინო შემოწმების მიზნით წაეყვანათ, ამ წონაში კი საქართველოს ჩემპიონი და თბილისის ტურნირის მედალოსანი **ირაკლი ქობლიანიძე** ეჭიდავებინათ, რომელიც არსად გამოუცდიათ.

ირაკლი თავაძე

კვარცხლბეკი

60 კგ. 1. ბეთქილ შუკვანი (საქართველო), 2. ილგარ მუშკიევი (აზერბაიჯანი), 3. ჯინ-მინ ჯანგი, ვონ-ჯინ კიმი (ორივე - კორეა), **5. პაატა მერებაშვილი (საქართველო).**

66 კგ. 1. პიერ დუპრატი (საფრანგეთი), 2. ტომოფუმი ტაკაჯო (იაპონია), 3. იუნ-ჰო ჩო (კორეა), ალტანსუკჰ დოვდონი (მონღოლეთი).

73 კგ. 1. სოჰეი ონო (იაპონია), 2. ჯოო-ჯინ კიმი, 3. ვონ-ჯუნ კიმი (ორივე - კორეა), იუკი ნიშიამა (იაპონია). **5. ზებედა რეხვიაშვილი, 7. ნუგზარ ტატალაშვილი (ორივე - საქართველო).**

81 კგ. 1. ლევან წიკლაური (საქართველო), 2. ანტოინ ვალოის-ფორტიერი (კანადა), 3. კონსტანტინ ოვჩინიკოვსი (ლატვია), ლოის პიეტრი (საფრანგეთი).

90 კგ. 1. დმიტრი გერასიმენკო (სერბეთი), 2. ვალენტინ გრეკოვი (უკრაინა), 3. კრისტოფ ლამბერტი (გერმანია), კიუ-ვონ ლეე (კორეა).

100 კგ. 1. პეტერ გუსინსი (გერმანია), 2. გრიგორი მინასკინი (ესტონეთი), 3. ტამუულენ ბატულგა (მონღოლეთი), ელკო ფან დერ ხესტი (ბელგია).

+100 კგ. 1. ოსკარ ბრისონი (კუბა), **2. ადამ ოქრუაშვილი, 3. ზვიად ხანჯალიაშვილი (ორივე – საქართველო),** სუნგ-მინ კიმი (კორეა).

ფარიკაობა

თბილისსა და პიზაში

გასულ უქმეებზე თბილისის ფარიკაობის დარბაზში 1995 წელს და უფრო გვიან დაბადებულ მუშკეტერთა საქართველოს პირველობა გაიმართა. შეჯიბრებაში მასპინძლებთან ერთად ქუთაისის, რუსთავის, აჭარის, აფხაზეთისა და ოზურგეთის (სოფელ შრომაში წელიწადიც არ არის ფარიკაობის ჯგუფი გაიხსნა) 80-მდე წარმომადგენელი მონაწილეობდა. საგულისხმოა, რომ იმერეთის ფარიკაობის ფედერაციამ (პრეზიდენტი **ლევან კირკიტაძე**) პირველობაზე სრულყოფილი - 24 სპორტსმენისგან დაკომპლექტებული გუნდი მოავლინა. დაძაბული ორთაბრძოლების შემდეგ საპრიზო ადგილებზე გავიდნენ:

გოგონები. ხმალი. 1. ქრისტინე ნოზაძე (თბილისი), 2. ანა სინატაშვილი, 3. თამარ კენჯია (ორივე - ქუთაისი), 3. ელენე ნანობაშვილი (თბილისი). **რაპირა.** 1. ნუცა იაგორაშვილი (თბილისი), 2. მარიამ ცუხიშვილი (რუსთავი), 3. ანა მელია, 3. ლიკა ჯიჯეიშვილი (ორივე - თბილისი). **დაშნა.** 1. თამარ ჭეიშვილი, 2. მარიამ ზაკირჩენკო, 3. ნინო ფცქიალაძე, 3. ქრისტინე მიქაძე (ოთხივე - ქუთაისი).

ვაჟები. ხმალი. 1. გივი მერკვილაძე, 2. ოთარ შანიძე (ორივე - ქუთაისი), 3. ნიკოლოზ შენგელია, 3. ლევან ჩოთალიშვილი (ორივე - თბილისი). **რაპირა.** 1. ნიკოლოზ ვეფხვიაშვილი (რუსთავი), 2. გიორგი ხართიშვილი, 3. გიორგი გელაშვილი (ორივე - თბილისი), 3. გიორგი ქუმბურიძე (ქუთაისი). **დაშნა.** 1. ლევან ფცქიალაძე, 2. ირაკლი ფანცხავა, 3. გიორგი ჭურაშვილი (სამივე - ქუთაისი), 3. დავით ბოლდავაძე (თბილისი).

„სანამ კადეტები თბილისში არკვევდნენ ურთიერთობას, მათმა თანატოლებმა - ლუკა ლალანიძემ, თეონა გოგლიძემ (რაპირა) და საბა სულამანიძემ (ხმალი) დედაქალაქის ფარიკაობის ფედერაციისა (პრეზიდენტი პაპუნა პეტრიაშვილი) და მერიის დაფინანსებით იტალიის ქალაქ პიზაში შაბათ-კვირას კადეტთა ევროპის თასზე იასპარეზეს. სულამანიძემ 96 მონაწილეს შორის მე-7 ადგილი დაიკავა, ხოლო ლალანიძე და გოგლიძე, შესაბამისად, 92-ე და 93-ე ადგილებით დაკმაყოფილდნენ. რაც შეეხება მოხმალავეთა ეროვნულ ნაკრებს (ბექა და სანდრო ბაზაძეები, კახაბერ მაღრაძე, მიხეილ მარდალეიშვილი), ამჟამად მთავარი მწვრთნელის - მერაბ ბაზაძის ხელმძღვანელობით რომში იტალიის და იაპონიის გუნდებთან ერთად ემზადება მსოფლიოს თასის მორიგი ეტაპისთვის. ამ პირად-გუნდურ სალიცენზიო შესარჩევ შეჯიბრებას მომავალ უქმეებზე იტალიური პადოვა უმასპინძლებს", - გვითხრა საქართველოს ფარიკაობის ფედერაციის გენერალურმა მდივანმა **დავით სახვაძემ.**

ვაჟა დანელია

ჭადრაკი

სოფიო გვეტაძე

რამაზ გურგენიძე

ნანა იოსელიანის თასზე

ქართველ მოჭადრაკე ქალთა კოჰორტაში, ვინაც შორს გაიტანა ჩვენი ქვეყნის სახელი, გახლავთ **ნანა იოსელიანი** - მსოფლიო საჭადრაკო ოლიმპიადების ხუთგზის გამარჯვებული, თითო ვერცხლისა და ბრინჯაოს მფლობელი, საბჭოთა კავშირის ოთხგზის ჩემპიონი, დაფნის გვირგვინისთვის ფინალური მატჩების ორგზის მონაწილე (1988 წელს **მაია ჩიბურდანიძესთან** დამარცხდა - 7,5:8,5, 1991-ში კი ჩინელ **სიუ ჟუნს** დანებდა - 2,5:8,5). სახელოვან ქართველ დიდოსტატს გუშინ 50 წელი შეუსრულდა. ნახევარსაუკუნოვან იუბილესთან დაკავშირებით საქართველოს ჭადრაკის ფედერაციამ ბლიცტურნირი მოაწყო ნანა იოსელიანის თასზე მოჭადრაკე ქალებისა და მასმედიის წარმომადგენლებისთვის. მანდილოსნებში მოასპარეზეთა შორის იყვნენ საქართველოს ნაკრების წევრები - ლელა ჯავახიშვილი, ნინო ხურციძე, ბელა ხოტენაშვილი, სალომე მელია, ასევე, დიდოსტატები - სოფიო გვეტაძე, ნინო ბაციაშვილი, სოფიკო გურამიშვილი, თამარ წერეთელი, მაკა ფურცელაძე, თამარ ხმიადაშვილი, სხვადასხვა ასაკში მსოფლიოს და ევროპის ჩემპიონები - ქეთი ნაწალაშვილი და მარიამ დანელია. სულ 26 მოჭადრაკე.

შვიდი შესაძლებლიდან 6 ქულით პირველი ადგილი **სოფიო გვეტაძემ** დაიკავა. მთავარი პრიზის მფლობელს ნახევარი ქულით ჩამორჩა **ნინო ხურციძე**, რომელსაც მეორე ადგილი ხვდა. 5-5 ქულით, შესაბამისად, მესამე-მეხუთე ადგილები **ბელა ხოტენაშვილმა, ნინო ბაციაშვილმა** და **სოფიო გურამიშვილმა** გაინაწილეს.

ჟურნალისტთა პაექრობაში პირველობისთვის მასმედიის 10 წარმომადგენელი იბრძოდა შვეიცარიული სისტემით. შვიდი შეხვედრიდან ხუთი მოიგო და ორი ყაიმით დაასრულა **რამაზ გურგენიძემ** („პალიტრა მედია"). 6 ქულით მან ყველას აჯობა. 5,5-5,5 ქულით მეორე-მესამე ადგილები **ზაქრო ინწკირველმა** („რუსთავი-2") და **თენგიზ ჩობანიძემ** („მსოფლიო სპორტი") გაიყვეს.

გამარჯვებულები და პრიზიორები სპეციალური თასებით და ფასიანი საჩუქრებით ჭადრაკის ფედერაციის პრეზიდენტმა **გია გიორგაძემ** დააჯილდოვა.

ვაჟა დანელია

ავტორის ფოტო

სატურნირო მდგომარეობა გაიუმჯობესეს

მოსკოვში აეროფლოტის საჭადრაკო საერთაშორისო ფესტივალზე განვლილ შაბათ-კვირას ორი ტურის პარტიები გათამაშდა. **ბაადურ ჯობავამ ა** ტურნირში ელთაჯ საფარლისთან წაფორხილების შემდეგ თეთრებით რუს პაველ პონკრატოვს სძლია. იმავე დღეს **ნაზი პაიკიძემ** ადამ ტუხაევთან წააგო. გუშინ ჯობავა შავი ფიგურებით 70-ე სვლაზე სანან სიუგიროვს (რუსეთი) დაუზავდა, პაიკიძე კი ალექსეი პრიდოროჟნის (რუსეთი) შეუთანხმდა ყაიმზე. 6 ტურის შემდეგ 5 ქულით ანტონ კორობოვი (უკრაინა) დაწინაურდა. 4,5-4,5 ქულით მეორე-მეოთხე ადგილებს პაველ ელიანოვი (უკრაინა), ფაბიანო კარუანა (იტალია) და მათეუშ ბარტელი (პოლონეთი) ინაწილებენ. ჯობავას 3,5, პაიკიძეს 1 ქულა აქვს.

B ტურნირში **მერი არაბიძემ** ზედიზედ ორი რუსი მეტოქე (სტანისლავ ჟელეზნი და ვასილი კორჩმარი) დაჯაბნა და 2,5 ქულას მოუყარა თავი. 5 ქულით თურქი ემრე ჯანი მეწინავეობს. გრიგორი ოპარინი და სერგეი გრიშჩუკი (ორივე-რუსეთი) 5-5 ქულით მეორე-მესამე ადგილებზე არიან.

ვაჟა დანელია

ინდორი ჰოკეი

დარბაზის ჰოკეი ქუთაისმა მოიგო

ინდორი (დარბაზის) ჰოკეიში საქართველოს ჩემპიონატში, რომელიც ქუთაისის სპორტის სასახლეში გაიმართა, 5 ვუნდი მონაწილეობდა. პირველობისთვის ბრძოლა ლანჩხუთის, ბაბანის და ქუთაისის ორი გუნდი იბრძოდა. უკანონობის გამო, ქუთაისში ჩასული ვერ შეძლო და შეჯიბრებას გამოაკლდა «ოზურგეთი». ჯგუფუური ტურნირის ნახევარფინალების შემდეგ III-IV ადგილებისთვის ერთმანეთს «ქუთაისი 2» (მე-12 სპორტსკოლის გუნდი) და «ბაბანა» დაუპირისპირდნენ. შეხვედრა ქუთაისელთა გამარჯვებით 5:2 დასრულდა. ფინალურ მატჩში კი «ქუთაისმა» «აჭარას» 4:1 სძლია და ჩემპიონის ტიტულს დაეუფლა. ჩემპიონატის დებიუტანტ საქართველოს ჰოკეის ფედერაციას 2011 წლის ნაკრებიდან ჰოკეისტები **სოსო ჯუხაძინძე** და **გიორგი სვანიძე** (ორივე – «ქუთაისი») დაუვილდეს. «ნლუეულს ინდორ ჰოკეიში ეფროპის ჩელენჯ კაპზე, რომელიც თურქეთის ქალაქ მალათიაში ჩატარდება, პირველად საქართველოს ეროსების სამორის ნაკრებიდან ორსულობის გამო გამოაკლდა ჩემპიონობის 24-ჯერ მოგებული გუნდი. ნლეულსვე პირველად საქართველოს 16-წლამდელ ჭაბუკთა და გოგონათა ნაკრები გუნდები მონაწილეობას მიიღებენ ევროპის პირველობაში, რომელიც საფრანგეთში 19 იანვრის ჩატარდება. ნაკრები «ქუთაისის» და «აჭარის» ბაზაზე დაკომპლექტდება.

«ქუთაისი»

დავით ჯოხაძე
ქუთაისიდან

სპორტი ყველასათვის. მაგიდის ჩოგბურთი

პირველი კლუბის პირველი ტურნირი

საქართველოს პარლამენტის ფრაქცია ქრისტიან-დემოკრატების პატრატის უფროსი **დავით ლორთქიფანიძე** ჯანსაღი ცხოვრების წესის მიმდევარია და მის „მენეჯერ" სპორტს წამყვანი ადგილი ეთმობა. განსაკუთრებით მინი-ფეხბურთითაა გატაცებული, მაგრამ გამოცდილად თუ არა, რომ კომპანია „ბილაინი" თავის ახალშექმნილი სამოყვარულო სპორტკლუბის პირველ პირველობას გასულ შაბათს აბონენტებისთვის მაგიდის ჩოგბურთში აგარებდა, უმალვე იქ გაჩნდნენ და წარმატებითაც იასპარეზა.

ტურნირი შესანიშნავად იყო ორგანიზებული სპორტის სამინისტროს, მაგიდის ჩოგბურთისა და „სპორტი ყველასათვის" ეროვნული ფედერაციის თანადგომით. აბონენტ სპორტმსმენთა შორის ადგილები ასე განაწილდა: 1. **ილია სიმონიანი**, 2. **დავით ცატუროვი**, 3. **ზალვა ყაზახაშვილი**; **ქალები:** 1. **თეონა თვაური**, 2. **თამარ კირკიტაძე**, 3. **დინარა ხომერიკი**. მოყვარულთა შორის კი პირველობა **გიორგი თალაკვაძეს** ხვდა წილად, მეორე დავით ლორთქიფანიძეს იყო, შესამე - **ალექსანდრე დადიანი**.

გუნდურ პირველობაში გამარჯვება „ბილაინის" პირველ გუნდს ხვდა წილად, მეორე და შესამე ადგილებზე შესაბამისად ამბავე სპორტკლუბის შესამე და მეორე გუნდები გავიდნენ.

დაკომპლექტდა ვაჟთა და ქალთა ნაკრები, რომლებიც სხვადასხვა შეჯიბრებებში კლუბის სახელით იასპარეზებენ.

თენგიზ თოდუაშვილი

გამარჯვებულები და პრიზიორები

ჩოგბურთი

ქართული წყვილის ამერიკული ტრიუმფი

სამწუხაროდ, **ანა ტატიშვილმა** (80) სარეიტინგო ქულების შემატების ძალით კარგი შანსი გაუჩნდა ხელიდან - მიდელენის საერთაშორისო ტურნირში, რომლის საპრიზო ფონდი 100 ათასი დოლარია, მე-3 ნომრად განთესილმა ქართველმა მე-7 ნომრად განთესილ ბელარუს **ოლგა გოვორცოვასთან** (97) ნაადო - 1:6, 3:6. არადა, გამარჯვების შემთხვევაში ანა 70 ქულას მიიღებდა. ჩვენებურობა 36 საურეიტინგო ქულა მაინც გამოიშუავა.

ამერიკულ რანჩო შირატში (25 ათასი დოლარი) ქართველმა ჩოგბურთელებმა ნარუმატებლად იასპარეზეს ერთეულთა თანრიგი, მაგრამ წყვილთა ტიტული ჩვენებურებს დარჩათ - **სოფიო შაფათავამ** (264) და **ეკა გორგოძემ** (387) ზედიზედ 4 ორთაბრძოლა მოიგეს და პირველობა არავის დაანებეს. მათ ჯერ მე-4 ნომრად განთესილი უკრაინელები, **ბურიაჩოკი** და **იანჩუკი** დაამარცხეს - 6:1, 6:4. შემდეგ გზადან იტალიელი **ბარიერი** და სლოვაკი **ლუკანაროვა** ჩამოიცილეს - 7:5, 6:3. ნახევარფინალში ქართველებმა ამერიკელებს (**ფინკი, ლამპკინი**) მოუგეს - 6:1, 6:3. ფინალში ჩვენებურთა მეტოქე მე-3 ნომრად განთესილი სლოვაკურ-რუსული (**ვიენეროვა, სოლოვიევა**) დუეტი იყო, სამ სეტში ქართველებმა იმარჯვეს - 6:2, 3:6, 10:6.

ეს ტიტული მეოთხეა 21 წლის გორგოძის კარიერაში და მეშვიდე 23 წლის შაფათავასთვის.

ნიკოლოზ ნებერიძე

კალათბურთი. ქართველი NBA-ში

სუპერ მაჭრი სუპერმენის წრიალებს

დაბადებისა და გაბავშვების წელს

ძართველებმა ამაყები ვართ, რის გამოც ზოგჯერ რეალობასაც ვცილდებით. ყველაზე მეტად ზომიერება ჟურნალისტებს მოგვეთხოება. თუმცა შაბათს გამთენიისას «ორლანდო"-"ატლანტას" მატჩი რომ ვუნახეთ, ემოციების შეკავებაც გაგიჭირდებოდათ და ოვერტაიმის ბოლოს ყველაზე თავდავიწყებით ქართველიც ტაშს შემოჰკრავდა. საქმე ისაა, რომ **ზაზა ფაჩულიას** "ატლანტამ" **დუაით ჰოვარდის** "ორლანდო" მისსვეე მოედანზე დამატებით დროში დაამარცხა.

უფრო მნიშვნელოვანი კი ისაა, რომ მატჩს წერტილი ზაზამ დაუსვა: დამატებითი დროს ამოწურვამდე 23 წამით ადრე საკუთარი ფარიდან ასხლეტილი ბურთი ჰოვარდს არ დაუთმო, საპასუხო შეტევაში კი **მერენ უილიამსმა** ორიდან ერთი საჯარიმო გამოიყენა და "ატლანტა" 88:86 დაანახვარა. სირენამდე 11 წამით ადრე ზაზამ **ჯეკისონ რიჩარდსონი** წესების დარღვევით შეაჩერა (ესის ჯეისონთა, გაზაფხულზე ფაჩულიასთან რომ იწზება), რომელმაც პირველი საჯარიმო გამოიყენა, მეორე ააცილა და ბურთი კვლავ ქართველმა ცენტრმა მოიხელთა. ორლანდოელები უმალ დაჯარიმდნენ. 10 წამით ადრე ზაზა მშვიდად მოუახლოდა საჯარიმოს ხაზს, პირველი ტყორცნა გამოიყენა და 89:87. დარჩენილ დროში „მეფიქის" კალათბურთელებმა ვერც „ჯადოსნური ჯოხი" მოიქნიეს და ვერც ბურთი - მატჩი ორქულიანი სხვაობით ზაზას თანაგუნდელებმა მოიგეს.

ფაჩულიას ორმაგ დუბლამდე ერთი ქულა დააკლდა, მაგრამ ამ მატჩში მისი სტატისტიკა არაფერს ნიშნავს, მთავარია, რომ ზაზამ მსოფლიოს საუკეთესო ცენტრის, დუაით ჰოვარდის წინააღმდეგ ითამაშა კარგად. ორლანდოელების მთავარი კოზერი სწორედ სუპერმენად წოდებული დუაითია, კოზირის სათანადოდ ვერგამოყენება კი „მეფიქს" ზოგჯერ წაგებად უჯდება.

■ ■ ■

ქართული ასოებით რამდენიც უნდა ეწეროთ: ზაზამ ჰოვარდი გაანეიტრალა, იმდენად ღირებული არ იქნება, რამდენადაც ამერიკელების ნათქვამი. მაგრის იქაურ მიმოხილვებში ცალკე ჯაზაცი ფაჩულიასა და ჰოვარდის დუელს ეთმობოდა.

როსტოკში

ქართველი წყალბმტბოელები ინდივიდუალურსა და სინქრონშიც ფინალში მოხვდნენ

ბერმანულ როსტოკში წყალბმტობის მეოთხე საერთაშორისო დღე ორმოცდამეცხრემეტად აღნიშნეს. გრან პრის გათამაშებები 28 ქვეყნის 200-მდე სპორტსმენი მონაწილეობს, მათ შორის საქართველოდან - **ჭოლა ჭანტურია** და **შოთა კორახაშვილი** (მწვრთნელი - სანყლოსნო სახეობათა ეროვნული ფედერაციის გენერალური მდივანი **ირაკლი ბერთაია**). ასპარეზობის პირველ დღეს საკვალიფიკაციო ეტაპზე 3-მეტრიანი ტრამპლინიდან ხტომაში 37 მეტოქესთან პაექრობაში ჭანტურია 12 საუკეთესოში, ანუ ფინალში მოხვდა. სინქრონულ ხტომებში ჩვენმა ბიჭებმა გადამწყვეტ ეტაპზე 348 ქულით მე-7 ადგილი დაიკავეს. რომ არა მსაჯების მიკერძოება, შესაძლოა, მეხუთე ადგილზე გასულიყვნენ, რადგან კანადელებმა ქართველებს ორი, ნორვეგიელებმა კი სამი ქულით გაუსწრეს. „შეგირდების გამოსვლით კმაყოფილი ვარ. არბიტრებს მეტი ობიექტურობა რომ გამოეჩინათ, შედეგები უკეთესი იქნებოდა. ასპარეზობის მთავარმა მსაჯმა ფრანს კონებერგმა მითხრა, პატარა ქვეყნის წარმომადგენლები ხართ, არბიტრები კარგად არ გიცნობენ და, შემთხვევითობა რომ გამორიცხონ, თითოულ ნახტომს მკაცრად აფასებენ. სხვა შეჯიბრებებში, დარწმუნებული ვარ, უკეთესი შედეგები გვქნებათო", - გვაცნო ირაკლი ბართაიამ როსტოკიდან. პირველ-მესამე ადგილები მასპინძელთა, უკრაინელთა და ავსტრალიელთა დუეტებმა გაინაწილეს.

ვაჟა დანელია

ორლანდო-ატლანტა 87:89

ზაზა ფაჩულია: 43 წუთი, 9 ქულა (6-დან 3 ორქულიანი, 4-დან 3 საჯარიმო), 10 მოხსნა, 2 პასი, 1 ჩაჭრა, 4 ფოლი.

I პერიოდი	
11:25	ორქულიანი: 2ქ	2-2
11:00	ჩაჭრა: 1 (ჯოვარლს ჩაუჭრა)	2-2
10:48	ორქულიანი: 4ქ	4-2
8:06	მოხსნა: შეტ-0, დაც-1	8-7
6:37	ორქულიანი: არაზუსტი	13-7
4:54	მოხსნა: შეტ-0, დაც-2	16-9
2:43	ფოლი: 1	16-16
1:39	დებიუტი ზაზა შეცვალა	18-17
II პერიოდი		
6:33	ზაზამ რაღაცნაირი შეცვალა	26-23
6:20	მოხსნა: შეტ-0, დაც-3	26-23
2:55	პასი: 1 (ჯონსონი 2ქ)	32-30
III პერიოდი		
11:18	მოხსნა: შეტ-0, დაც-4	41-39
10:41	პასი: 2 (ჯონსონი 2ქ)	43-39
10:21	ფოლი: 2	43-39
7:56	მოხსნა: შეტ-0, დაც-5	48-44
7:43	ორქულიანი: არაზუსტი	48-44
7:28	მოხსნა: შეტ-0, დაც-6	48-44
0:34	ორქულიანი: არაზუსტი	61-54
0:06	გრინგა ზაზა შეცვალა	61-54
IV პერიოდი		
9:11	ზაზამ ე. ჯონსონი შეცვალა	71-62
6:56	საჯარიმოები: 2/2 (6ქ)	73-66
6:09	მოხსნა: შეტ-0, დაც-7	73-66
2:57	ორქულიანი: 8ქ	77-70
2:57	მოხსნა: შეტ-1, დაც-7	77-70
0:12	გრინგა ზაზა შეცვალა	78-76
ექსტაზიები		
4:35	ფოლი: 3	78-78
0:23	მოხსნა: შეტ-1, დაც-8	87-86
0:11	ფოლი: 4	88-86
0:10	მოხსნა: შეტ-1, დაც-9	88-87
0:10	საჯარიმოები: 2/1 (9ქ)	89-87

სპორტული ანეკდოტები

ვინც ფაჩულიას შესახებ ჩვენს გაზეთში ხშირად კითხულობს, დაკვირვებული იქნება, რომ ყოველთვის მის ასაკს, 27 წელს ვასახელებდით. ამჯერად 28 დავწერეთ, მაგრამ არ შეგეშლია - სწორედ „ორლანდოსთან" მატჩის დღეს გახდა 28 წლისა და წინასამატჩო გახურებისას თანაგუნდელი **ივან ჯონსონისგან** მხახინი Happy Birthday დაიმსახურა.

ვაჟა სიმონიშვილი

ვინც ფაჩულიას შესახებ ჩვენს გაზეთში ხშირად კითხულობს, დაკვირვებული იქნება, რომ ყოველთვის მის ასაკს, 27 წელს ვასახელებდით. ამჯერად 28 დავწერეთ, მაგრამ არ შეგეშლია - სწორედ „ორლანდოსთან" მატჩის დღეს გახდა 28 წლისა და წინასამატჩო გახურებისას თანაგუნდელი **ივან ჯონსონისგან** მხახინი Happy Birthday დაიმსახურა.

ვაჟა სიმონიშვილი

კალათბურთი

სუპერლიგა. XIII ტური

13

შაბათს სუპერლიგის მე-13 ტურის ოთხი მატჩი გაიმართა. სიმბოლურია, რომ ოთხ შეხვედრაში ხუთმა კალათბურთელმა ჩააგდო 13 ქულა, ხოლო სამმა ბურთი 13-ჯერ მოხსნა. ამ უკანასკნელთა შორის იყო სოხუმელი **ლაშა ფარლალავა**, რომელსაც სამმაგ დუბლამდე კინკილა პასი დააკლდა: 28 ქულა, 13 მოხსნა, 9 პასი, 2 ჩაჭრა. რაც მეტს ლაპარაკობ, მით მეტ შეცდომას უშვებო, ნათქვამია. ლაშა ფარლალავაც ბევრ სამქულიანს ისვრის და გასაკვირი არ არის, ბევრსაც აცილებდეს. შაბათს კი პერიმეტრიდან სნაიპერის სიზუსტით ისროლა: 6-დან 4 სამქულიანი ჩააგდო. მისმა გუნდმა 87:68 დაამარცხა ძლიერი „სამედიცინო". ამიტომ, მე-13 ტურის საუკეთესო კალათბურთელად სწორედ ფარლალავა დავასახელეთ.

ნამატჩევს გამართულ პრესკონფერენციაზე „სოხუმის" მთავარმა მწვრთნელმა **რიმვიდას სამულენასმა** ლაშა ფარლალავა იახლა.

- ჩემს კარიერაში იყო შემთხვევა, როცა სამმაგ დუბლამდე ერთი პასი დამაკლდა, მაგრამ სტატისტიკას არ ვუყურებ. ჩემთვის მთავარი გამარჯვებაა. შესაძლოა, მართლაც ბევრ სამქულიანს ვისვრი... ახალგაზრდა ვარ და საკუთარ თავს მინდა დავუმტკიცო, რომ შემიძლია. ძირითადად ისეთ შემთხვევებში ვტყორცნი ბევრს, როცა დიდი სხვაობით ვიგებთ. ასეა თუ ისე, ამ მიმართულებით საკუთარ თავზე კიდევ სამუშაო მაქვს, - თქვა ლაშამ.

11 თებერვალი

თბილისი. სპორტის სასახლე

თსუ–ბათუმი 95:74

32:20, 24:23, 17:14, 22:17

თსუ: თავამაიშვილი (7ქ), ნინიაშვილი (8ქ, 7მ), ჩიტაშვილი (5ქ, 5მ, 8პ), ხიზანიშვილი (7ქ), შერმადინი (8ქ, 6მ), ზ. მაისურაძე (4ქ, 5პ), ჩქარეული (13ქ, 3პ), ბაქრაძე (3ქ, 3პ), ჩიკვილაძე (21ქ, 8მ, 5პ), ბერუაშვილი (19ქ, 12მ, 3პ, 3ჩ).

ბათუმი: ვ. მაისურაძე (11ქ, 3პ), რამიშვილი (11ქ), მიქელაძე (13ქ, 9პ, 6მ), ელიაშვილი (3ქ), ემირიძე, კეშელავა (8ქ), ნინუა (3ქ), ელიაძე (16ქ, 8მ, 2დ), რევაზაშვილი (9ქ, 5მ).

მსაჯები: ზ. მაჩალაძე, ს. საინერსი, დ. ბერიშვილი.

თსუ-სა და „ბათუმის" მატჩში გამარჯვებულის ვინაობა წინასწარ იოლი გამოსაცნობი იყო, თუმცა რამდენიმე საინტერესო ნიუანსი მაინც უნდა შევნიშნოთ. თბილისელთა მთავარმა მწვრთნელმა, **ნუგზარ ჭეიშვილმა** ერთი კვირის წინათ თქვა: ახალწვეულებს, **ჩიკვილაძეს, ბაქრაძესა და ბერუაშვილს** ჩვენს სტილთან მოსარგებად დრო სჭირდებათო. თუმცა ბექა ჩიკვილაძე ზედიზედ მეორე ტურია, თსუ-ს ბომბარდირობას არავის უთმობს. მე-13 ტურში კი აღსანიშნავი ვასილ ბერუაშვილის ეფექტური თამაშია, რომელსაც ქორქია-საკანდელიძის მემორიალსა და საქართველოს თასზე აშკარად ეტყობოდა, რომ ახალ გარემოში არ იყო სათანადოდ გაშინაურებული. „ბათუმთან" კი ყველაზე სასარგებლო იყო - 19 ქულა, 12 მოხსნა, 29 მქკ.

ბათუმელთაგან კი ახალგაზრდა გამთამაშებელმა **ირაკლი მიქელაძემ** კიდევ ერთხელ დაგვანახა, რომ სამომავლოდ მისი იმედი უნდა გვქონდეს - 13 ქულა, 9 პასი, 6 მოხსნა.

ბევრი რამ პირველი პერიოდის ბოლოს გადაწყდა, როცა თსუ-მ მეტოქეს პრესინგი დაუწესა, 12:0 გაიქცა და 32:17 დაწინაურდა.

სამედიცინო-სოხუმი

ნამატჩევს

ნუგზარ ჭეიშვილი (თსუ-ს მწვრთნელი):

- მიუხედავად იმისა, რომ მოვიგეთ, უამრავი ხარვეზი გვქონდა, რაც მომავალში უნდა გამოვასწოროთ. დიდი სხვაობა დაფიქსირდა, რასაც არ ველოდით.

მიხეილ კობეშავიძე („ბათუმის" მწვრთნელი):

- გამოუცდელი კალათბურთელებით რთულია ძლიერ გუნდებთან თამაში და შედეგიც სახეზეა. იმედია მომავალში შემადგენლობას გავაძლიერებთ, წინააღმდეგ შემთხვევაში კონკურენტუნარიანი გუნდი ვერ ვიქნებით.

სტუ-შსს

11 თებერვალი

თბილისი. სპორტის სასახლე

დინამო–არმია 66:83

12:19, 19:23, 14:19, 21:22

დინამო: ს. ლეჟავა (9ქ), მარხვაშვილი (1ქ, 3პ), კეიდია (10ქ), ალხანაიძე, მეხრიშვილი (2ქ), სუხიშვილი, წივწივაძე (12ქ, 4პ), ოლუიჩი (7ქ, 6დ), კარტერი (25ქ, 13მ).

არმია: რიჩარდსონი (18ქ), ბოისა (3ქ), მინაშვილი (5ქ, 6მ), კვიმსაძე (2ქ), ათანელიშვილი (10ქ, 6მ), შელბომი (19ქ, 10მ, 3პ, 3დ), დიასი (4ქ, 3პ), ვუდსაიდი (18ქ, 7პ, 5მ), საყვარელიძე (4ქ, 3პ), შარაბიძე.

მსაჯები: მ. კუპატაძე, დ. ბერეკაშვილი, ი. ბერიშვილი.

ტურის ცენტრალური მატჩი „დინამოსა" და „არმიას" დაპირისპირება იყო. შეხვედრას ორივე გუნდი სერიოზული დანაკლისით შეხვდა, თუმცა ორი წამყვანი კალათბურთელის არყოფნა (**სანაძისა და ზესევიჩის**) დინამოელებს უფრო დაეტყოთ. ამის მიუხედავად მათ ჩემპიონატის ფავორიტთან ღირსეულად იბრძოლეს.

„არმიამ" მეტოქეს ფარქვეშ პირველი წრის საუკეთესო მძიმე ფორვარდის **უილიამ ტომასის** გარეშეც აჯობა - ბურთი 41-ჯერ მოხსნა, მაშინ, როცა დინამოელები ფარიდან ასხლეტილ ბურთს 28-ჯერ დაეუფლნენ.

ნამატჩევს

კოტე ტულუში („არმიის" მწვრთნელი):

- „დინამო" პროგრესირებადი, სიმპათიური გუნდია. ეს მან წინა ტურშიც დაამტკიცა ერთ-ერთი ფავორიტის, „ქუთაისის" ძლევით. გამარჯვებით კმაყოფილი ვარ. დღეიდან ვემზადებით მომავალი, მნიშვნელოვანი მატჩისთვის, რომელიც ქუთაისში გველის.

ირაკლი ხოშტარია („დინამოს" მწვრთნელი):

- ხუთეულის ორი ტრავმირებული მოთამაშე არ გვყავდა, მაგრამ ამას წაგებას არ დავაბრალებ. დღეს ფავორიტს ვეთამაშეთ, „არმია" ჩვენზე ძლიერია და მას როგორც კონკურენტს არ აღვიქვამთ.

ანატოლი ბოისა („არმია"):

- სანახაობრივი მატჩი გამოდგა. იყო ბევრი კარგი სათამაშო ეპიზოდი. მაყურებელი, რომელიც ამ თამაშს დაესწრო, ნამდვილად არ ინანებდა.

11 თებერვალი

თბილისი. სპორტის სასახლე

სამედიცინო–სოხუმი 68:87

18:16, 12:18, 14:24, 24:29

სამედიცინო: ტომარაძე (7ქ, 3პ), კვეტენაძე (3ქ, 8მ), ყველაშვილი, პირველაშვილი (3ქ), გაბისონია, აბაიშვილი (2ქ), შვანგირაძე (12ქ), ჭოჭუა (4ქ), ილიჩი (13ქ, 13მ, 3პ), დვალიშვილი (18ქ, 8მ), სამოილოვიჩი (6ქ, 3პ).

სოხუმი: ფარლალავა (28ქ, 13მ, 9პ), ჩლაიძე (7ქ), ათუაშვილი (10ქ), ფაცაცია (21ქ, 10მ, 5პ, 3ჩ), გაფრინდაშვილი (2ქ, 3პ), ქადარია (10ქ, 10მ, 4დ), ჯგერენაია, ჯანაშია, ჩაჩიბაია (9ქ).

მსაჯები: ზ. მაჩალაძე, მ. კუპატაძე, დ. ბერიშვილი.

მატჩის შემდეგ ორივე გუნდის გამორჩეულმა კალათბურთელებმა, **აკაკი დვალიშვილმა** („სამედიცინო") და **ლევან ფაცაციამ** („სოხუმი") კოჭმჩხეულებმა დატოვეს მოედანი. რამდენად სერიოზულია მათი ტრავმები, დღეს გაირკვევა.

დინამო-არმია

თუნდაც ორი კალათბურთელის დაშავება ცხადყოფს, რომ მოედანზე სერიოზული ბრძოლა გაჩაღდა. საწყის წუთებზე „მედიკოსები" დაწინაურდნენ (10:2), მაგრამ „სოხუმმა" მას შემდეგ მატჩი სტაბილურად ჩაატარა და მესამე პერიოდიდან საგრძნობ უპირატესობასაც დაეუფლა. სტუდენტებს განსაკუთრებით მეტოქის სწრაფი შეტევების შეკავება გაუჭირდათ - იერიშების პირველივე ფაზაში დაგვირგვინების შედეგად „სოხუმმა" 24 ქულა მოაგროვა, „სამედიცინომ" მხოლოდ 9.

შეხვედრის ბომბარდირი ფარლალავა ტურის საუკეთესოდ რომ დავასახელეთ, ზემოთ უკვე მოგახსენეთ.

ნამატჩევს

რიმვიდას სამულენასი („სოხუმის" მწვრთნელი):

- ისეთი იოლი მატჩი არ ყოფილა, როგორც ეს შედეგიდან ჩანს. პირველ ტაიმში ორივე გუნდმა თანაბარი თამაში ვაჩვენეთ. მხოლოდ მესამე ტაიმში გამოვასწორეთ სიტუაცია, რამაც შესაძლებლობა მოგვცა დიდი სხვაობით დავწინაურებულიყავით.

კახა შენგელია („სამედიცინოს" მწვრთნელი):

- „სოხუმის" დასამარცხებლად რესურსი არ გვეყო. გუნდის ყველა მოთამაშეს ვაფასებ, თუმცა აღვნიშნავ, რომ არ გვყავს ცენტრისა და გამთამაშებლის სრულფასოვანი შემცვლელი. ნემანია ილიჩი მძიმე ფორვარდია, ხოლო აკაკი დვალიშვილმა დღეს ფეხის ტრავმა მიიღო. წაგებას აკაკის ტრავმას არ დავაბრალებ, თუმცა რომ არ დაშავებულიყო, უფრო საინტერესო მატჩი იქნებოდა. არც ისეთი სუსტი გუნდი ვართ, ნებისმიერ გუნდს უბრძოლველად დავნებდეთ და არც ისეთი ძლიერი, რომ ყველა დავამარცხოთ.

გიგა კვეტენაძე (სამედიცინო):

- ბევრი ბურთი დავკარგეთ. შეცდომები გვქონდა დაცვაში, რაც „სოხუმმა" არ გვაპატია. ეს სამომავლოდ აუცილებლად უნდა გამოვასწოროთ.

11 თებერვალი

თბილისი. სპორტის სასახლე

სტუ–შსს აკადემია 59:97

14:30, 11:19, 19:23, 15:25

სტუ: ტეტელაშვილი (3ქ), თევზაძე (2ქ), ჭოხონელიძე, მაჩალაძე (6ქ, 5მ), ხანიაშვილი (9ქ, 3პ), ჯავახიშვილი, დეკანოიძე (4ქ), ძიძიგური (7ქ), კოპალიანი (9ქ, 3პ), კორძაძე (2ქ), ნოზაძე (4ქ, 5მ, 2დ), ანთაძე (13ქ).

შსს აკადემია: მუდი (4პ), ნიკოლაძე, ლონდარიძე (5ქ, 5მ), ლომოური, თენიეშვილი (1ქ), იმნაძე (4ქ), ტაბსი (13ქ, 9მ), ბლერი (23ქ, 6მ, 10პ, 5ჩ), ბოქოლიშვილი (8ქ), სმიტი (35ქ, 17მ, 3პ, 2დ), ჭიჭველიშვილი, ბექაური (8ქ).

მსაჯები: დ. ბერეკაშვილი, გ. მიქელაძე, ს. საინერსი.

ტურის MVP-ად დასახელების კიდევ ერთი პრეტენდენტი „შსს აკადემიის" მეფარე **ტრეისი სმიტი** იყო, რომელმაც 35 ქულა, 17 მოხსნა მოაგროვა და ყველაზე მაღალი სარგებლიანობის მაჩვენებელი ჰქონდა - 41. თუმცა არც ის დაგვავიწყნია, რომ მისი მოწინააღმდეგის შემადგენლობაში ძალიან ახალგაზრდა მეფარეები თამაშობენ და თან შსს-მ პირველივე პერიოდში მოითავა საქმე, როცა 30:14 დაწინაურდა.

მიმდინარე სუპერლიგაში დებიუტი კიდევ სამ კალათბურთელს ჰქონდა: **ბექა ჭიჭველიშვილს** (რომელიც შსს-ს ახალმა მწვრთნელმა **გიორგიოს კეცელიდისმა** დუბლშემადგენლობიდან გადმოიყვანა), **ჯასტინ ტაბსსა და ენტონი მუდის**. ერთ ეპიზოდში ენტონიმ სწრაფად გადაკვეთა მოედნის საკუთარი ნახევარი, ყველასთვის მოულოდნელად ფარისკენ გაგზავნა ბურთი, რომელიც ტაბსმა ჰაერში დაიჭირა და ეფექტურად ჩატენა. შსს-ს ახალწვეულები იმდენად კარგად ურთიერთქმედებდნენ, თითქოს **სანიკიძისა და ცინცაძის** მსგავსად წლების განმავლობაში ერთად თამაშობდნენ.

თუმცა ვერც იმას ვიტყვით, რომ „შსს აკადემია" უკვე შეთამაშებული გუნდია, საგრძნობლად გადახალისდა და ასაწყობად დრო სჭირდება. სწორედ ამისკენ იყო მიმართული მთავარი მწვრთნელის, კეცელიდისის არაერთი ექსპერიმენტი, რომელთაგან **მერაბ ბოქოლიშვილის** გამთამაშებლად დაყენება (რიგ ეპიზოდებში) უნდა გამოვარჩიოთ. როგორც ჩანს, არჩილ ჟღენტის მსგავსად მერაბს ბერძენი მწვრთნელიც ბოლომდე ენდობა, ისევე როგორც სხვა ახალგაზრდებს.

ნამატჩევს

გიორგოს კეცელიდისი („შსს-აკადემიის" მწვრთნელი):

- ქართველების პატივისცემის ნიშნად, გადავწყვიტე პირველი პრესკონფერენციაზე ჩემი სათქმელი ქართულ ენაზე ვთქვა: მოხარული ვარ ამ გუნდში მუშაობით და შედეგით. გუნდის ხელმძღვანელობა გვერდში მიდგას. კმაყოფილი ვარ კალათბურთელებით. ისინი მაქსიმუმს აკეთებენ. ვმუშაობთ, რომ გუნდმა სწორი კალათბურთი ითამაშოს, სადაც დაცვა უპირველესია. რაც შეეხება ახალგაზრდებს, გუნდში ბევრი ნიჭიერი კალათბურთელია და მზად ვარ მათ ყველანაირად დავეხმარო.

ზურაბ ტომარაძე (სტუ-ს მწვრთნელი):

- გუნდმა დეფორმაცია განიცადა, ორი წამყვანი კალათბურთელი გამოგვაკლდა. ვცდილობთ დავიბრუნოთ ძველი ბრძოლისუნარიონობა, რათა სხვა მატჩებში ასეთი დიდი სხვაობა არ დაფიქსირდეს.

გიორგი ნიკოლაძე („შსს აკადემია"):

- მეორე წრიდან ჩვენს გუნდში არაერთი სიახლეა. შეიცვალა შემადგენლობა, რაც მთავარია, შეიცვალა მთავარი მწვრთნელი, რომელიც ჩემი აზრით, დღესდღეობით ერთ-ერთი საუკეთესოა საქართველოში მოღვაწეთაგან. ასეთი დონის უცხოელი სპეციალისტი ჯერ არ გვყოლია.

გუნდი	თ	მ	წ	სხ.	ქ
1. არმია	11	11	0	978/694	22
2. ქუთაისი	12	9	3	1003/897	21
3. შსს აკად.	12	8	4	1124/951	20
4. ოლიმპი	11	9	2	902/795	20
5. სოხუმი	12	8	4	993/915	20
6. თსუ	12	5	7	983/1021	17
7. დინამო	12	5	7	984/1048	17
8. სტუ	12	5	7	972/1056	17
9. სამედ.	12	4	8	998/1052	16
10. ბათუმი	12	1	11	866/1096	13
11. რუსთავი	12	0	12	826/1104	12

ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტოები

ლეგიონერი

ისევ ტაბუ

კრემონა–ვირტუსი 83:80

ვიქტორ სანიკიძე (ვირტუსი): 31 წუთი, 15 ქულა, 9 მოხსნა, 1 დაფარება, 2 პასი.

იტალიის ჩემპიონატში შაბათ საღამოს სამ ქართველს უნდა ეთამაშა, თუმცა მოედანზე მხოლოდ **ვიქტორ სანიკიძე** გავიდა. **მანუჩარ მარკოიშვილმა და გიორგი შერმადინმა** იმ მიზეზით არ ითამაშეს, რომ „კანტუსა" და „სკავოლინის" დაპირისპირება გადაიდო.

სანიკიძის „ვირტუსი" სერია A-ს აუტსაიდერ „ვანოლისთან" სტუმრად დამარცხდა. ვიქტორი სასტარტო ხუთეულში იყო და 31 წუთში ორქულიანი დისტანციიდან შეუცდომლად უტევდა: 4 ცდიდან 4 ბურთი ჩააგდო. შორიდან კი 6 ტყორცნიდან მხოლოდ 1 სამქულიანი გამოიყენა.

კრემონელებს ბელგიელი **ჯონათან ტაბუ** გაუძლვა, რომელმაც 22 ქულას მოუყარა თავი.

გვერდი მოამზადა
ვაჟა სიმონიშვილმა

აჭარის ქართული ჭიდაობის ფედერაციის პრეზიდენტი ჯემალ ნულუკიძე, აჭარის ენციკლოპედიის ხელმძღვანელი, ვეტერანი ფეხბურთელი ოთარ გაგუა, აჭარის ქართული ჭიდაობის ფედერაციის საპატიო პრეზიდენტი გიორგი ბიწკინაშვილი ოჯახებით და მეგობართა ჯგუფი ღრმა მწუხარებას გამოთქვამენ სახელოვანი ფალავნის

სიმონ მაისურაძის

გარდაცვალების გამო და სამძიმარს უცხადებენ გარდაცვლილის ოჯახს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ერთა თასი

მილტონ ჰეიგის მარცხიანი დასაწყისი. დასასრული?

ირაკლი მაჩხანელის ლელო

ესპანეთი-საქართველო 25:18

ესპანეთი (15-9) პელუშონი, ლერუ, სემპერე, გარსია, ასკარა, მელი (ბლანკო 53), რუე. (1-8) პრადალი, აუსკი (ფიპსი), მორენო, პარკერი (ლაიონზი 65), რეკუერდა, ჟიბუენი (როკა 63), როლსი, ვიზენსანი.

ვლ; სემპერე (2), ვიზენსანგი. 2გ,2ს: პელუშონი.

საქართველო (15-9) გიგაური (შკინინი 54), მაჩხანელი, კაჭარავა, შარიქაძე, თოდუა, კვირიკაშვილი, აბუსერიძე. (1-8) ნარიაშვილი (მამუკაშვილი 75), მამუკაშვილი (ასეიშვილი 70), შეყლაშვილი (ჩილაჩავა 52), დათუნაშვილი, მიქაუტაძე (ნემსაძე 47), ჩხაიძე, ბერიშვილი, ბასილაია (კალმახელიძე 54).

ვლ: ბასილაია, მაჩხანელი, ჩილაჩავა. ს: კვირიკაშვილი.

მსაჯი: დევიდ ვილკინსონი (ირლანდია)

საქართველოს ნაკრებმა 2012 წლის სარაგბო სეზონი მარცხით დაიწყო. „ბორჯღალოსნებისგან", მიუხედავად იმისა, რომ მწვრთნელებთან ერთად დებიუტი ერთბაშად შვიდ მორაგბეს ჰქონდა, წაგებას არავინ ელოდა მადრიდში ესპანეთის ნაკრებთან, რომელსაც შარშან თბილისში 60:0 მოვუგეთ.

ესპანელები რევანშისთვის ემზადებოდნენ. მათი მიზანი მკვეთრად გამოსახული იყო, რადაც უნდა დასჯდომოდათ, ჩვენი გუნდისთვის უნდა მოეგოთ. საამისოდ მადრიდში არსებულ სამხედრო კოლეჯთანაც დაამყარეს ურთიერთობა და გუნდთან ამ დაწესებულების ფსიქოლოგები მუშაობდნენ. ძნელი სათქმელია, რამდენად გაამართლა ამ აქციამ, რადგან მიგვაჩნია, რომ ეს თამაში ესპანეთის ნაკრებს არ მოუგია. ის ჩვენმა ეროვნულმა გუნდმა წააგო.

მიზეზი შესაძლოა ბანალური იყოს - მეტოქის არასათანადოდ დაფასება. თუმცა, კაცმა რომ თქვას, მეტოქესაც ისეთი არაფერი გაუკეთებია. სამჯერ საკუთარი ოცდაორმეტრიანი ზონიდან გამოიქცნენ და სამივეჯერ ჩვენი ნაკრების ლელომდე მიაღწიეს.

სამი ლელო საქართველოს ნაკრებმაც გაიტანა. მაგრამ თუ ესპანელთა ფულბეკმა **მატიე პელიკონმა** ორის გარდასახვა შეძლო, ჩვენს მგეზავ **მერაბ კვირიკაშვილს** ყველა გაუცუდდა. ერთი საკმაოდ სერიოზული პრობლემა, რაც აქამდე საქართველოს ნაკრებს არ ჰქონია - თუ „მეკოს" დარტყმები არ წაუვიდა, გუნდში სხვა დამრტყმელი არავინაა.

ამ თამაშში ჩვენი გუნდი აქამდე არნახული უდისციპლინობით გამოირჩეოდა. უკვე მესამე წუთზე გარემარბი **ალექსანდრე თოდუა** გაასინბინეს, მეტოქის მიმართ განზრახ ბინძური თამაშისთვის, ანუ შუბური ბოჭვისთვის. იგივე ილეთი პირველი ნახევრის მიწურულს **გიორგი ჩხაიძემაც** გაიმეორეა. არბიტრმა 10 წუთით ისიც დაასვენა. ირლანდიელ რეფერის მანამდეც შეეძლო კიდევ ერთი ჩვენებურის გაძევება იგივე დანაშაულისთვის, მაგრამ რამდენიმე წუთით ადრე მასპინძელთა ანალოგიური ქმედება დაუსჯელი დარჩა და ჩვენც დაგვინდო.

არადა, ესპანეთის ნაკრები არ არის ისეთი ძალის გუნდი, მასთან ასეთი, შეიძლება ითქვას, გადამეტებული აგრესია გჭირდებოდეს. ისე გამოვიდა, რომ საერთო ჯამში საქართველოს ნაკრებმა რიცხობრივ უმცირესობაში 20 წუთის განმავლობაში ითამაშა. ეს ესპანელებმა შესანიშნავად გამოიყენეს და სწორედ ამ პერიოდში 15 ქულის მოპოვება შეძლეს.

> ალსანიშნავია, რომ აქამდე საქართველოს ნაკრების არცერთ თავკაცს, ჩვენს ეროვნულ გუნდში სანაკრებო კარიერა მარცხით არ დაუწყია, თუმცა ისიც საგულისხმოა, რომ ყველამ მარცხით დაასრულა.

საკმაოდ გვიჭირდა დაცვაში. მასპინძელთა ფეხმარდ უკანახაზელებს ვერაფერი მოვუხერხეთ. ხოლო თუ იშვიათად, მაგრამ მაინც მოგვეძალებოდნენ მეტოქის მორკინალები, ვჯარიმდებოდით.

კიდევ ერთხელ, ხაზგასმით უნდა აღვნიშნო, რომ ესპანეთის ნაკრებს რაიმე განსაკუთრებული, ჩვენთვის ახალი არაფერი შემოუთავაზებია. უბრალოდ, არცერთი შეცდომა არ გვაპატიეს და დიდი ზეიმიც მოაწყვეს. ცხადია, გასაკვირი არ არის, ესპანელებს საქართველოს ნაკრების დამარცხება ასე ძალიან რომ გაუხარდათ. მათ ხომ ის გუნდი დაამარცხეს, რომელსაც მსოფლიოს თასზე ჯგუფიდან გასვლის და ელიტურ სარაგბო ქვეყნებთან თამაშის პრეტენზია აქვს.

ძნელია იმის მტკიცება, გამოდგება თუ არა ეს მარცხი გაკვეთილად. მიუხედავად იმისა, რომ ძალიან ბევრი შეცდომა დავუშვით და საკმაოდ დიდი იყო ტექნიკური წუნი, მატჩის მოგება, თუნდაც თამაშის ასეთი ცუდი ხარისხით, მაინც შეიძლებოდა. ახლა მთავარია სწორი ანალიზი და სათანადო დასკვნების გამოტანა.

მოდით, თამაშის დეტალებზეც შევჩერდეთ. ესპანელებმა მატჩის დასაწყისშივე, მე-3 წუთზე გაგვიჭრეს დაცვის ხაზი. ფულბეკმა **მატიე პელიკონმა** ბურთი მოედნის საკუთარი ნახევრიდან წამოიღო და რომ არა თოდუას შუბური ბოჭვა, ალბათ ლელოსაც გაგვიტანდენ, თუმცა ამჯერად მასპინძლები საჯარიმოს დასჯერდნენ. ის პელიკონმა დაარტყა ზუსტად - 3:0.

თოდუა, როგორც უკვე ზემოთ ალვნიშნეთ, გაასინბინეს. ესპანელებმა ამით ისარგებლეს და სამ წუთში ლელო გაგვიტანეს. ბურთი ფეხით მოედნის ცენტრთან ახლოს ესპანელთა მგეზავმა **ჩარლი მელიმ** დაჰკიდა, მაღალი ბურთისთვის ბრძოლაში ჩვენმა მორაგბეებმა იმარჯვეს, თუმცა საბოლოოდ მას მაინც შუამარბი **სეზარ სემპერე** დაეუფლა და ლელო ალამთან ახლოს გაგვიტანა, პელიკონმა ვერ გარდასახა და უკვე მე-6 წუთისთვის 0:8-ს ვაგებდით.

საქართველოს ნაკრებმა თამაშის მეტნაკლებად დალაგება მე-10 წუთის შემდეგ შეძლო და მე-15 წუთზე საკმაოდ კარგი, მრავალფაზიანი შეტევა ეფექტური ლელოთი დაასრულა. ცხრა ნომერმა **ირაკლი აბუსერიძემ** მარცხნივ გრძელ ფრთაზე დროულად შენიშნა უყურადღებოდ მიტოვებული მესამეხაზელი **დიმიტრი ბასილაია** და ბურთი ფეხით გადაუკიდა. ბასილაიას მეტოქე წამოეწია, თუმცა ლელოში მაინც შეაღწია- 5:8. კვირიკაშვილმა ვერ გარდასახა, რამდენიმე წუთით ადრე მანვე საჯარიმო ცენტრიდან ასევე უხეიროდ დაარტყა.

ამის შემდეგ თითქოს ყველაფერი თავის ადგილზე უნდა დამდგარიყო. ორ წუთში მეტოქის ნახევარზე ისევ „ბორჯღალოსნები" უტევდენ, კვირიკაშვილმა ბურთი ფეხით შეაცურა, რომელსაც უმალვე ესპანელთა გარემარბი **სებასტიან ასკარა** დაეუფლა, რომელიც ადვილად დაუსხლტა ვიზავის **ალექსანდრე თოდუას,** ჩვენი გუნდის 22-მეტრიან ზონამდე ირბინა და იქაც ფულბეკი **რეზო გიგაური** უსაქმოდ დატოვა. მერე ბურთი იქვე მიმყოლ მესამეხაზელ **მატიე ვიზენანს** გაატანა. მის მიერ გატანილი ლელო პელიკონმა გარდასახა - 15:5.

ანგარიშის შემცირება ჩვენმა გუნდმა ტაიმის დასრულებამდე ხუთი წუთით ადრე შეძლო. საჯარიმო კვირიკაშვილმა გაიტანა, თუმცა ორ წუთში, წესის დარღვევისთვის არბიტრმა გიორგი ჩხაიძე გაასინბინა და ისევ კაცნაკლულნი დავრჩით. პელიკონმა საჯარიმო გაიტანა და ანგარიშში ათქულიანი სხვაობა აღადგინა - 18:8. ასე დასრულდა პირველი ტაიმი.

შესვენების შემდეგ საქართველოს ნაკრები დასაწყისშივე აქტიურად ათამაშდა. 46-ე წუთზე კიდევ ერთი ლელოს გატანის შანსი ბასილაიას მიეცა, თუმცა მან უკან თანაგუნდელს გადააწოდა და ამ ეპიზოდიდან მაქსიმუმ შერკინებას გამოვრჩით. შეტევა შერკინებიდან ისევ ბასილაიამ განაგრძო, რაკიდან ერთი მოკლე დარტყმის შემდეგ ბურთი ირაკლი აბუსერიძემ აიტაცა და უკან მიმყოლ მეორეხაზელ **ლევან დათუნაშვილს** აუგდო. „ჩაქუჩა" გუნდის კაპიტნის ჩანაფიქრს ვერ მიხვდა და ბურთი მეტოქის ნადავლი გახდა. ესპანელი უკანახაზელების მორიგი სპრინტი კი მესამე ლელოთი დასრულდა. თავი ამჯერადაც სეზარ სემპერემ გამოიჩინა. პელიკონმა გარდასახა - 25:8.

ანგარიშში 17-ქულიანი სხვაობა მეტისმეტი იყო, თუმცა ამ შემთხვევაშიც მატჩის გადარჩენის შანსი მაინც არსებობდა. გუნდის თამაში საგრძნობლად გამოაცოცხლა შეცვლაზე შესულმა გიორგი **შკინინმა,** რომლის ბურთთან შეხების ლამის ყველა შემთხვევა სახიფათო იერიშით აღინიშნა.

58-ე წუთზე დერეფანი მეტოქის ლელოდან 40 მეტრში მოვიგეთ. ჩხაიძემ ბურთი აბუსერიძეს ჩამოუგდო, რომელმაც მარჯვნივ, გრძელ ფრთაზე მესამეხაზელ **გივი ბერიშვილს** დაარტყმევინა. წარმოქმნილი რაკიდან „აბუმ" ისევ მარცხნივ შკინინს გამოუთამაშა, რომელმაც მაღალი სისწრაფით რამდენიმე მეტრი გაირბინა და კიდევ უფრო მარცხნივ გარემარბი **ირაკლი მაჩხანელი** ჩართო შეტევაში. მის მიერ გატანილი ლელო კვირიკაშვილმა ისევ ვერ გარდასახა - 13:25.

თამაშის დასრულებამდე 24 წუთი იყო დარჩენილი, რაც 12-ქულიანი ჩამორჩენის აღმოსაფხვრელად სრულიად საკმარისია. „ბორჯღალოსნები" ბევრს ეცადნენ, სათამაშო უპირატესობასაც თითქოს ფლობდნენ, მაგრამ მატჩის დასრულებამდე მხოლოდ ერთი ლელოს გატანა მოახერხეს. ესპანელთა ჩათვლის მოედნის მისადგომებთან ოთხწუთიანი იერიში დებიუტანტმა **ლევან ჩილაჩავამ** დაასრულა. კვირიკაშვილმა ამჯერადაც ვერ გარდასახა - 18:25.

ალსანიშნავია, რომ აქამდე საქართველოს ნაკრების არც ერთ თავკაცს, ჩვენს ეროვნულ გუნდში სანაკრებო კარიერა მარცხით არ დაუწყია, თუმცა ისიც საგულისხმოა, რომ ყველამ მარცხით დაასრულა.

პორტუგალია-რუსეთი 32:33

პორტუგალია: 15. ანტონიო აგილარი, 14. გონსალო ფორო, 13. ფედერიკო ოლივეირა, 12. კარლ მურეი, 11. ბერნარდო სილვეირა, 10. იანიკ რიკარდო, 9. ფრანსისკო მაგალიაეში. 1. კრისტიან სპაშუკი, 2. მაიკ ტაჯერი, 3. ჟორჟე სგურადო, 4. დავიდ პენალვა, 5. გონსალო უვა, 6. ვასკო უვა, 7. ჟულიენ ბარდი, 8. ჟუან სევერინო.

16. ვასკოს მარკესი, 17. ფრანსისკო ფერნანდესი, 18. ჟუან მურე, 19. რუი დორეი, 20. ლუის სოუზა, 21. ჟოზე პინტუ, 22. ჯოზეფ გარდნერი.

რუსეთი: 15. ი.კუშნარიოვი, 14. ვლადიმირ ოსტროუშკო, 13. დიმიტრი გერასიმოვი, 12. ალექსეი მაკოვეცკი, 11. დენის სიმპლიკევიჩი, 10. ანტონ რიაბოვი, 9. ალექსანდრ იანუშკინი. 1. ვლადიმირ ბოტვინიკოვი, 2. ვალერი ცნობილაძე, 3. ევგენი მატვეევი, 4. დენის ანტონოვი, 5. ვლადმირ ბოლტენკოვი, 6. ანდრეი ტემნოვი, 7. ანდრეი გარბუზოვი, 8. ვიქტორ გრესევი.

16. გრიგოლ ცნობილაძე, 17. ინოკენტი ზიკოვი, 18. პაველ კვერნაძე, 19. არტიომ ფატახოვი, 20. ალექსანდრე შაკიროვი, 21. სერგეი ტრიშინი, 22. მიხაილ ბაბაევი.

საკმაოდ საინტერესო და დაძაბული გამოდგა ერთა თასის კიდევ ერთი შეხვედრა. ლისაბონში რუსეთის ნაკრებმა მინიმალური სხვაობით 33:32 მოუგო მასპინძელთა ეროვნულ გუნდს. ალსანიშნავია, რომ პირველი ტაიმის მიწურულისთვის პორტუგალიელები 20:9-ს იგებდნენ. რუსებმა კი იმდენი მოახერხეს, რომ მეორე ნახევარში 33:20 დაწინაურდნენ. პორტუგალიელები ბევრს ეცადნენ თამაში გადაერჩინათ, თუმცა მაქსიმუმი, რაც შეძლეს ანგარიშის მინიმუმამდე შემცირება იყო. ალსანიშნავია, რომ რუსთა გუნდში სამმა ქართველმა ითამაშა.

კიდევ ერთი შეხვედრა რუმინეთისა და უკრაინის ნაკრებებს შორის უამინდობის გამო გადაიდო.

ერთა თასი 2012

	თ	მ	ფ	წ	ბ	ქ
1.რუმინეთი	1	1	0	0	+8	4
2.ესპანეთი	1	1	0	0	+7	4
3.რუსეთი	1	1	0	0	+1	4
4.პორტუგალია	2	0	0	2	-9	2
5.საქართველო	1	0	0	1	-7	1
6.უკრაინა	0	0	0	0	0	0

ორი წლის ჯამი

	თ	მ	ფ	წ	ბ	ქ
1.საქართველო	6	5	0	1	+126	23
2.რუმინეთი	6	4	0	2	+105	20
3.პორტუგალია	7	3	0	4	+6	16
4.რუსეთი	6	3	0	3	+3	15
5.ესპანეთი	6	3	0	3	-26	14
6.უკრაინა	5	0	0	5	-164	0

III ტური

25 თებერვალი

საქართველო-პორტუგალია
რუსეთი-რუმინეთი
უკრაინა-ესპანეთი

ბესიკ ჯანგავაძე

გიორგი ჭანიშვილის ფოტოები

გიორგი შკინინი

უცხოური სპორტი

კალათბურთი. NBA რეგულარული ჩემპიონატი

დერონ უილიამსი

დერონი დალასში: გადაწყვეტილია?

"ნიუ ჯერსი ნეტსის" გენერალური მენეჯერის **ბილი კინგის** თქმით, კლუბი ამ სეზონს იმ მოთამაშეებით დასრულებს, რომლებიც ამჟამად მთავარი მწვრთნელის **ეივერი ჯონსონის** განკარგულებაში არიან. არადა, ამ მომენტისთვის "ნიუ ჯერსის" ლაზარეთში არიან **დემიონ ჯონსი, კიტ ბოგანსი, მეჰმეთ ოქური, ბრუკ ლოპესი, დეშონ სტივენსონი** და **მარშონ ბრუქსი**.

"ჩვენ არ განვიხილავთ ახალი მოთამაშეების დამატების ვარიანტებს და არ მგონია, რომ რომელიმე კალათბურთელთან გავწყვიტოთ ხელშეკრულება შემადგენლობაში ადგილის გასათავისუფლებლად. კმაყოფილი ვარ იმ მოთამაშეებით, რომლებიც გუნდში არიან", - ამბობს კინგი.

თუმცა "ნიუ ჯერსის" შემადგენლობაში ერთი ცვლილება, შესაძლოა, მაინც მოხდეს. NBA-ის კულუარებში აქტიურად ლაპარაკობენ იმის შესახებ, რომ "ნეტსის" ლიდერის - **დერონ უილიამსის** "დალასში" გადასვლა გადაწყვეტილი ამბავია.

ESPN-ის ანალიტიკოსმა **ბილ სიმონსმა** თავის ბოლო სტატიაში დაწერა, რომ *"ამ ტრანსფერის ვარაუდი უფრო მაღალია, ვიდრე ის, რომ ზაფხულში ფელპსი თავის მორიგ ოქროს მედალს მოიგებს"*.

"მე არ ვიცი ამ ამბავთან დაახლოებული არც ერთი წყარო, რომელიც 100 პროცენტით არ იყოს დარწმუნებული ამ ტრანსფერის განხორციელებაში. მაგრამ, მოდით, თავი ისე დავიჭიროთ, თითქოს ამის შესახებ არავინ არაფერი ვიცით".

დერონის წლევანდელი სტატისტიკა 21 ქულასა და 8.4 შედეგიან პასს უდრის.

რაკეტები პაუს უმიზნებენ

"ჰიუსტონის" ხელმძღვანელობა სერიოზულად არის დაინტერესებული "ლოს ანჯელეს ლეიკერსის" ვარსკვლავური ფორვარდის – **პაუ გასოლის** შეძენით. სანდო წყაროს ცნობით, "როკეტსმა" კალიფორნიულ მხარეს ესპანელ ლეგიონერში ფორვარდი **ლუის სკოლა** და მცველი **კევინ მარტინი** შესთავაზა, თუმცა "ლეიკერსი" მხოლოდ იმ შემთხვევაში დათმობს გასოლს, თუ "რაკეტები" მასში მცველ **კაილი ლოურის** გაიმეტებენ.

არენასი და ბრაიანტი

შეგახსენებთ, რომ სატრანსფერო ბაზარზე "ლეიკერსის" პრიორიტეტული მიზანი მაღალი დონის გამთამაშებლის გაფორმებაა.

ამასობაში, ამერიკული პრესა წერს, რომ **კობი ბრაიანტმა**, შესაძლოა, მწვანე შუქი მისცეს თავის გუნდში მცველ **გილბერტ არენასის** გადასვლას. როგორც ირკვევა, კობი დაუკავშირდა არენასს და უთხრა, რომ სურს მასთან ერთად ერთ გუნდში თამაში.

ლავი სნაიპერებში გაერევა

კევინ ლავი

"მინესოტას" ლიდერმა, მძიმე ფორვარდმა **კევინ ლავმა** თავისი სნაიპერული თვისებების გამოვლენის საშუალება მიიღო. "ტიმბერვულვზის" 23 წლის ბიგმენმა, რომელიც მეორედ ითამაშებს "ყველა ვარსკვლავის მატჩში", "ოლ სტარზე" სამქულიანების ტყორცნების კონკურსში მონაწილეობის შეთავაზება მიიღო და სერიოზულად განიხილავს ლიგის საუკეთესო სნაიპერების წინააღმდეგ ბრძოლის შესაძლებლობას.

მიმდინარე რეგულარულში ლავმა 114-დან 42 სამქულიანი (36,8%) ჩააგდო.

ამასობაში, გაირკვა, რომ "ყველა ვარსკვლავის მატჩში" დასავლეთი კონფერენციის მთავარი მწვრთნელი იქნება "ოკლაჰომას" დამრიგებელი **სკოტ ბრუქსი**. ამ მომენტისთვის "ოკლაჰომა" დასავლეთი კონფერენციის ლიდერია – მან 27 მატჩში 21 გამარჯვებას მიაღწია. შეგახსენებთ, რომ ბრუქსის გუნდის სასტარტო შემადგენლობაში ითამაშებენ: **კობი ბრაიანტი, კრის პოლი, კევინ დურანტი, ბლეიკ გრიფინი** და **ენდრიუ ბინუმი**.

აღმოსავლეთი კონფერენციის გუნდის მთავარი მწვრთნელი 15 თებერვალს გამოცხადდება და ეს პატივი ერგება იმ კლუბის დამრიგებელს, რომელიც იმ მომენტისთვის აღმოსავლეთის ცხრილის სათავეში იქნება.

■ ■ ■

"ოლ სტარის" შოუ ევროპულ ქვეყნებშიც ტარდება, თუმცა წელს, საბერძნეთში გულშემატკივრები ამ სიამოვნებას მოკლებულნი იქნებიან – მაისში გასამართი "ყველა ვარსკვლავის მატჩი" გაუქმებულია არასაკმარისი ფინანსების გამო. კომპანიამ, რომელიც, ჩვეულებრივ, ასპონსორებს ვარსკვლავურ უქმეებს, გადაწყვიტა ეს თანხებს სხვა საქმეში დააბანდოს.

ლინჩის ნელით

ჩინელმა ბიჭმა ამერიკა დაიპყრო

„საერთოდ არ მესმის, ასეთი რა გააკეთა ამ ბიჭმა, რომ უცებ ყველამ მასზე დაიწყო ლაპარაკი", - ამბობდა **კობი ბრაიანტი** "ნიუ იორკისა" და "ლეიკერსის" მატჩის წინ. მაგრამ ამ შეხვედრის შემდეგ NBA-ის ერთ-ერთი უპირველესი ვარსკვლავი ნამდვილად დაიმახსოვრებს ამ ბიჭის სახელსა და სახეს. მას **ჯერემი ლინი** ჰქვია. სწორედ მისი წყალობით მოუგო "ნიქსმა" "ლეიკერსს". ქედმაღალი ბრაიანტი ძალიან მონდომებული იყო, 41 წუთი გაატარა მოედანზე, ყველა წერტილიდან ისროდა (თამაშიდან – 11/29) და საბოლოოდ, 34 ქულა დააგროვა, მაგრამ ის ჯერემის ჩრდილში მოექცა, რომლის ანგარიშზე 38 ქულა (თამაშიდან - 13/23) და 7 შედეგიანი პასი იყო. მატჩის ბოლოს, მთელი "მედისონ სკვერ გარდენი" მისი მისამართით სკანდირებდა: "M-V-P!" შეხვედრის შემდეგ ჰარვარდის კურსდამთავრებული საკმაოდ მოკრძალებულ კომენტარს აკეთებდა: *"ჩემთვის ეს ისეთივე მატჩი იყო, როგორიც სხვა დანარჩენი"*. მაგრამ ეს ასე არ არის – პირადი სნაიპერული რეკორდი კობი ბრაიანტთან უშუალო დუელში! მომხდარი ყველაზე კარგად სწორედ კობიმ შეაფასა: *"შესანიშნავი ისტორიაა. ძალიან კარგი მაგალითია მთელი მსოფლიოს ბავშვებისთვის"*. ბრაიანტმა ის იგულისხმა, რომ 23 წლის ლინი დრაფტზეც კი არავის აუყვანია. ახლა კი ის ნიუ იორკში ამასწინანდელი სუპერბოულის MVP-ზე **ილაი მენინგზე** პოპულარულია. მოკლედ, ჩვენს წინაშეა ამერიკული ოცნების ნათელი მაგალითი.

სხვათა შორის, წარმოშობით ჩინელმა ლინმა ჟურნალისტებს უთხრა, რომ ბევრ რჩევას იღებს "ჰიუსტონის" ყოფილი ცენტრის **იაო მინისგან**: *"იაოსთან ყველა თამაშის შემდეგ მაქვს კონტაქტი. ის ჩემთვის – მისაბაძი მაგალითია. უფროს ძმასა და მწვრთნელს ვეძახი. მუდმივად ხაზზე ვართ"*.

ჯერემი ლინი (მარცხნივ)

■ ■ ■

მეორე დღეს, "ნიუ იორკს" სტუმრად უწევდა თამაში "მინესოტას" წინააღმდეგ. რა თქმა უნდა, ოთხი ბრწყინვალე მატჩის შემდეგ (ჯერემიმ თითოში მინიმუმ 20 ქულა დააგროვა), საყოველთაო ყურადღება ბოლო დღეების სენსაციისკენ იყო მიპყრობილი. ლინმა თავისი ნორმა ამჯერადაც შეასრულა, თუმცა მხოლოდ პირველი ტაიმი ჩაატარა უმაღლეს დონეზე. **კარმელო ენტონისა** და **ამარე სტაუდმაიერის** არყოფნაში ისევ გაიბრწყინეს **ლენდრი ფილდსმა** და **სტივ ნოვაკმა**. სწორედ ამ სამეულმა შეაკავა მასპინძლების წინა ხაზის მოთამაშეების – **კევინ ლავისა** და **ნიკოლა პეკოვიჩის** შეტევები. **ტაისონ ჩენდლერი** და **ჯარედ ჯეფრიზი** ვერ უმკლავდებოდნენ ოპონენტებს.

მეორე მეოთხედში კი "ნიქსის "რეზერვისტებმაც" გაძლეს და არ ჩააგდეს თამაში. შესვენების შემდეგ "მინესოტამ" დაცვა გადააწყო. **რიკ ადელმანმა** კიდევ უფრო მკაცრი მეურვეობა დაუწესა ლინს. შესაბამისად, მეორე ნახევარი ყველაზე ცუდი მონაკვეთი იყო მისთვის ბოლო ხუთ მატჩში. **რიკი რუბიომ** ნიუიორკული სასწაულის წინააღმდეგ ღირსეულად ითამაშა, ხოლო "ვულვზის" "მგლებმა" ლინს სწრაფი გარღვევების გამოყენების საშუალება არ მისცეს.

ერთ მოთამაშეზე დაწესებული განსაკუთრებული მეურვეობისას სხვა კალათბურთელს ეხსნება ხელ-ფეხი – **მაიკ დ'ენტონის** გუნდში გადამწყვეტი სიტყვა კიდევ ერთმა დებიუტანტმა - **იმან შუმპერტმა** თქვა. სათადარიგოთა სკამიდან შესულმა მოთამაშემ თავის ანგარიშზე 20 ქულა ჩაიწერა. მას ძალიან აქტიურად ეხმარებოდა ფილდსი. სწორედ ამ წყვილმა სერიოზულად შეუზღუდა თავისუფალი მოქმედების საშუალება ლავსა და პეკოვიჩს და სხვაობა ხუთ ქულამდე შემცირდა. საფინალო სირენამდე ოთხწუთნახევრით ადრე "მგლები" ექვსი ქულით იგებდნენ, მაგრამ შუმპერტმა, ნოვაკმა და ფილდსმა სამ შეტევაში არათუ შეამცირეს სხვაობა, არამედ "ნიქსი" წინ გაიყვანეს. თუმცა ლავი და რუბიო მოვლენათა ამგვარ განვითარებას არ შეურიგდნენ და "მინესოტას" უპირატესობა დაუბრუნეს. ძირითადი დროის დამთავრებამდე 30 წამით ადრე ნოვაკმა სამქულიანით ანგარიში გაათანაბრა. 4.5 წამით ადრე კი ლინმა ერთი საჯარიმო ჩააგდო, რასაც რუბიოს მხრიდან დასანანი შეცდომა მოჰყვა. "მინესოტას" **ბილ უოკერზე** ჯარიმის აღებამ მოუწია, რომელმაც ასევე ორიდან ერთი ჩააგდო. ბოლო შეტევაში კევინ ლავმა ურთულესი მდგომარეობიდან გამარჯვება ვერ მოუტანა თავის გუნდს. „ნიუ იორკმა" ზედიზედ მეხუთე მატჩი მოიგო.

ბოსტონი ევროპაში მიდის

მიმდინარე სეზონის წინ ლოკაუტის გამო არ შედგა NBA-ის კლუბების ტურნე ევროპაში. თუმცა ეს ტრადიცია წელს შემოდგომაზე აღდგება.

იტალიური პრესა იტყობინება, რომ ოქტომბერში "ბოსტონი" ორ შეხვედრას გამართავს "ბებერ კონტინენტზე". "სელტიქსის" მილების პატივი ექნებათ მილანსა და სტამბოლს. ჯერჯერობით მატჩების თარიღებისა და "ბოსტონის" მეტოქეების შესახებ არაფერია ცნობილი. თუმცა ვარაუდობენ, რომ "კელტების" "მილანისა" და "ეფესის" წინააღმდეგ ითამაშებენ.

ეს არ არის "ბოსტონის" პირველი ვიზიტი იტალიაში – 2007 წელს მან რომში "ტორონტოს" წინააღმდეგ ჩაატარა სპარინგი.

გვერდი მოამზადა
გია თვალაბეიშვილმა

10 თებერვალი

შარლოტი–ჩიკაგო 64:95

16:30, 18:26, 17:23, 13:16

შ: ბრაუნი (10), ბიომბო (8+10 მოხსნა).
ჩ: ნოა (17+14 მოხსნა), ბუზერი (16), დენგი (12), ლუკასი (11), აშიქი (3+12 მოხსნა).

ვაშინგტონი–მაიამი 89:106

19:23, 23:29, 25:22, 22:32

ვ: მაკგი (24+13 მოხსნა), იანგი (22), უოლი (15+10 პასი), ბუკერი (13+15 მოხსნა+4 ჩაჭრა).
მ: უეიდი (26+5 პასი), ბოში (24+11 მოხსნა), ჯეიმსი (18+9 პასი), ბატიე (15), ჩალმერსი (5+12 მოხსნა).

ორლანდო–ატლანტა 87:89 (ო)

17:20, 22:21, 15:20, 24:17, 9:11

ო: ანდერსონი (21+9 მოხსნა), ჰოვარდი (18+18 მოხსნა), ნელსონი (15+5 პასი), რიჩარდსონი (14), თურქოღლუ (10+8 მოხსნა).
ა: სმიტი (23+19 მოხსნა+5 პასი+3 დაფარება), ჯონსონი (14+5 პასი), უილიამსი (13), ტიგი (13), ფაჩულია (9+10 მოხსნა).

კლივლენდი–მილუოკი 112:113 (ო)

25:28, 32:25, 28:24, 17:25, 10:11

კ: ჯეიმისონი (34+11 მოხსნა), გი (18), გიბსონი (17+8 პასი), სეშენსი (12+16 პასი).
მ: ჯენინგსი (24+8 პასი), გუდენი (19), ლივინგსტონი (13), ილიასოვა (12), დანლივი (12).

მინესოტა–დალასი 97:104

16:29, 29:27, 28:22, 24:26

მ: ლავი (32+12 მოხსნა), ბიზლი (20), პეკოვიჩი (12+7 მოხსნა), რუბიო (10+8 პასი+3 ჩაჭრა).
დ: ნოვიცკი (33), ტერი (16+5 პასი), კარტერი (12+5 ჩაჭრა), უესტი (10), კიდი (8+10 პასი).

ნიუ ორლეანი–პორტლენდი 86:94

19:21, 27:21, 21:28, 19:24

ნ-ო: არიზა (23+9 მოხსნა+5 პასი), ოკაფორი (13+8 მოხსნა), ბელინელი (12), ამინუ (12).
პ: კროუფორდი (31+8 პასი), ფელტონი (18+6 პასი), უოლასი (14+3 დაფარება), ოლდრიჯი (14+7 მოხსნა).

ტორონტო–ბოსტონი 86:74

26:14, 15:20, 22:17, 23:23

ტ: დეროზანი (21), კალდერონი (17+14 პასი), ჯ. ჯონსონი (14+7 მოხსნა+3 ჩაჭრა), ა. ჯონსონი (12+12 მოხსნა), გრეი (2+11 მოხსნა).
ბ: გარნეტი (17+8 მოხსნა), პირსი (12+5 პასი), პიეტრუსი (11), ბასი (10+7 მოხსნა).

ფილადელფია–კლიპერსი 77:78

27:18, 16:23, 18:19, 16:18

ფ: იგუოდალა (12+8 მოხსნა+7 პასი), ბრენდი (12+10 მოხსნა), უილიამსი (11), მიქსი (10), იანგი (10).
კ: პოლი (24), გრიფინი (16+11 მოხსნა), უილიამსი (14), ფოიე (10), ევანსი (0+10 მოხსნა).

დეტროიტი–ნიუ ჯერსი 109:92

24:15, 28:18, 35:31, 22:28

დ: ყურებკო (20), სტაკი (19+5 პასი), მონროე (18+11 მოხსნა), გორდონი (14), ნაითი (13+7 მოხსნა+5 პასი).
ნ-ჯ: პეტრო (16), ფარმარი (14), დ. უილიამსი (14), გეინსი (13+6 პასი), ჯ. უილიამსი (11).

ნიუ იორკი–ლეიკერსი 92:85

22:15, 27:26, 17:19, 26:25

ნ-ი: ლინი (38+7 პასი), შუმპერტი (12), ჯეფრიზი (11+9 მოხსნა), ჩენდლერი (9+11 მოხსნა).
ლ: ბრაიანტი (34+10 მოხსნა), გასოლი (16+10 მოხსნა), ბარნსი (11), ბინუმი (3+13 მოხსნა+3 დაფარება).

მემფისი–ინდიანა 98:92

22:22, 25:25, 26:26, 25:19

მ: გეი (21), სპეიტსი (19+9 მოხსნა), გასოლი (15+7 მოხსნა+3 დაფარება), კონლი (15+6 პასი), მაიო (13).
ი: უესტი (22+13 მოხსნა), გრეინჯერი (19), ჯონსი (10), ჯორჯი (8+10 მოხსნა).

იუტა–ოკლაჰომა 87:101

30:27, 14:22, 21:25, 22:27

ი: ჯეფერსონი (20+8 მოხსნა), ჰეივორდი (13), ბელი (13), ჰარისი (11+7 პასი), მილსეპი (10+9 მოხსნა).
ო: უესტბრუკი (28+5 ჩაჭრა), დურანტი (19), იბაკა (16+11 მოხსნა), ჰარდენი (11), პერკინსი (10+10 მოხსნა).

11 თებერვალი

ინდიანა–დენვერი 109:113

35:26, 25:34, 24:27, 25:26

ი: გრეინჯერი (26), უესტი (22+7 მოხსნა), ჯორჯი (15), პრაისი (13), ჰიბერტი (12).
დ: ლოუსონი (27), აფლალო (23), ბრიუერი (19), ნენე (11), ჰარინგტონი (10).

კლივლენდი–ფილადელფია 84:99

19:21, 22:37, 19:21, 24:20

კ: ჯეიმისონი (20+8 მოხსნა), სეშენსი (19+8 პასი), გი (17).
ფ: ჰოლიდეი (20+5 პასი), უილიამსი (19+5 პასი), იანგი (16), ბრენდი (11), ვუჩევიჩი (10), მიქსი (10).

ნიუ ჯერსი–სან ანტონიო 89:103

22:24, 18:31, 19:22, 30:26

ნ-ჯ: უილიამსი (27+8 პასი), ჰემფრიზი (15+8 მოხსნა), ფარმარი (12+7 პასი), მოროუ (11).
ს-ა: ნილი (18), დანკანი (13+10 მოხსნა+5 პასი), პარკერი (12+5 პასი), ბლეირი (11), სპლიტერი (10), გრინი (10).

მილუოკი–ორლანდო 94:99

21:16, 28:27, 24:29, 21:27

მ: გუდენი (21+8 მოხსნა), ილიასოვა (17+16 მოხსნა), დანლივი (14), დელფინო (12).
ო: რიჩარდსონი (31), თურქოღლუ (19+6 პასი), რედიკი (14), ჰოვარდი (11+14 მოხსნა+4 დაფარება).

შარლოტი–კლიპერსი 86:111

16:24, 21:31, 15:29, 34:27

შ: უოკერი (19), მაგეტი (12), ტომასი (11), მულინსი (10), ბრაუნი (10).
კ: გრიფინი (21+10 მოხსნა), პოლი (18+14 პასი), ბატლერი (16), ფოიე (12), ჯორდანი (11+12 მოხსნა).

მინესოტა–ნიუ იორკი 98:100

33:30, 29:24, 25:28, 11:18

მ: ლავი (32+21 მოხსნა), პეკოვიჩი (21+13 მოხსნა), რუბიო (12+8 პასი+3 ჩაჭრა), ბარეა (11+5 პასი).
ნ-ი: ლინი (20+8 პასი+3 ჩაჭრა), შუმპერტი (20+4 ჩაჭრა), ფილდსი (19+5 პასი), ნოვაკი (15), ჩენდლერი (12+7 მოხსნა).

დალასი–პორტლენდი 97:94 (2ო)

25:14, 18:18, 18:23, 20:26, 6:6, 10:7

დ: ნოვიცკი (20+9 მოხსნა), ტერი (19), მერიონი (14+12 მოხსნა), ოდომი (10), უესტი (10+4 ჩაჭრა), ჰეივუდი (7+10 მოხსნა).
პ: ოლდრიჯი (33+12 მოხსნა), კროუფორდი (19), ბატუმი (12+7 მოხსნა+3 ჩაჭრა), უოლასი (10+10 მოხსნა+4 ჩაჭრა).

საკრამენტო–ფინიქსი 84:98

24:31, 20:22, 16:22, 24:23

ს: კაზინსი (26+9 მოხსნა), ტორნტონი (21).
ფ: დადლი (20+10 მოხსნა), მორისი (18), ფრაი (17), გორტატი (15+7 მოხსნა+4 დაფარება), ნეში (4+15 პასი).

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფორმულა 1

ალონსო ტესტებს აჯამებს

მსოფლიოსორგზის ჩემპიონმა **ფერნანდო ალონსომ** შეაჯამა ხერესში პარასკევს დასრულებული ტესტები. ბოლო დღეს სწორედ ესპანელმა აჩვენა ახალი „ფერარით" საუკეთესო დრო, თუმცა ალონსო ამბობს, რომ ყურადღებას არ აქცევს ესპანეთის ტრასაზე დაფიქსირებულ შედეგებს.

„რა მნიშვნელობას ვანიჭებ ტესტების ოფიციალურ ოქმებს? არანაირს! - ამბობს ალონსო „გაძეტა დელო სპორტისთვის" მიცემულ ინტერვიუში. *- მაგალითად, ხუთშაბათს მეშვიდე ადგილი დავიკავე, მაგრამ ეს არაფერზე მეტყველებს, რადგან მხოლოდ „მედიუმისა" და „ჰარდის" საბურავებით ვმოძრაობდი, როცა სხვები რბილ საბურავს იყენებდნენ. პარასკევის შედეგებიც არაფერზე მეტყველებს, იმიტომ, რომ ყველაფერი პირიქით იყო: უფრო ხისტი საბურავებით სხვები მოძრაობდნენ".*

მიუხედავად იმისა, რომ ფერნანდომ პარასკევის საუკეთესო შედეგი აჩვენა, ის არ ჩქარობს ოპტიმიზმის გამოხატვას, რადგან წინ ბევრი სამუშაოა: *„მანქანა აბსოლუტურად ახალია. და მის საფუძველში განსხვავებული კონცეპციაა ჩადებული. ბევრი ტექნიკური ელემენტი განსხვავებულია. მაგალითად, ჩვენ ბევრი დრო მივუძღვენით საჭის მართვის გამაძლიერებელს: მხოლოდ ბოლოსკენ იყო შეგრძნება, რომ ის ისე მუშაობს, როგორც მე მომწონს".*

ალონსომ ხერესში ბევრი დრო გაატარა ბოქსებში, მაგრამ ის უკვე მზად არის

ფერნანდო ალონსო

ილაპარაკოს Ferrari F2012-ის პლუსებსა და მინუსებზე: *„ვფიქრობ, პირველივე წრეებიდან შევძელით საბურავების უფრო ეფექტურად გამოყენება, თუმცა გასულ სეზონში ამას ვერ ვახერხებდით.*

რა თქმა უნდა, აუცილებელია აეროდინამიკისა და საიმედოობის გაუმჯობესება. რვა საათის განმავლობაში მხოლოდ 40 წრე გავიარეთ, რაც არასაკმარისია. ბარსელონაში აუცილებლად მინიმუმ 100 წრე უნდა გავიაროთ დღეში".

„გაძეტა დელო სპორტმა" ყურადღება დაუთმო ფერნანდო ალონსოს პირად ცხოვრებას. კერძოდ, დაუბრუნდა ფოტოსურათის თემას, რომელმაც ზამთარში ყველა ტაბლოიდის ფურცლები მოიარა. ამ სურათზე „ფერარის" პილოტი რუსული წარმოშობის შვეიცარიელ მოდელ **ქსენია ჩუმაჩოვასთან** არის დაფიქსირებული. როგორც გაზეთი წერს, ალონსომ ამ ისტორიას წერტილი დაუსვა: *„ინტერნეტში ბევრი სხვა ფოტოც ვნახე. ხალხს შეუძლია ისეთი ფოტოები განათავსოს ინტერნეტში, როგორსაც მოისურვებს. შეუძლიათ თავად შექმნან ის. მათ ყოველთვის სურს რალაცის შექმნა.*

ყველა, ვინც მე მიცნობს, იცის: თუ მე ოდესლაც მეგობარი გოგონა მეყოლება, ის არაფერს დადებს ინტერნეტში".

ბიატლონი

ოლე-ეინარ ბიორნდალენი

ოლე დაბრუნდა

ლეგენდარულმა ნორვეგიელმა ბიატლონისტმა **ოლე ეინარ ბიორნდალენმა** 93-ე გამარჯვებას მიაღწია მსოფლიოს თასის ეტაპებზე - მან გუშინ, ფინეთის კურორტ კონტიოლაჰტიში გამოდევნებით რბოლაში მოიპოვა გამარჯვება.

ბიორნდალენს ამ სეზონში არც ერთი მოგება არ ჰქონდა. ლეგენდარულ ნორვეგიელს სრიალის ტემპი არ დაუკარგავს და თითქმის ერთ დონეზეა მსოფლიოს თასის ლიდერებთან - **სვენდსენთან** და **ფურკადთან**, მაგრამ ოლე ვერ ახერხებს ხარისხიან სროლას.

მაგრამ კონტიოლაჰტიში გამართულ ეტაპზე ყველაფერი წესრიგში იყო. წინა დღეს, სპრინტში მეოთხე ადგილის დაკავების შემდეგ არსებობდა პოდიუმზე ასვლის შანსი (ამ სეზონში ბიორნდალენი მხოლოდ ერთხელ მოხვდა საუკეთესო სამეულში), რაც ოლემ კარგად გამოიყენა.

არადა, პირველი სასროლეთის შემდეგ, სადაც სკანდინაველმა ორი შეცდომა დაუშვა, თითქოს გამარჯვება არც ამჯერად მოხერხდებოდა. მაგრამ დანარჩენ სამ სასროლეთზე ბიორნდალენმა უშეცდომოდ ისროლა და ბოლო წრეზე 11-წამიანი უპირატესობით გავიდა. ნორვეგიელმა შეძლო ამ ჰანდიკაპის შენარჩუნება და სეზონში პირველი გამარჯვება მოიპოვა.

მეორე იყო მარტინ ფურკადი, რომელმაც გაიმყარა ლიდერობა მსოფლიოს თასის ჩათვლაში, რადგან მისი მთავარი კონკურენტი, ნორვეგიელი ემილ ჰეგლე სვენდსენი მეოთხე ადგილზე გავიდა.

რბოლა გამოდევნებით

1. **ოლე ეინარ ბიორნდალენი** (ნორვეგია) - 33:43.8 (2); 2. **მარტინ ფურკადი** (საფრანგეთი) - +13.8 (3); 3. **დმიტრი მალიშკო** (რუსეთი) - +22.7 (2); 4. **ემილ ჰეგლე სვენდსენი** (ნორვეგია) - +37.5 (3); 5. **ევგენი გარანიჩევი** (რუსეთი) - +37.8 (2); 6. **კრისტოფ ზუმანი** (ავსტრია) - +38.9 (2).

გვერდი მოამზადა
გია თვალაბეიშვილმა

ჰოკეი. NHL რეგულარული ჩემპიონატი

10 თებერვალი

დეტროიტი-ანაჰაიმი 2:1 (ბ)

1:1, 0:0, 0:0, 0:0

გოლები: 0:1 პეროსი-1 (პერი-1), 1:1 აბდელკადერი-6 (კინდლი-9, დ. მილერი-9).

ბულიტები გაიტანეს: 1:0 დაციუკი (დეტროიტი), სელიანე (ანაჰაიმი), ბერტუცი (დეტროიტი).

ბაფალო-დალასი 3:2 (ბ)

0:1, 0:0, 2:1, 0:0

გოლები: 0:1 რაიდერი-20 (გოლიგოსკი-15, ლ. ერიქსონი-28), 0:2 ვინკური-2 (ჯეიმი ბენი-32, ოტი-18), 1:2 ვანეკი-20 (პომინვილი-32, ერჰოფი-17), 2:2 დ. როი-11 (სტეფორდი-17, მიერსი-9).

ბულიტები გაიტანეს: ბოიესი (ბაფალო), ჯეიმი ბენი (დალასი), გერბე (ბაფალო).

კოლორადო-კაროლინა 4:3 (ო)

1:2, 2:1, 0:0, 1:0

გოლები: 0:1 პონტი-8 (ე. სტიუარტი-8, ლაროუზი-11), 1:1 ლანდესკოგი-13 (მიულერი-2), 1:2 ტლუსტი-12 (ე. სტაალი-27, ტ. რუუტუ-12), 2:2 ჰეიდუკი-13 (პ. შრასტნი-22, დ. ჯონსი-9), 2:3 ე. სტაალი-14 (ტ. რუუტუ-13, ჰარისონი-13), 3:3 პ. შრასტნი-14 (დ. ჯონსი-10, ჰეიდა-10), 4:3 რ. ო'რაილი-15.

სან ხოსე-ჩიკაგო 5:3

2:0, 1:2, 2:1

გოლები: 1:0 ჯ. ბრაუნი-2 (კუტური-20, ბერნსი-16), 2:0 დ. ბოილი-5 (კუტური-21, ჯ. ბრაუნი-6), 2:1 კრუგერი-4 (ლედი-24, შარპი-23), 2:2 კრუგერი-5 (სიბრუკი-17, შარპი-24), 3:2 ჯ. ტორნტონი- 12 (პაველსკი-20), 3:3 ბიკელი-5 (ბოლანდი-12, ლეპისტო-1), 4:3 ფერეირო-7 (ვინჩესტერი-4, ბერნსი-17), 5:3 მაკგინი-12 (ქლოუ-22, ბერნსი-18).

11 თებერვალი

პიტსბურგი-ვინიპეგი 8:5

2:2, 3:1, 3:2

გოლები: 0:1 უელვუდი-11 (ენსტრიომი-16, ბაფლინი-21), 0:2 ბურმისტროვი-10 (მიეტინენი-4, სტეპლტონი-8), 1:2 ჯეფრი-3 (ჯ. სტაალი-7, ლეტანგი-19), 2:2 ჯ. ნილი-29 (მალკინი-34), 3:2 კუნიტცი-15 (მალკინი-35, მ-ა. ფლერი-2), 4:2 ლეტანგი-6 (მალკინი-36, კუნიტცი-20), 4:3 სტეპლტონი-8 (ველერი-27), 5:3 მალკინი-30 (კუნიტცი-21, ჯ. ნილი-23), 5:4 ბაფლინი-8 (ლიტლი-12, ველერი-28), 6:4 პარკი-5 (ორპიკი-9, კ. ადამსი-6), 7:4 ჯ. სტაალი-16 (დუპუი-19, კუკი-11), 7:5 ლიტლი-14 (ჰეინსი-9, ბოგოსიანი-18), 8:5 ლეტანგი-7 (მალკინი-37, კუნიტცი-22).

ბოსტონი-ნეშვილი 4:3 (ბ)

1:0, 0:1, 2:2, 0:0

გოლები: 1:0 პ. ბერჟერონი-16 (მარშანი-20), 1:1 შ. უებერი-11 (რ. სატერი-27), 2:1 პეი-9 (შ. ტორნტონი-7, ბოიჩუკი-7), 2:2 ჰორნკვისტი-17 (ს. კოსტიცინი-17, რინე-2), 2:3 ფიშერი-17 (ჰორნკვისტი-12, ბუიონი-7), 3:3 ლუჩიჩი-20 (პევერლი-28, ხარა-23).

ბულიტები გაიტანეს: სეგუინი (ბოსტონი), პ. ბერჟერონი (ბოსტონი).

ნიუ ჯერსი-ფლორიდა 1:3

1:1, 0:1, 0:1

გოლები: 1:0 ბერნიე-1 (პონიკაროვსკი-14, ზუბრუსი-17), 1:1 ბერგენჰაიმი-11 (გუდბრასონი-3, გოკი-8), 1:2 ვერსტიგი-21 (უეისი-26, ფლიშმანი-23), 1:3 სამუელსონი-7 (გოკი-9, ვივერი-13).

აილენდერსი-ლოს ანჯელესი 2:1

1:0, 0:1, 1:0

გოლები: 1:0 გრაბნერი-15 (იტონი-3, ოკსოპო-18), 1:1 ლოკტიონოვი-1 (დ. ბრაუნი-16, სკუდერი-7), 2:1 შტრაიტი-5 (მოულსონი-24, ენდრიუ მაკდონალდი-5).

ფილადელფია-რეინჯერსი 2:5

1:2, 1:1, 0:2

გოლები: 0:1 კელეჰენი-19 (გაბორიკი-19, ბ. რიჩარდსი-19), 1:1 სიმონდსი-18 (მეზაროში-14, ქობურნი-11), 1:2 გაბორიკი-27 (ბ. რიჩარდსი-20, სტეპანი-25), 2:2 კ. ჟირუ-22 (სიმონდსი-16, ჰარტნელი-23), 2:3 კელეჰენი-20 (დელ ზოტო-22, გაბორიკი-20), 2:4 ანისიმოვი-9 (სტეპანი-26, გაბორიკი-21), 2:5 კელეჰენი-21 (ჰაგელინი-13, ბ. რიჩარდსი-21).

ოტავა-ედმონტონი 3:4 (ო)

1:0, 1:2, 1:1, 0:1

გოლები: 1:0 ალფრედსონი-19 (ე. კარლსონი-41, სპეცა-33), 1:1 პააარვი-1 (ჰემსკი-19, ჰორკოფი-17), 2:1 მ. მიხალეკი-24 (სპეცა-34, ბ. ბატლერი-7), 2:2 იგერი-6 (პეტრი-13, ლანდერი-4), 2:3 ჰორკოფი-10 (ჰემსკი-20, პააიარვი-6), 3:3 ე. კარლსონი-9, 3:4 ტ. ჰოლი-19 (ჰორკოფი-18, გილბერტი-13).

ტორონტო-მონრეალი 0:5

0:0, 0:4, 0:1

გოლები: 0:1 ე. კოული-20 (დეშარნე-28), 0:2 რ. ბურკი-16 (პლეკანეცი-27, დარში-6), 0:3 პასიორეტი-23 (სუბანი-18, დეშარნე-29), 0:4 ელერი-12, 0:5 დარში-4 (პლეკანეცი-28, პრაისი-2).

ბაფალო-ტამპა ბეი 1:2

0:0, 0:2, 1:0

გოლები: 0:1 დაუნი-9 (ჰედმანი-6, სტემკოსი-25), 0:2 სტემკოსი-37 (პურსელი-18), 1:2 პომინვილი-20 (ვანეკი-23, მ. უებერი-3).

სტ ლუისი-კოლორადო 3:2 (ბ)

2:2, 0:0, 0:0, 1:0

გოლები: 0:1 ო'ბრაიენი-2 (ვან დერ გულიკი-5), 1:1 პერონი-8 (ოში-20, ბეკსი-24), 2:1 პერონი-9 (პიეტრანჯელო-18, ოში-21), 2:2 ე. ჯონსონი-2 (რ. ო'რაილი-26, ლანდესკოგი-17), 3:2 კოლაიაკოვო-2 (ბერგლუნდი-10, პერონი-14).

მინესოტა-კოლამბუსი 1:3

1:1, 0:1, 0:1

გოლები: 1:0 სეტოგუჩი-12 (მ. კოივუ-25, ჟიდლიცკი-12), 1:1 უმბერგერი-8 (ნეში-19, ბრასარი-13), 1:2 უმბერგერი-9 (ვიშნიევსკი-16, ნეში-20), 1:3 ვიშნიევსკი-3.

ფინიქსი-ჩიკაგო 3:0

2:0, 1:0, 0:0

გოლები: 1:0 ვრბატა-26 (რეი უიტნი-35), 2:0 ბ. გონდონი-7 (ბრიული-3, კორპიკოსკი-14), 3:0 ჩიპჩურა-2 (ბრიული-4, ტორესი-7).

კალგარი-ვანკუვერი 3:2 (ბ)

1:0, 1:1, 0:1, 0:0

გოლები: 1:0 კამალერი-12 (კომო-7, ჰანენი-8), 2:0 ჰორაკი-3 (ბუმა-1, სერიჩი-2), 2:1 ჰოჯსონი-15 (დუკო-2, ედლერი-32), 2:2 ბუთი-9 (ჰამჰუისი-23).

ბულიტები გაიტანეს: ო. იოკინენი (კალგარი), ბაროუზი (ვანკუვერი), იგინლა (კალგარი).

ცხელი ხაზი

ფეხბურთი

აფრიკის თასი

მე-3 ადგილისთვის

განა-მალი	0:2

ფინალი

ზამბია-კოტ დ'ივუარი	0:0 პენ. 8:7

გერმანია

რეგიონალლიგა (ჩრ)

ჰალეშერი-ბერლინი	1:0
ჰანოვერი II-ჰერტა II	5:2

რეგიონალლიგა (დას)

ლევერკუზენი II-ფორტუნა	0:1

საფრანგეთი

II დივიზიონი

ისტრი-ტური	1:0
ნანტი-შატორუ	3:0

ჰოლანდია

II დივიზიონი

ცვოლე-იგლზი	0:0

პორტუგალია

II დივიზიონი

პორტიმონენსე-ეშტორილი	0:2
ატლეტიკო-სანტა კლარა	0:0
ავეში-ბელენენსეში	3:1
ლეიქსოეში-არუკა	0:2
ოლივეირენსე-ტროფენსე	5:0
პენაფიელი-მადეირა	3:1
კოვილია-ნავალი	0:2

შოტლანდია

I დივიზიონი

ეირი-ქუინი	1:1
დანდი-ჰემილტონი	2:2
ლივინგსტონი-პარტიკი	3:1
მორტონი-ფალკირკი	0:0
რეითი-როსი	1:1

II დივიზიონი

ალბიონი-ისტ ფაიფი	1:1
ბრეჩინი-ეირდრი	1:1
კოუდენბითი-სტირლინგი	4:1
ფორფარი-არბროა	2:4
სტენჰაუზმური-დამბარტონი	1:2

III დივიზიონი

ალოა-ბირუიკი	0:1
ანანი-ელჯინი	1:1
კლაიდი-ისტ სტირლინგი	3:0
პიტერჰედი-სტრანრარი	1:1
ქუინზ პარკი-მონროუზი	5:0

ავსტრია

აუსტრია-რიდი	2:0
შტურმი-მატერსბურგი	1:0
ვინერი-რაპიდი	0:0

კვიპროსი

აპოლონი-ნეა სალამისი	3:2
აეკ-ომონია	2:1
ოლიმპიაკოსი-ენოსისი	2:0
ანორთოსისი-აელ	0:1
ანაგენისი-ალკი	1:2

ფინეთი

ლიგის თასი

იარო-კუოპიო	2:2
იუვიასკიულა-ვაასა	2:4

საბერძნეთი

პანიონიოსი-იანინა	0:0
ოფი-პაოკ	0:2
ატრომიტოსი-კერკირა	3:1
დოქსა-პანაიტოლიკოსი	2:1
არისი-ერგოტელისი	1:1
ლევადია-ასტერასი	0:1
პანათინაიკოსი-ქსანტი	3:0

შვეიცარია

თუნი-ლუცერნი	1:1
სიონი-იანგ ბოიზი	0:1
ციურიხი-გრასჰოპერსი	2:0

თურქეთი

II დივიზიონი

ბოლუ-გაზიანთეფი ბბ	0:1
ქარსიაქა-ქასიმფაშა	0:1
გირესუნი-ადანა	0:0
გიუნგორენი-გიოზთეფე	1:1
ქართალი-თავშანლი	1:1
რიზე-ელაზიგი	3:5
ძონია-ბუკა	1:0
დენიზლი-ერჩიესი	1:1

უელსი

ლანელი-ბანგორი	0:1
ებერისტვითი-კარმართენი	2:2
ნითი-ბალა	2:0

არგენტინა

ბოკა ხუნიორსი-ოლიმპო	2:0
ლანუსი-სან ლორენსო	4:1
ბელგრანო-ოლ ბოისი	0:0
ესტუდიანტესი-ნიუელსი	1:1
სან მარტინი-ინდეპენდიენტი	1:0
ატ. რაფაელა-ბანფილდი	3:0

ჩილე

ლა კალერა-პალესტინო	1:1
კობრესალი-კოლო კოლო	2:2
უაჩიპატო-ლე სერენა	1:1
იტალიანო-კობრელოა	1:1
რეინჯერსი-ს. უონდერერსი	2:3
ანტოფაგასტა-უნ. კონსეპსიონი	2:1
უნ. ესპანიოლა-ო'ჰიგინსი	0:2

ეკვადორი

ლ. დე ლოხა-ელ ნასიონალი	0:0
დეპ. კუენკა-ინდეპენდიენტე	3:2
ლდუ დე კიტო-ოლმედო	5:0
ტექ. უნივერსიტარ.-ბარსელონა	1:1

მექსიკა

მორელია-ს. ლაგუნა	3:1
ხაგუარესი-კერეტარო	3:0
მონტერეი-გვადალახარა	2:0
პაჩუკა-ტეკოსი	2:0
სან ლუისი-ტიგრესი	0:2
ატლასი-ამერიკა	1:1
ატლანტე-ტოლუკა	0:2
პუმასი-პუებლა	0:2
ტიხუანა-კრუს ასული	0:0

კალათბურთი

NBA

ტორონტო-ლეიკერსი	92:94

გერმანია

ვიურცბურგი-არტლანდი	68:72
ბონი-ბაიროიტი	90:62
ჰაგენი-ოლდენბურგი	66:79

საბერძნეთი

კავალა-პერისტერი	81:67
დრამასი-პანიონიოსი	71:62
ოლიმპიაკოსი-პანათინაიკოსი	78:77

იტალია

მონფერატო-კაზერტა	76:77
მილანი-სასარი	71:81
მონტეპასკი-ბიელა	104:78
სკავოლინი-კანტუ	გადაიდო
ვარეზე-რომა	გადაიდო
მონტეგრანარო-ვენეცია	გადაიდო

ესპანეთი

სარაგოსა-ესტუდიანტესი	75:72
ვალენსია-ლაგუნ არო	69:60
ობრადოირო-კახა ლაბორ.	89:87 (ო)
ბილბაო-მანრესა	88:60
ხუვენტუდი-ბარსელონა	62:79
სევილია-რეალი	63:98

თურქეთი

პინარი-გალათასარაი	67:75
ბეშიქთაში-ტ. ტელეკომი	79:74

ჰოკეი

NHL

რეინჯერსი-ვაშინგტონი	3:2
აილენდერსი-ფლორიდა	1:4

ევროტური

რუსეთი-ჩეხეთი	0:4
შვედეთი-ფინეთი	3:1

ავსტრია

ფეჰერვარი-ლინცი	6:3
კლაგენფიურტი-ოლიმპია	7:3
ზაგრები-ზალცბურგი	5:3

ჩოგბურთი

WTA. პატაია

კირილენკო-ჰანტუხოვა	7:6, 3:6, 3:6

WTA. პარიზი

ბარტოლი-კერბერი	6:7, 7:5, 3:6

ჩოგბურთი. ახალი ამბები

სკანდალის გაგრძელება

მსოფლიოს მეორე ჩოგანი **რაფაელ ნადალი** დოპინგზე მოულოდნელად შეამოწმეს. ეს მოვლენა იმით იპყრობს ყურადღებას, რომ გასულ კვირას ფრანგულმა ტელეარხმა Canal+-მა ეთერში გაუშვა სახუმარო სიუჟეტები, რომელშიც მინიშნება იყო იმაზე, რომ ესპანური სპორტის ბოლოდროინდელი წარმატებები დოპინგის გამოყენებას უკავშირდება. ერთ-ერთი ვიდეორგოლის გმირი სწორედ ნადალი გახდა.

"დილის ცხრის ნახევარზე დავასრულე მოულოდნელი ტესტი დოპინგზე. რა თქმა უნდა, ამ კვირის მოვლენების შემდეგ ასეთი რამ მოსალოდნელი იყო. მაგრამ მე ეს მომწონს. არანაირი პრობლემა არ არსებობს", - დაწერა თავის "ტვიტერზე" ნადალმა.

ალსანიშნავია, რომ სკანდალური ისტორია სახელმწიფო დონეზე ავიდა - ესპანეთის პრემიერ-მინისტრი დაუკავშირდა ფრანგულ მხარეს და დაიჩივლა ტელევიზიის დაუშვებელი საქციელის გამო, ხოლო ესპანეთის ჩოგბურთისა და ველოსპორტის ფედერაციები Canal+-ისთვის სასამართლოში ჩივილს აპირებენ.

ისიც უნდა დავამატოთ, რომ ეს პროგრამა ეთერში მას შემდეგ გავიდა, რაც ესპანელი ველომრბოლი **ალბერტო კონტადორი** დოპინგის მიღების გამო ორწლიანი დისკვალიფიკაციით დასაჯეს და 2010 წლის ტურ დე ფრანსის ტიტული ჩამოართვეს.

■ ■ ■

მსოფლიოს ყოფილი პირველი ჩოგანი, ამერიკელი **ვენუს უილიამსი** პროფესიულ ტურში დაბრუნებას კუალა ლუმპურის ტურნირზე შეეცდება, გარდა ამისა, უახლოეს მომავალში მან მაიამის სუპერტურნირზე თამაში დაგეგმა. ამის შესახებ WTA-ის ოფიციალური ვებგვერდი იტყობინება. შეგახსენებთ, რომ უფრო ადრე უფროსმა უილიამსმა განაცხადი შეიტანა Family Circle Cup-ზე, რომელიც 2-8 აპრილს ამერიკის ქალაქ ჩარლსტონში გაიმართება.

ვენუსი ჯერაც აღდგენით პროცესს გადის აუტოიმუნური ავადმყოფობის შემდეგ, რომელიც ჩოგბურთელს ამერიკის ღია პირველობის დროს შეეყარა. იქედან მოყოლებული, 31 წლის უილიამსი პირველად კორტზე გასულ კვირას გავიდა, როცა ბელარუსის ნაკრების წინააღმდეგ ფედერაციის თასის გათამაშებაში **ლიზელ ჰუბერთან** ერთად წყვილთა მატჩში ითამაშა.

კუალა ლუმპურის ტურნირი 27 თებერვალს დაიწყება, მაიამის სუპერტურნირი - 20 მარტს.

■ ■ ■

სერბმა ჩოგბურთელმა **ელენა იანკოვიჩმა** თავის მიკრობლოგში დაწერა იმის შესახებ, რომ ის პარიზის ცენტრში ერთ-ერთ მაღაზიაში გაქურდეს. უცნობებმა მსოფლიოს ყოფილ პირველ ჩოგანს მოპარეს ჩანთა საკრედიტო ბარათებით, საიუველირო ნაწარმებითა და დოპინგის ტესტით.

„ჩვენ გარშემო შეიკრიბა ათი ადამიანისგან შემდგარი ჯგუფი, რომლებმაც იცნეს ელენა და მასთან ფოტოს გადაღება მოინდომეს, - ამბობს ჩოგბურთელის დედა. - *ამ ბრბოში ჩანთა გაქრა. მაღაზიაში ვიდეოკამერები იყო დამონტაჟებული, ჩვენ დაცვას მივმართეთ. მან ჩანაწერში გაარჩია ორი ქალბატონი, რომელიც ჩანთას იპარავდა. მათ პალტოები ეცვათ და დიდი სათვალეები ეკეთათ. ეჭვი გვეპარება, რომ მათ ოდესმე იპოვიან"*.

იანკოვიჩი და დედამისი პოლიციის განყოფილებაში მივიდნენ და როგორც შემდეგ აღიარეს, შოკირებულნი დარჩნენ პოლიციელების შრომის პირობებით, ჭუჭყითა და დახეული ფარდებით.

დევისის თასი. 1/8 ფინალი

ესპანეთი-ყაზახეთი	5:0
1:0 ხუან-კარლოს ფერერო-მიხაილ კუკუშკინი	6:1, 4:6, 7:6(2), 4:6, 6:4
2:0 ნიკოლას ალმაგრო-ანდრეი გოლუბევი	6:3, 4:6, 6:1, 6:1
3:0 გრანოლერსი/მ. ლოპესი-კოროლიოვი/შჩუკინი	6:2, 6:3, 6:1
4:0 ნიკოლას ალმაგრო-ევგენი კოროლიოვი	6:3, 6:4
5:0 მარსელ გრანოლერსი-ანდრეი გოლუბევი	6:3, 6:7(2), 6:3

ავსტრია-რუსეთი	3:2
1:0 იურგენ მელცერი-იგორ კუნიცინი	6:2, 6:7(3), 6:4, 3:6, 6:1
2:0 ანდრეას ჰაიდერ მაურერი-ალექს ბოგომოლოვი	6:1, 6:4, 6:7(1), 6:2
2:1 პეია/მარახი-დავიდენკო/იუჟნი	6:7(1), 7:6(7), 5:7, 6:3, 4:6
3:1 იურგენ მელცერი-ალექს ბოგომოლოვი	6:2, 6:4, 6:1
3:2 ანდრეას ჰაიდერ მაურერი-იგორ კუნიცინი	4:6, 6:4, 6:7(4)

შვეიცარია-აშშ	0:5
0:1 სტანისლას ვავრინკა-მარდი ფიში	2:6, 6:4, 6:4, 1:6, 7:9
0:2 როჯერ ფედერერი-ჯონ ისნერი	6:4, 3:6, 6:7(4), 2:6
0:3 ფედერერი/ვავრინკა-მ. ბრაიანი/ფიში	6:4, 3:6, 3:6, 3:6
0:4 მიხაელ ლამერი-რაიან ჰარისონი	6:7(0), 6:7(4)
0:5 მარკო კიუდინელი-ჯონ ისნერი	3:6, 4:6

ჩეხეთი-იტალია	4:1
1:0 რადეკ შტეპანეკი-ანდრეას სეპი	4:6, 6:4, 6:3, 3:6, 6:3
2:0 ტომაშ ბერდიხი-სიმონე ბოლელი	6:3, 4:6, 7:5, 6:2
3:0 ბერდიხი/შტეპანეკი-ბრაკიალი/სტარაჩე	6:3, 6:4, 6:2
4:0 ლუკას როსოლი-ანდრეას სეპი	4:6, 6:3, 6:4
4:1 ფრანტიშეკ ჩერმაკი-სიმონე ბოლელი	4:6, 4:6

სერბეთი-შვედეთი	4:1
1:0 იანკო ტიფსარევიჩი-ფილიპ პრპიჩი	6:3, 6:3, 6:4
2:0 ვიქტორ ტროიცკი-მიკაელ რიდერსტედტი	6:4, 6:3, 5:7, 6:3
2:1 ტიფსარევიჩი/ზიმონჯიჩი-ბრუნსტრიომი/ლინდსტედტი	6:3, 3:6, 6:7(4), 7:6(3), 8:10
3:1 იანკო ტიფსარევიჩი-მიკაელ რიდერსტედტი	6:2, 7:6(5), 7:5
4:1 დუშან ლაიოვიჩი-ფილიპ პრპიჩი	6:4, 6:4

იაპონია-ხორვატია	2:3
1:0 გი სოედა-ივან დოდიგი	6:7(3), 3:6, 6:4, 6:3, 7:5
1:1 კეი ნიშიკორი-ივო კარლოვიჩი	4:6, 4:6, 3:6
1:2 იტო/სუგიტა-დოდიგი/კარლოვიჩი	4:6, 4:6, 6:3, 3:6
2:2 კეი ნიშიკორი-ივან დოდიგი	7:5, 7:6(4), 6:3
2:3 გი სოედა-ივო კარლოვიჩი	6:7(4), 1:6, 4:6

გერმანია-არგენტინა	1:4
0:1 ფილიპ პეტცშნერი-ხუან მონაკო	3:6, 3:6, 3:6
0:2 ფლორიან მაიერი-დავიდ ნალბანდიანი	6:2, 0:6, 1:6, 6:7(5)
0:3 ჰაასი/პეტცშნერი-ნალბანდიანი/შვანკი	6:3, 6:4, 4:6, 3:6, 4:6
0:4 ფლორიან მაიერი-ხუან იგნასიო ჩელა	5:7, 5:7
1:4 სედრიკ მარსელ შტებე-ედუარდო შვანკი	7:6(1), 7:5

კანადა-საფრანგეთი	1:2
0:1 ვაჩეკ პოსპიშილი-ჟო ვილფრიდ ცონგა	1:6, 3:6, 3:6
1:1 მილოშ რაონიჩი-ჟულიან ბენეტო	6:2, 6:4, 7:5
1:2 ნესტორი/რაონიჩი-ბენეტო/ლოდრა	6:7(1), 6:7(2), 3:6
მილოშ რაონიჩი-ჟო ვილფრიდ ცონგა	გვ. დასრულდა
ვაჩეკ პოსპიშილი-ჟულიან ბენეტო	გვ. დასრულდა

1/4 ფინალი

ესპანეთი-ავსტრია
საფრანგეთი/კანადა-აშშ
ჩეხეთი-სერბეთი
ხორვატია-არგენტინა

ამბები

სამთო-სათხილამურო სპორტი

მოგება და ტრავმა ერთად

ხორვატმა **ივიცა კოსტელიჩმა** გუშინ, სოჭში მსოფლიოს თასის ეტაპის (სუპერკომბინაცია) მოგების შემდეგ მუხლის ტრავმა მიიღო. ახლა მას დაწვრილებითი სამედიცინო გამოკვლევა სჭირდება იმის გასარკვევად, საჭიროებს თუ არა ეს დაზიანება ქირურგიულ ჩარევას. ეს ინფორმაცია სააგენტო „როიტერს" ხორვატიის ნაკრების წარმომადგენელმა **ვედრან პავლეკმა** აცნობა.

ამ მომენტისთვის კოსტელიჩი მსოფლიოს თასის საერთო ჩათვლის ლიდერია - ის უახლოეს მდევარს, შვეიცარიელ **ბეატ ფოიცს** 78 ქულით უსწრებს.

მძლეოსნობა

ბოლტმა სტარტი გადადო

სამგზის ოლიმპიურმა ჩემპიონმა **უსაინ ბოლტმა** გადადო სეზონის სტარტი. მსოფლიოს უსწრაფესი ადამიანი იამაიკის ქალაქ კინგსტონში აპირებდა 400 მეტრზე გამოსვლას, მაგრამ გაურკვეველი მიზეზით არ გავიდა სარბენ ბილიკზე.

არადა, ეს გარბენი დიდ ინტერესს იწვევდა, რადგან ბოლტის კონკურენტი უნდა ყოფილიყო იამაიკური და მსოფლიოს სპრინტის ახალი ვარსკვლავი **იოჰან ბლეიკი**.

გვერდი მოამზადა
გია **თვალაბეიშვილმა**

ლელო მკითხველის ვერსიით

საქართველოს 2011 წლის რჩეული სპორტსმენი და ათეული

წლეულს პირველად „ლელო" ატარებს მკითხველთა გამოკითხვას 2011 წლის საუკეთესო სპორტსმენის გამოსავლენად. დღეიდან საშუალება გეძლევათ ხმა მისცეთ თქვენს რჩეულს.

მკითხველის რჩეული გამოვლინდება საერთო ხმების შეჯამებით

მოცემულ ბარათზე ანბანის მიხედვით ჩამოთვლილი კანდიდატებიდან გთხოვთ, შეარჩიოთ მხოლოდ ერთი საუკეთესო სპორტსმენი, შემოხაზოთ შესაბამისი ნომერი, ამოჭრათ ბარათი და „კვირის პალიტრის" („სიტყვა და საქმის") საფოსტო ყუთების საშუალებით გამოგვიგზავნოთ რედაქციაში.

საფოსტო ყუთები განლაგებულია: თბილისში - მეტროს სადგურებთან და ხალხმრავალ ადგილებში, აგრეთვე, ქალაქებსა და რაიონებში: მცხეთა, კასპი, გორი, ქარელი, ხაშური, სურამი, ზესტაფონი, ჭიათურა, ქუთაისი, სამტრედია, აბაშა, სენაკი, ხობი, ზუგდიდი, ფოთი, ქობულეთი, ბათუმი, ოზურგეთი, ლანჩხუთი, ვანი, წყალტუბო, ხონი, ბანძა, თერჯოლა, ტყიბული, ამბროლაური, ბორჯომი, ახალციხე, რუსთავი, მარნეული, ბოლნისი, საგარეჯო, გურჯაანი, წნორი, სიღნაღი, ყვარელი, ლაგოდეხი, თელავი, ახმეტა, დედოფლისწყარო, ყაზბეგი, თიანეთი, კაზრეთი.

„კვირის პალიტრისა" და „სიტყვა და საქმის" საფოსტო ყუთები იცლება თბილისში - სამშაბათს, ხუთშაბათს, კვირას 13 საათიდან; რაიონებში - ოთხშაბათობით, 10 საათიდან.

ან დარეკეთ რედაქციაში და თქვენი პასუხი ჩააწერინეთ ოპერატორს ნომერზე: ***2 19 60 53****, ორშაბათიდან პარასკევის ჩათვლით,* ***11****-დან* ***18*** *საათამდე).*

გამოკითხვა 15 თებერვლის ჩათვლით გაგრძელდება

1. **აბუთიძე ალექსი** - მკლავჭიდი: მსოფლიო-III; ევროპა-III
2. **ბასილაია დიმიტრი** - რაგბი: პოპულარობის ინდექსით
3. **ბახტაძე მიხეილ** - კრივი: ევროპა-III
4. **ბოდაველი მინდია** - სამბო: ევროპა-II
5. **გაბრავა ვილენ** - მკლავჭიდი: მსოფლიო-III
6. **გამთენაძე ირაკლი** - მკლავჭიდი: ევროპა-II
7. **გორგოძე მამუკა** - რაგბი: პოპულარობის ინდექსით
8. **გორელაშვილი შოთა** - კარატე: ევროპა-II
9. **დაუთაშვილი ვასილ** - მკლავჭიდი: მსოფლიო-II; ევროპა-III
10. **ესებუა ქრისტინე** - მშვილდოსნობა: მსოფლიო-II
11. **ვეკუა ჰენრი** - კარატე: ევროპა-I
12. **კვაჭატაძე ზაალ** - კრივი: ევროპა-III
13. **კვიკვინია გენადი** - მკლავჭიდი: მსოფლიო-I; ევროპა-II და II
14. **კალაძე კახა** - ფეხბურთი: პოპულარობის ინდექსით
15. **კობიაშვილი ლევან** - ფეხბურთი: პოპულარობის ინდექსით
16. **კაშია გურამი** - ფეხბურთი: პოპულარობის ინდექსით
17. **კუზანაშვილი უშანგი** - სამბო: მსოფლიო-II; ევროპა-I
18. **კუცია ნიკო** - სამბო: მსოფლიო-III; ევროპა-III
19. **ლავერაშვილი თეონა** - კიკბოქსინგი: მსოფლიო-II
20. **ლაშხი რევაზ** - ბ/რ ჭიდაობა: ევროპა-I
21. **ლიპარტელიანი ვარლამ** - ძიუდო: ევროპა-III
22. **ლორიაშვილი დავით** – სამბო: მსოფლიო-III
23. **მამულაშვილი კახა** - სამბო: ევროპა-II
24. **მარსაგიშვილი დავით** - თ/ჭიდაობა: მსოფლიო-III; ევროპა-II; მსოფლიო ახალგაზრდებში-I; ევროპა ახალგაზრდებში-I
25. **მაჭავარიანი გია** - ძალოსნობა: ევროპა-II
26. **ოქრუაშვილი ადამ** - სუმო: ევროპა-III (აბსოლუტურში); ქართ/ჭიდაობა: საქართველოს სამგზის ფალავანი
27. **ოძელაშვილი ნინო** - სამბო: მსოფლიო-III
28. **პავლიაშვილი მირიან** - სამბო: ევროპა-III
29. **ჟორჟოლიანი ლომერ** - ძიუდო: ევროპა-II; სამბო: მსოფლიო-II
30. **სალუქვაძე ნინო** - ტყვ. სროლა: მსოფლიოს სუპერთასი-II
31. **სანიკიძე ვიქტორ** - კალათბურთი: პოპულარობის ინდექსით
32. **ფაჩულია ზაზა** - პოპულარობის ინდექსით
33. **შუკვანი ბეთქილ** - ძიუდო: ევროპა-II
34. **ცერცვაძე ავთანდილ** - სუმო: ევროპა-III
35. **ცინცაძე ავთანდილ** - სამბო: მსოფლიოს ჩემპიონატი-I
36. **ცირეკიძე ირაკლი** - ძიუდო: მსოფლიოს ჩემპიონატი III; ევროპა-III
37. **ცხადაია მანუჩარ** - ბ/რ ჭიდაობა: მსოფლიო-II
38. **ხინჩეგაშვილი ვლადიმერ** - თ/ჭიდაობა: ევროპა-II; ევროპა (ახალგაზრ დებში)-I; მსოფლიო ახალგაზრდებში-I
39. **ხოსიტაშვილი ჯაბა** - კრივი: ევროპა-III
40. **ხუციშვილი დავით** - თ/ჭიდაობა: მსოფლიო-III; ევროპა-III

შენიშვნა: *სიაში მოხვდნენ მხოლოდ ის სპორტსმენები, ვინც 2011 წელს გახდნენ მსოფლიოს ან ევროპის ჩემპიონატებში გამარჯვებულები პრიზიორები, ან ორივე ერთად.*

საუკეთესო სპორტსმენს „ლელოს" სპეციალური პრიზი გადაეცემა.